

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნ. ფოფორაძე

მინერალოგიის მოკლე ბანმარტებითი ლექსიკონი

შესავალი

მინერალთა განმარტებითი ლექსიკონი მუდმივ განახლებას საჭიროებს. სამეცნიერო პროგრესს ხშირად შეაქვს ცვლილებები მინერალოგიური ტერმინების არსებულ მარაგში - მუდმივად ხდება ახალი მინერალების აღმოჩენა, მოძველებული სახელწოდებები იცვლება ახლით, ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ ქრება.

ჩვენი წიგნის მკითხველი მასში აღმოაჩენს ბევრ მოძველებულ მინერალოგიურ სახელწოდებას, აგრეთვე იმასაც, რასაც ძნელად მოიძიებთ უახლეს სტატიებსა და ანგარიშებში, რომ არაფერი ვთქვათ მინერალოგიის თანამედროვე სახელმძღვანელოებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია მინერალთა იმ სახელწოდებებზე, რომლებიც დღესაც ცოცხალია და გვხვდება არა მხოლოდ ძველი სამუზეუმო კოლექციების ეტიკეტებში და გამოიყენება ყოველდღიურ საუბარსა ან გეოლოგებისა და სამთოელების პროფესიულ ჟარგონში.

წიგნში შეგნებულად არ მოგვაქვს მინერალების სტრუქტურულ-კრისტალოგრაფიული, კრისტალოპტიკური კონსტანტები (რენტგენოგრაფიების მთავარი ხაზები, ელემენტარული უჯრედის პარამეტრები, გარდატეხის მაჩვენებლები და ა.შ.) და სხვა არსებითი მონაცემები. პროფესიონალ მინერალოგს ადვილად შეუძლიათ მათი მოძიება სპეციალურ ლიტერატურაში. მოცემულ ლექსიკონში აღწერილია მინერალთა გარეგნული ნიშნები, რომელთა ცოდნა აუცილებელია არა მარტო სპეციალისტისთვის, არამედ მოყვარული კოლექციონერისთვისაც. ყველა ეს მონაცემი მოცემულია ერთიანი სქემის მიხედვით, რომელიც შეიცავს შემდეგ პოზიციებს: მინერალის სახელწოდება, სინონიმები, კრისტალთქიმიური ფორმულა, სიმეტრიის სახე და სინგონია, ფერი, ელვარების ხასიათი, გამჭვირვალობის ხარისხი, ხაზის ფერი, სიმაგრე (მოოსის შკალის მიხედვით), სიმკვრივე, ტკეჩალობა, გამოყოფის ფორმები, კრისტალების ტიპობრივი მორფოლოგია, მათი იერი და ჰაბიტუსი, წარმოშობა, პარაგენეტული მინერალები და საბადოების ტიპობრივი მაგალითები.

აგალმატოლიტი – Агальматолит – Agalmatolite – Agalmatolith

„აგალმა“ – ბერძნულია ქანდაკება, ლითოს – ქვა. პიროფილიტის მკვრივი, ფარულკრისტალური სახესხვაობა. პიროფილიტისგან განსხვავდება ფერით; იგი არის უფეროდან მუქ ვაშლისებრ მწვანემდე. გვხვდება კრისტალურ ფიქლებში. საბადოები: ბავარიაში (გერმანია); მორავიაში (ჩეხეთი); ტუვაში (რუსეთი), ჩინეთში.

ადულარი – Адуляр – adularia – Adular


„ადულა“ მთების სახელია შვეიცარიაში. მინდვრის შპატების ჯგუფის კალიუმის მინდვრის შპატის ქვეჯგუფის მინერალის, ორთოკლაზის სახესხვაობაა და მისგან ფერით განსხვავდება, იგი არის უფერო, რძისებრ თეთრი ან მომწვანო თეთრი; ჩვეულებრივ გამჭვირვალეა. საბადოები: ალპებში; შრი-ლანკაში; სამხრ. აფრიკასა და პოლარულ ურალში (რუსეთი). გვხვდება ბარიუმის შემცველი ადულარიც.

ავანტიურიანი – Авантюрин – Aventurine – Aventurin



იტალიური სიტყვიდან „avventura“ – შემთხვევა. საიუველირო-სანახელავო ქვა. მისი გაპრიალებული ზედაპირი ბრჭყვიალებს ოქროსფრად და მოწითალოდ. ფორმა – წმინდა მარცვლოვანი აგრეგატების მთლიანი მასები, ზოგჯერ ფიქლისებრი წანაზარდები. ხშირად ფარულკრისტალურია. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ვარდისფერი, მწვანე; ქარსის ან ჰემატიტის მოციმციმე ჩანართებით. ჰემატიტის ქერცლები ანიჭებს ქვას მოწითალო-მოყვითალო და მოწითალო-მოყავისფრო ელფერს. მეტწილად არაგამჭვირვალე, ხშირად ნახევრად გამჭვირვალე ან სუსტად გამჭვირვალე. სიმკვრივე – 7; სიმკვრივე – 2,65; მონატეხი – ნიჟარისებრი. ავანტიურიანისაგან ამზადებენ სამკაულებს (კაბოშონებს), ლარნაკებს, ზარდახშებს, მაგიდებს და სხვ. ახასიათებს წითლად ლუმინესცენცია. გენეზისი დაკავშირებულია მეტამორფულ ქანებთან, მეტწილად კვარცხეთთან და ქარსიან ფიქლებთან. საბადოები ცნობილია ურალში, ყაზახეთში, ალტაიში, ინდოეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბრაზილიაში, მადაგასკარსა და სხვაგან. ავანტიურიანს მჟავე პლაგიოკლასსაც უწოდებენ.

ავგიტი – Авгит – Augite – Augit




ბერძნული სიტყვიდან „ავგე“ – ელვარება, ციმციმი (ტკეჩალობის სიბრტყეებზე ძლიერი ელვარების გამო). პიროქსენების ჯგუფის მონოკლინური პიროქსენების ქვეჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა – $CaO-16-20\%$, $MgO-11.5-17.5\%$, $FeO-5-10\%$, $Al_2O_3-4.5-7.8\%$, $SiO_2-46-50\%$, ზოგჯერ $TiO_2-0.2-1.25\%$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმული კლასი. კრისტალების ფორმები – მოკლე სვეტისებრი, ნემსისებრი, ფირფიტოვანი, მთლიან მასაში მარცვლისებრი; ხშირია მრჩობლები. ფიზიკური თვისებები: ფერი – მურა შავი, მომწვანო შავი, მუქი მწვანე. არაგამჭვირვალე, იშვიათად გამჭვირვალე. ხაზის ფერი – თეთრი. ელვარება მინისებრი. სიმკვრივე – 5-6; მყიფე. მონატეხი ნიჟარისებრი, უსწორმასწორო. სიმკვრივე – 3.3-3.5. ტკეჩალობა (110)-ის გასწვრივ მკაფიო; კუთხე ტკეჩალობის სიბრტყეებს შორის 87° და 93° -ია. ოპტიკური თვისებები: გარდ. მაჩვ. $Ng = 1.710 - 1.724$; $Nm = 1.692 - 1.706$ და $Np = 1.685 - 1.700$; $cNg = 43$; $2V = 42 - 70$. იხსნება მხოლოდ ფტორის მჟავაში. ქიმიური შედგენილობისა და ფერის მიხედვით არჩევენ: ჩვეულებრივ ავგიტს (მწვანე ან მომწვანო შავი ფერის); ბაზალტურ ავგიტს (კუპრივით შავი ფერის); ტიტან ავგიტს (ატმის ყვავილის ფერი). მინერ. ასოციაცია პლაგიოკლაზი, ბიოტიტი, მაგნეტიტი და სხვა მრავალი. პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. ერთ-ერთი ქანმამენი მინერალია. გენეზისი – ენდოგენური, უპირატესად

ახასიათებს ფუძე ქანებს. საბადოს არ ქმნის, გვხვდება თითქმის ყველგან. საქართველოში – მოლითის რაიონში უბეში ქვიშრობის სახით.

აზბესტი – Асбест – Asbestos – Asbest

ბერძნული სიტყვიდან „ასბესტოს“ უქრობი დაუმღელი. აზბესტი კრებითი სახელია ისეთი მინერალებისა როგორცაა: ქრიზოლითი, მთის ტყავი (სერპენტინის ოჯახი) და ამფიბოლ-აზბესტის ოჯახის მინერალები: აქტინოლითი, ანტოფილიტი, გლაუკოფანი, კროკიდოლითი და ტრემოლითი. აზბესტს დიდი გამოყენება აქვს. იგი ძირითადად გამოიყენება ცეცხლგამძლე და მჟავაგამძლე მასალების წარმოებაში, გამოიყენება აგრეთვე როგორც საიზოლაციო მასალა და სხვა. ქეჩისებრ-ბოჭკოვან სახესხვაობებს ეწოდება მთის ტყავი, მთის სელი, მთის ხორცი, მთის ქეჩა, მთის ვუალი, მთის ქალაღი და სხვ.

აზურიტი – Азурит – Azurite – Azurite



სახელწოდება წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „აზურე“ – ლაჟვარდოვანი, ცისფერი. სინონიმია „სპილენძის ლაჟვარდი“ იგი მიეკუთვნება მალაქიტის ჯგუფის მინერალებს. ქიმიური შედგენილობა $CuO-69.2\%, (Cu-55.3\%), CO_2-25.6\%, H_2O-5.2\%$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმული კლასი. ახასიათებს: მჭიდრო მარცვლისებრი მასები, მიწისებრი გროვები, იშვიათად – რადიალურ-სხივოსნური კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი კობალტისებრ ლურჯი, ცისფერი: არაგამჭვირვალე, იშვიათად, გამჭვირვალე; ხაზის ფერი ლურჯი; ელვარება მინისებრი; სიმკვრივე – 3.5-4; მყიფე, მონატეხი – ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 3,7-3,9; ტკეჩადობა (021) გასწვრივ საშუალო. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $N_g=1.838$, $N_m=1.758$, $N_p=1.730$. იხსნება მარილმჟავაში, პარაგენეტული მინერალები მალაქიტი, ქალკობირიტი, კუპრიტი, ქალკოზინი და სხვა. ჩამოჰგავს ვივიანიტს და ლაზურიტს. სპილენძის საბადოები: ჟანგვითი ზონის ტიპური მინერალია, პრაქტიკული გამოყენება – სანახელავო ქვა. საბადოები: საფრანგეთი, რუსეთი (ნიჟნი ტავილი), კოპიაპო (ჩილე), ნამიბია, საქართველო (მადნეული).

აკანთიტი – Акантит – Acanthite – Akanthit

ბერძნული სიტყვიდან „აკანთა“ – ეკალი, სულფიდების ჯგუფის მინერალი არგენტიტის (Ag_2S) რომბული სინგ. დაბალტემპერატურული (179° -მდე) მოდიფიკაცია.

აკერიტი – Акерит – Akerite – akerit

სახელი მომდინარეობს შვედეთის ადგილ აკერიდან. ცისფერი შპინელი.

აკვამარინი – Аквамарин – Aquamarine – Aquamarin

ლათინური სიტყვიდან „აკვა“ – წყალი, „მარინუს“ – ზღვისა, ე.ი. ზღვის წყლის ფერი. ბერილის ზღვის წყლის (მომწვანო-მოცისფროდან ლაჟვარდისფრამდე) ფერი სახესხვაობა. ქიმიური შედგენილობა $BeO-14.0\%, Al_2O_3-19.4\%, SiO_2-67.0\%$ (თვისებები იხ. მინერალი ბერილი).

ალაბანდინი – Алабандит – Alabandite – Alabandin



ალაბანდა – ადგილი თურქეთში. სულფიდების ჯგუფი. კუბური სინგონია. ჰექსაოქტაედრის კლასი. ფიზიკური თვისებები: რკინისებრ შავი, ელვარება ნახევრად ლითონური; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მწვანე ან ყავისფერი; სიმკვრივე – 3.5-4; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 4; ტკეჩადობა (100)-ის გასწვრივ სრული. მჟავაში იხსნება. მინერ. ასოციაცია: როდოქროზიტი და სხვა მანგანუმიანი მინერალები. გვხვდება საქსონიაში, რუმინეთში, ნეკადის, კალიფორნიისა და არიზონას შტატებში, პერუში, ავსტრალიაში, ყირგიზეთში.

ალაზანიტი – Алазанит – Alazanite – Alazanit

მდ. ალაზნის სახელის მიხედვით. პიროტინის შეცვლის პროდუქტი. რომბული სინგონია. მოთეთრო ნაცრისფერი. ძალიან მაგარი. ძლიერ ანიზოტროპული. დიამაგნიტური. კახეთი (საქართველო).

ალბიტი – Альбит – Albite – Albit



ლათინური სიტყვიდან „ალბუს“ – თეთრი. იგი მიეკუთვნება მინდვრის შპატების ჯგუფის პლაგიოკლაზების ქვეჯგუფს. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Na_2O-10.79; CaO-Al_2O_3-19.4; SiO_2-68.81$. სინგონია ტრიკლინური, პინაკოდის კლასი, კრისტალის ფორმები უპირატესად ფირფიტოვანი. ფიზიკური თვისებები: ფერი თეთრი, მოვარდისფრო, მომწვანო, ზოგჯერ უფერო, იშვიათად გამჭვირვალე. ხაზის ფერი თეთრი; ელვარება – მინისებრი ან სადაფისებრი; სიმაგრე – 6-6.5; მონატეხი სწორი; სიმკვრივე – 2.63; ტექნადობა – სრული (010)-ის და (001)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები; გარდ. მაჩვ. $Ng = 1.588; Nm = 1.583; Np = 1.575$; ჩაქრობა ირიბი; ოპტიკურად დადებითი. მჟავებთან ურთიერთქმედებს ცუდად. სახესხვაობები მთვარის ქვა – ახასიათებს მოციხფრო ფერთა თამაში, ავანტიურინი – ახასიათებს მოწითალო მოოქროსფრო ბრჭყვიალი. თანაარსებობს მთის ბროლთან, სხვა მინდვრის შპატებთან, ქლორიტთან, რუტილთან, ტიტანიტთან და სხვ. წარმოშობა ენდოგენური. გვხვდება გრანიტებში და სხვა მჟავა მაგმურ და ეფუზიურ ქანებში. ერთ-ერთი გავრცელებული ქანმაშენი მინერალია, ყველაზე ხშირად გვხვდება ალპური ტიპის ძარღვებში.


ალექსანდრიტის კატისთვალი – Глаз кошачий Александритовый – Alexandrit-Katzenauge

ისეთი ალექსანდრიტი, რომელიც მოგვაგონებს კატის მოციმციმე თვალს.

აღმოსავლური კატისთვალი – Глаз кошачий восточный – Orientalisches Katzenauge

კატის თვალის სინათლის ეფექტების მქონე საფირონი.

ალაბასტრი – Алебастр – Alabaster




ალაბასტრონი – ქალაქი ძვ. ეგვიპტეში. ეს მინერალი მიეკუთვნება წყლიანი სულფატების ჯგუფს. თაბაშირის წმინდამარცვლოვანი, მარმარილოსებრი, მკვრივი სახესხვაობა.

ალექსანდრიტი – Александрит – Alexandrite



უწოდეს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის (1818-1881) პატივსაცემად. ქრიზობერილის სახესხვაობა (იხ.) დღის სინათლეზე მწვანე, ხელოვნურ განათებაზე მოიისფრო-მოწითალო, პირველი კლასის ძვირფასი ქვაა. გვხვდება: ბრაზილიაში, აშშ-ში, შრი-ლანკასა და ზიმბაბვეში, აგრეთვე ბირმასა და რუსეთში.

ალმანდინი – Альмандин – Almandine – Almandin



მცირე აზიაში ადგილ ალაბანდიდან, სადაც აწახნაგებდნენ ქვებს. მიეკუთვნება გრანატების ჯგუფს. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $FeO - 43.3; Al_2O_3 - 20.5; SiO_2 - 36.2$. კუბური სინგონია, ჰექსაედრის კლასი. უპირატესად გვხვდება იზომეტრიული ფორმის კრისტალები, ზოგჯერ ჩანაწინწკლები და რადიალურსხივოსნური. ფიზიკური თვისებები: ფერი – წითელი, მოყავისფრო ან მოიისფრო წითელი, შავი; გამჭვირვალედან არაგამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი, ცხიმოვანი ან ცვილისებრი; სიმაგრე – 6.7-7.5; მონატეხი ნიჟარისებრი, უსწორმასწორო, სიმკვრივე – 4.2; ოპტიკური ნიშნები: გარდ. მაჩვ. – $N-1.830$.


გვხვდება მჟავა ინტრუზივებსა და ეფუზივებში; აგრეთვე კრისტალ. ფიქლებში, გნეისებში. საიუველირო და ტექნიკური ქვაა. ფრიად გავრცელებული მინერალია, საბადოები: ავსტრიის ალპებში, შვედეთში, ალიასკაზე, კალიფორნიაში, ზიმბაბვეში, მადაგასკარზე, ბრაზილიაში, ურალსა და სხვაგან.

ალმასი – Алмаз – Diamond – Diamant

C

ბერძნული სიტყვიდან – „ადამას“ – დაუძლეველი, სწორუბოვარი, უბადლო. მიეკუთვნება ხალასი ნახშირბადის ჯგუფს. ქიმიური შედგენილობა $C = 100\%$. სინგ. კუბური, ჰექსაეტრაედრის კლასი. ხშირია ოქტაედრული, რომბოლოდეკაედრული, ზოგჯერ ჰექსაედრული ფორმები. ფიზიკური თვისებები: წყლისებრ გამჭვირვალე, ან მოცისფრო, ლურჯი, ყვითელი, იშვიათად შავი ფერის. უპირატესად გამჭვირვალე; ხაზის ფერი თეთრი; ელვარება ალმასური ან ლითონური; სიმაგრე 10; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე 3.5; ტკეჩადობა – სრული ოქტაედრის (III) წახნაგის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: გარდატ. მაჩვ. $N = 2.40 - 2.48$. წარმოშობა – ულტრაფუძე მაგმიდან; გვხვდება კიბბერლიტებში, ქვიშრობებში. საბადოები სამხრეთ აფრიკაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, რუსეთში. უპირველესი ძვირფასი ქვა. ხელოვნურად, გარკვეული წესით დაწახნაგებულ ალმასს, ბრილიანტი ეწოდება. განსაკუთრებულად დიდ ბრილიანტებს თავისი სახელი აქვთ, მაგ. კოლინანი, ექსცელსიორი, შაჰი და სხვა.

ალუნიტი – Алунит – Alunite – Alunit



ლათინური სიტყვიდან „ალუმენ“ – შაბი. მიეკუთვნება წყლიანი სულფატების ჯგუფს. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $K_2O - 11.4$; $Al_2O_3 - 37.0$; $SO_3 - 38.6$; $H_2O - 13.0$. ტრიგონულ, დიტრიგონული სკალენოდრის კლასი. გვხვდება უპირატესად წმინდამარცვლოვანი მიწისებრი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, მონაცისფრო, მოყვითალო ან მოწითალო ელფერით; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი, სადაფისებრი, სიმაგრე – 3.5-4; მონატეხი ნიჟარისებრი, ხიწვებიანი; სიმკვრივე 2.6-2.8; იშვიათად კრისტალებს ახასიათებს ტკეჩადობა (0001)-ის გასწვრივ სრული. ოპტიკ. თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.952$, $Nm - 1.572$; ჩაქრობა სწორი, წარმოიშვება დაბალ ტემპერატურული ჰიდროთერმული პროცესების შედეგად. პრაქტიკულად გამოიყენება შაბისა და ალუმინის სულფატის მისაღებად. გვხვდება კვარცთან, კოლინითთან, ჰალუაზიტთან ერთად. საბადოებია იტალიაში (ნეოპოლთან), უნგრეთში, აშშ-ში, ავსტრალიაში, იმიერკარპატებში, აზერბაიჯანში.

ამაზონიტი – Амазонит – Amazonite – Amazonit



სახელი წარმოდგება მდ. ამაზონიდან, სადაც თითქოს პირველად იყო ნაპოვნი მიკროკლინის მწვანე ან მოლურჯო მწვანე სახესხვაობა. (იხ. მიკროკლინი) გამოიყენება როგორც სანახელავო ქვა.

ამალგამა – Амальгама – Amalgam – Amalgam

ვერცხლისწყლის შენადნობი ნებისმიერ ლითონთან. მაგ. ვერცხლის ამალგამა – $AgHg$; ოქროს ამალგამა – Au_2Hg_3 ; პალადიუმის ამალგამა – $PdHg$ და სხვა.

ამარტა – ეშმა – იასპისი – მოყვითალო ფერის საიუველირო ქვა (იხ. იასპისი).

ამბრა – Амбра – Ambergris – Ambra


ყვითელი ან რუხი ფერის მყარი განამარხებული მცენარის ფისი.

ამეთვისტო – Аметист – Amethyst – Amethyst



ბერძნულად „ამეთისის“ ფხიზელი, ანტიკურ დროში იხმარებოდა ამულეტის სახით დათრობისაგან თავის დასაცავად. კვარცის იისფერი სახესხვაობა. საიუველირო ქვა. საბადოები: გერმანიაში, საფრანგეთში, ბრაზილიაში, ურალში. საიუველირო ბაზარზე იხმარება აგრეთვე ტერმინები: ამეთვისტო – ბაზალტინი; მოწითალო-მოიასამნისფრო ბერილი ან აპატიტი. აღმოსავლეთის ამეთვისტო იისფერი საფირონი ან შპინელია. ცრუ ამეთვისტო – მეწამული ან იისფერი ფლუორიტი.

ამფიბოლები – Амфиболы – Amphibole – Amphibol – Uzippe.



სადაც $X = Ca, Na, K, Mn, Fe^{+2}, Mg; Y = Mg, Fe^{+2}, Fe^{+3}, Al, Mn, Ti^{+3}; Z = Si, Al$

სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „ამფიბოლეს“ ნიშნავს ორგვარს, იგულისხმება შედგენილობისა და ფორმების ცვალებადობა. ამ ჯგუფის მინერალები უმეტესად მონოკლინურ სინგონიაში კრისტალდება, ზოგი რომბულში. ამფიბოლების ჯგუფის მინერალი ძალიან გავრცელებული ქანმაშენი მინერალია. ფერი სხვადასხვა აქვს – თეთრი, ბოთლისებრ მწვანე, რუხი შავამდე. ყველა ამფიბოლს ახასიათებს სრული ტკეჩადობა (110)-ის გასწვრივ, მესამე კრისტალოგრაფიული ღერძის მართობულ კვეთებში ტკეჩადობის სიბრტყის კვეთი ქმნის რომბებს, რომლის ბლაგვი კუთხე 124° -ია. გენეზისი მაგმური და მეტამორფულია.

ანალციმი – Анальцим – Analcite – Analcim



სახელწოდება ბერძნული „ანალკის“ – სუსტი, იგულისხმება, რომ გათბობის ან ხახუნის შედეგად სუსტად ატარებს ელექტროდენს. ლეიციტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით $Na_2O - 14.07; Al_2O_3 - 23.29; SiO_2 - 54.47; H_2O - 8.17$. კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. კრისტ. ფორმები – ტეტრაგონრიოქტაედრები (ჰვავს ბურთს). ფიზიკური თვისებები: უფერო, ზოგჯერ თეთრი - მოწითალო, მომწვანო, მონაცისფრო ელფერით; ხაზის ფერი თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე 5.5; მონატეხი ნიჟარისებრი, უსწორმასწორო, სიმკვრივე 2.24-2.31; ტკეჩადობა ძალზე ცუდი. ოპტიკური თვისებები: გარდ. მაჩვ. $N - 1.49$; მჟავაში იხსნება. გვხვდება SiO_2 -ით ღარიბი მაგმის პროდუქტებში; არსებობს დანალექი წარმოშობისაც. გვხვდება გერმანიაში (ჰარცის მთები); ვენეციის მახლობლად; ჩეხეთში; აშშ-ის ნიუ-ჯერსის შტატში; ჰავაის კუნძულებზე; ნეაპოლის ყურეში. დანალექი ანალციმი ცნობილია გელათის მოდამოებში.

ანატაზი – Анатаз – Anatase – Anatas



ბერძნული „ანატავის“ – გაწელილი, წაგრძელებული; კრისტალები ძალზე წაგრძელებულია. რუტილის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით $Ti - 60; O - 40$. ტეტრაგონული, დიტეტრაგონულ-დიპირამიდის კლასი. კრისტ. ფორმები: მსხვილი დიპირამიდები, ზოგჯერ ფირფიტები და პრიზმები. ფიზიკური თვისებები: მოშავო-მოლურჯო, თაფლისებრ ყვითელი, ყავისფერი, სუმბულისებრ წითელი და სხვ.; არაგამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – უფერო, ბაცი ყვითელი, ელვარება აღმასისებრი, ცხიმისმაგვარი ან მეტალოიდური; სიმაგრე 5.5-6; მონატეხი სწორი; სიმკვრივე 3.8-3.9; ტკეჩადობა სრული (001)-ის და (111)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: გარდ. მაჩვ. $Nm - 2.55; Np - 2.49$. იგი აქცესორული მინერალია გვხვდება მაგმურ და მეტამორფულ ქანებში კვარცთან, რუტილთან, ბრუკიტთან, კალციტთან ერთად. ხშირია აგრეთვე ქვიშრობში. გვხვდება შვეიცარიაში, ავსტრიაში, კოლორადოს შტატში (აშშ), ბრაზილიაში, სამხ. აფრიკაში.

ანგლეზიტი – Англезит – Anglesite – Anglesit



აღმოჩენილ იქნა კ. ანგლეზზე უელსში. სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $PbO-73.0; SO_3-26.4$. რომბული, რომბულ-დიპირამიდული კლასი. ყველაზე ხშირად გვხვდება მინერალ გალენიტზე ქერქების სახით, იშვიათად – ფირფიტებისა და პირამიდების სახით. ფიზიკური თვისებები: თეთრი, მოთეთრო-მონაცრისფრო; სუსტად გამჭვირვალე; ხაზის ფერი თეთრი; ელვარება ალმასისებრი ცხიმოვანადე; სიმაგრე 3; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე 6.3; ტკეჩადობა სრული (001)-ის და სუსტი (210)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: $Ng-1.894; Nm-1.882; Np-1.887$. იხსნება KOH -ში. ბუნებაში გვხვდება ცერუსიტთან, გალენიტთან, სმიტსონიტთან, სფალერიტთან ერთად. გენეტიკურად დაკავშირებულია გალენიტის დაჟანგვასთან. ტყვიის მადანია. საბადოებია გერმანიაში, ავსტრიაში, უელსში (ანგლეზე), სარდინიაში, ნამიბიასა და სხვ.

ანდალუზიტი – Андалузит – Andalusite – Andalusit




სახელი ესპანეთის ანდალუზიიდან მოდის. დისტენის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Al_2O_3-63.1; SiO_2-36.9$. ტრიგონული, რომბოედრის კლასი. კრისტ. ფორმა – წაგრძელებული c ღერძის გასწვრივ პრიზმები, ფირფიტისებრი, სხივოსნური. ფიზიკური თვისებები: ნაცრისფერი; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მქრქალი, მინისებრი; სიმაგრე 7-7.5; მონატეხი უსწორმასწორო, ხიწვოვანი. სიმკვრივე 3.1-3.2; ტკეჩადობა მკაფიო – (110)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: $Ng-1.639-1.647; Nm-1.633-1.644; Np-1.629-1.640$. ახასიათებს სუსტი ლუმინისცენცია მოყვითალო-მომწვანო ფერებში. სახესხვაობა ნახშირბადის შემცველი – ხიასტოლითი (იხ.) პარაგენეტული მინერალები: ბიოტიტი, მუსკოვიტი, ალმანდინი, ტურმალინი, დისტენი, სტავროლითი და სხვა. ტიპური მეტამორფული მინერალია, გვხვდება პეგმატიტებში. საბადოები: ტიროლში, ანდალუზიაში, მურზილკაში (ურალი), ტრანსვაალსა და სხვ.

ანდეზინი – Андезин – Andesite – Andezin

$An_{30}-50\% - Al_{50}-70\%$ (იხ. პლაგიოკლასები)

პირველად ნახეს ანდებში (სამხ. ამერიკა). მიეკუთვნება პლაგიოკლასების ჯგუფს და შუალედური წევრია იზომორფულ რიგში. შედგენილობა ასეც შეიძლება გამოვსახოთ $n(Na[AlSi_3O_8]) \cdot m(Ca[Al_2Si_2O_8])$, სადაც $n=50.70, m=31.50$ ქიმიური შედგენილობა %-ობით (უკიდურესი წევრისთვის) $Na_2O-5.89; CaO-10.05; Al_2O_3-28.01; SiO_2-56.05$. ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. კრისტალები იშვიათია, გვხვდება მასიური გამონაყოფების და მარცვლების სახით. საშუალო სიმჟავის ქანების ერთ-ერთი მთავარი ქანმამენი მინერალია, ახასიათებს კრისტალოგრაფიული მრჩობლები. (ალბიტის, კარლსბადის და პერიკლინური კანონების მიხედვით). ფიზიკური თვისებები: ფერი – მოთეთრო-მონაცრისფრო, მოყვითალო ან მომწვანო; სუსტად ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – უფერო; ელვარება მინისებრი; სიმაგრე 6-6.5; მონატეხი უსწორმასწორო, ნიჟარისებრადე; სიმკვრივე 2.66-2.69; ტკეჩადობა (001)-ის და (010)-ის გასწვრივ, რომლებიც თითქმის ურთიერთმართობია. ოპტიკური თვისებები: $Ng-1.557; Nm-1.553; Np-1.550$; ოპტიკურად დადებითი: ჩაქრობა ირიბი. გვხვდება ანდეზიტებში ფენოკრისტალების სახით. მოიპოვება გერმანიასა და ჩეხეთში.


ანდრადიტი – Андрадит – Andradite – Andradit



უწოდეს პორტუგალიელი მინერალოგის დ'ანდრადე სილვას პატივსაცემად. გრანატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით $CaO-33.0; Fe_2O_3-31.5; SiO_2-36.5$. სინგონია კუბური ჰექსაედრის კლასი. კრისტალები რომბოედრეკაედრისა და ტეტრაგონტრიოქტაედრის


ფორმის, მჭიდრო მასებია. ფიზიკური თვისებები: ყავისფრიდან შავ ფერამდე. არაგამჭვირვალედან მოწითალო გამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრიდან ცხიმოვანამდე; სიმაგრე – 6.5-7.5; მონატეხი ნიჟარისებრი, ხიწვიანი; სიმკვრივე 3.7-3.8. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $N-1.895$. მწვანე სახესხვაობას დემანტოიდი ეწოდება და მიჩნეულია საიუველირო ქვად. პარაგენეტული მინერალები: მაგნეტიტი, სფალერიტი, პიროქსენები, კალციტი. გვხვდება ინტრუზიულ და ვულკანურ ქანებში. საბადოები: ჩეხეთში, შვეიცარიაში, რუსეთსა და აშშ-ში.

ანკერიტი – Анкерит – Ankerite – Ankerit



უწოდეს ავსტრიელი მინერალოგის ანკერის პატივსაცემად. არაგონიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით $CaMg[CO_3]_2; CaFe[CO_3]_2$. სინგონია ტრიგონული რომბოედრის კლასი. ფორმა: რომბოედრები, უფრო ხშირად მასიური, მარცვლოვანი აგრეგატები. ფიზიკური თვისებები: ნაცრისფერი, არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი თეთრი ან ღია ნაცრისფერი; ელვარება მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე 3.5; მყიფე; სიმკვრივე 2.9-3.8; ტკეჩალობა სრული რომბოედრის (1011)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: $Nm-1.741; Np-1.536$. ცხელ HCl -ში იხსნება შიშინით. ტიპური ჰიდროთერმული მინერალია, გვხვდება სიდერიტთან, დოლომიტთან, გალენიტთან, კვარცთან ერთად. საბადოები: საქსონიაში, ჩეხეთსა და რუსეთში.

ანორთიტი – Анортит – Anorthite – Anorthit.




ბერძნულად „ანორთოს“ – ირიბი. პლაგიოკლაზების (იხ.) ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $CaO - 20.1; Al_2O_3 - 36.62; SiO_2 - 43.28$. სინგონია ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. კრისტალები მოკლენემსისებრი, მოკლესვეტისებრი, მარცვლოვანი, მასიური აგრეგატები. ფიზიკური თვისებები: უფერო, თეთრი, ნაცრისფერი, მოწითალო (ზოგჯერ). ხაზის ფერი: თეთრი; ელვარება მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე 6; მონატეხი ნიჟარისებრი, უსწორმასწორო; სიმკვრივე 2.76; ტკეჩალობა: სრული (001)-ის და კარგი (010)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $Ng-1.589, Nm-1.583, Np-1.576$; ჩაქრობის კუთხე ირიბი; ოპტიკურად დადებითი. მჟავებში იხსნება. თანამდევი მინერალები: კალციტი, დოლომიტი და სხვ. ერთ-ერთი ქანმამშენი მინერალია; გვხვდება ფუქე და ულტრაფუქე ქანებში.

ანორთოკლაზი – Анортотлаз – Anorthoclase – Anorthoclase



ბერძნულად „ანორთოკლაზი“ ნიშნავს არა ორთოკლაზს (Na -ის შემცველობის გამო ან მსგავსია მხოლოდ გარეგნულად). კალიუმიან-ნატრიუმიანი მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Na_2O გაცილებით ჭარბობს K_2O -ს. ტრიკლინური სინგონია, პინაკოიდის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი თეთრი, მოყვითალო ან მოლურჯო ელფერით; სუსტად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე 6; მონატეხი – არასწორი, ნიჟარისებრი; სიმკვრივე 2.56-2.6; ტკეჩალობა სრული (001)-ის გასწვრივ და საშუალო (010)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: $Ng-1.530, Nm-1.529; Np-1.523$; ჩაქრობა ირიბი, ოპტიკურად უარყოფითი. გვხვდება მასიური, მარცვლოვანი აგრეგატების ან არასრულად განვითარებული კრისტალების სახით. მჟავებში იხსნება, პარაგენეტული მინერალები: ბიოტიტი, ტიტან-მაგნეტიტი, ილმენიტი. ქანმამშენი მინერალია.

ანტიგორიტი – Антигорит – Antigorite – Antigorit



„ანტიგორიტი“ ადგილია ჩრდ. იტალიაში. სერპენტინის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO-43.0; SiO_2-44.1; H_2O-12.9$. სინგონია მონოკლინური ან რომბული. გვხვდება ძირითადად ქერცლების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი ყვითლიდან მწვანემდე; თხელ ფირფიტებში სუსტად გამჭვირვალე; ელვარება მინისებრი; ცხიმისა; სიმაგრე 2.5-3; სიმკვრივე 2.5-2.7; ტკეჩადობა სრული (001)-ის და ნაკლებ სრული (010)-ის გასწვრივ. ჰიდროთერმული ცვლილების შედეგად მიღებული ტიპური მინერალია. გვხვდება ჰიდროთერმულად შეცვლილი კრისტალური ფიქლების გავრცელების ადგილებში. გვხვდება ბუდობების სახით სამხრეთ ტიროლში, ანტიგორიაში (იტალია), კვებეკსა და სხვ.

ანტიმონიტი – Антимонит – Antimonite – Antimonit

სტიბნიტი – Стибнит – Stibnite – Stibnit



პირველი სახელი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ანტი“ – საწინააღმდეგო და „მონოს“ – ბერი, ე.ი. ბერების საწინააღმდეგო; გადმოცემის თანახმად ამ მინერალის ფხვნილს იყენებდნენ ბერების მოსაწამლავად; ხოლო მეორე სახელი ჰქვია ქიმიური ელემენტის „სტიბიუმის“ შემცველობის გამო. სულფიდების ჯგუფის მინერალი ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Sb-71.4; S-28.6$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება პრიზმული, სვეტისებრი, ნემსისებრი ; მოშავო-მოლურჯო ელფერით; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მოტყვიისფრო-მონაცრისფრო; ელვარება – ძლიერი, ლითონური; სიმაგრე -2, რბილი; სიმკვრივე – 4.61-4.65; ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ. პარაგენეზული მინერალები: კინოვარი, ფლუორიტი, კვარცი, გალენიტი და სხვ. გვხვდება ჰიდროთერმულ ძარღვებში. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი, ფრაიბერგი); სლოვაკეთში (მაგურკა); საფრანგეთში; მალაიზიაში; ჩინეთში; გვხვდება საქართველოშიც.

ანტოფილიტი – Антофиллит – Anthophyllite – Anthophyllit



ლათინურად – „ანტოფილუმ“ მიხაკი (მისი ფერის გამო ეწოდება). ამფიბოლების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $MgO-27.8; FeO-16.6; SiO_2-55.6$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალის ფორმები: იშვიათად კრისტალები, ჩვეულებრივ ფირფიტოვანი, ნემსისებური, ბოჭკოვანი. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყვითალო-მონაცრისფრო, მოყვითალო-მოყავისფრო; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი თეთრი; ელვარება – მინისებრი, აბრეშუმისებრი; სიმაგრე – 6.5; მონატეხი – საფეხურისებრი, არასწორი, ზოგჯერ ადვილად იყოფა ბოჭკოებად; სიმკვრივე – 3.0-3.27; ტკეჩადობა სრული (210)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $Ng-1.661; Nm-1.642; Np-1.636$. გვხვდება – ბიოტიტთან, კვარცთან, მინდვრის შპატთან ერთად. მეტამორფული ქანების ტიპური ქანმაშენი მინერალი. საბადოები: გერმანიაში, ნორვეგიაში, რუსეთში.


ანჰიდრიტი – Ангидрит – Anhydrite – Anhydrit



ბერძნული სიტყვიდან – „ანჰიდროს“ – უწყლო. სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO-41.2; SO_3-58.8$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. აგრეგატები: მჭიდრო, სვეტისებრი, ბოჭკოვანი. ფიზიკური თვისებები: ფერი – ნაცრისფერი, თეთრი, რუხი, მოწითალო, მოცისფრო, მოიისფრო, გამჭვირვალე, ზოგჯერ მღვრიე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, ტკეჩადობის სიბრტყეზე სადაფისებრი; სიმაგრე – 3-4; მონატეხი სწორი; სიმკვრივე – 2.9-3; ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ, ხოლო (010)-ის და (100)-ის


გასწვრივ არასრული. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $Ng-1.614; Nm-1.576; Np-1.571$. H_2SO_4 -ში იხსნება. თანაარსებული მინერალები: თაბაშირი, ჰალიტი, სილვინი. ანჰიდრიდი გამოიყენება გოგირდმჟავას მისაღებად და სამშენებლო მასალად. საბადოები: გერმანიაში, ურალში, უკრაინაში, ვოლგისპირეთსა და საქართველოში.

აპატიტი – Апатит – Apatite – Apatit



ბერძნული სიტყვიდან – „აპატაო“ - ვატყუებ, რადგანაც გვხვდება სხვადასხვა ფორმის და ფერის აგრეთვე წააგავს სხვა მინერალებს – ბერილს, დიოპსიდს, ტურმალინს. აპატიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $CaO-55.5; P_2O_5-41.0; F-3.5$, სინგონია – ჰექსაგონური, დიპირამიდის კლასი. აგრეგატები: პრიზმული, ნემსისებრი, მარცვლოვანი, მასიური. ფიზიკური თვისებები: თეთრი, მწვანე, მოლურჯო-მომწვანო, იასამნისფერი; ზოგჯერ გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, მონატეხზე ცხიმისებრი; სიმაგრე – 5; მონატეხი ნიჟარისებრი, ხშირად არასწორი; სიმკვრივე – 3.2; ტკეჩადობა პრიზმის წახნაგების პარალელურად. ოპტიკური თვისებები: $Nm-1.633; Np-1.629$. მსგავსი მინერალები ბერილი, კვარცი, ნეფელინი, კორდიერიტი, ორთოკლაზი, განსხვავდება მათგან სიმაგრით. მასთან ერთად გვხვდება აგრეთვე კასიტერიტი, ვოლფრამიტი, მაგნეტიტი, ტოპაზი და სხვა. გამოიყენება ფოსფატური სასუქების წარმოებაში. წარმოშობა მაგმური, კონტაქტ-მეტასომატური, ჰიდროთერმული. საბადოებია: კოლის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ ურალში, შვედეთში, კანადაში, ჩრდილოეთ აფრიკაში.

აპოფილიტი – Апофиллит – Apophyllite – Apophyllit



(ზოგჯერ K -ის ნაწილი ჩანაცვლებულია Na -ით, ხოლო $F-OH$ -ით).

ბერძნული სიტყვიდან „აპო“ – ატკეჩა, „ფილონ“ – ფურცელი, გახურებისას იხლიჩება. ცეოლითების მსგავსი მინერალია. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $CaO-25.73; K_2O-4.08; N_2O-1.85; F-0.11; SiO_2-68.19$. სინგონია ტეტრაგონული, დიტეტრაგონული დიპირამიდის კლასი. კრისტალის ფორმები: ფურცლოვანი, ფენოვანი, მარცვლოვანი, ზოგჯერ პრიზმული კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, თეთრი, მოვარდისფროდან მოწითალომდე, მოყვითალოდან ნარინჯისფრამდე, ყავისფერი ან მომწვანო; გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – ძლიერი სადაფისებრი; სიმაგრე – 4.5-5; მყიფე, მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 2.33-2.37; ტკეჩადობა ფრიად სრული (001)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: $Nm-1.537; Np-1.535$. გვხვდება როგორც ოპტიკურად დადებითი, ისე უარყოფითი, ზოგჯერ ოპტიკურად იზოტროპულია. იხსნება HCl -ში. პარაგენეტული მინერალები ცეოლითები, კალციტი, ანალციმი და სხვა. ტიპური მეორეული ჰიდროთერმული მინერალია. საბადოებია გერმანიაში, ჩეხეთში, იტალიაში, ნორვეგიასა და სხვაგან. გვხვდება საქართველოშიც (ურავი).

არაგონიტი – Арагонит – Aragonite – Aragonit



ასე ჰქვია ესპანეთის პროვინციის „არაგონის“ მიხედვით. კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $CaO-56.0; CO_2-44.0$. სინგონია – რომბული, ბიპირამიდის კლასი, აგრეგატები – პრიზმული, რადიალურ-სხივოსნური, ზოგჯერ მასიური. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ნაცრისფერი, მოწითალო, მწვანე, ლურჯი და სხვა; გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, აბრეშუმისებრი; სიმაგრე – 3.5-4; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 2.95; ტკეჩადობა არასრული (010)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები $Ng-1.686; Nm-1.681; Np-1.530$. HCl -ში იხსნება ადვილად, შიშინით.

პარაგენეტული მინერალები: სიდერიტი, ლიმონიტი, თაბაშირი და სხვ. ჩამოჰგავს კალციტს, ბარიტს, ცელესტინს, ტოპაზს. წარმოშობა ჰიდროთერმული. საბადოები: ურალში, სომხეთში, ესპანეთში. ზოგჯერ გამოიყენება როგორც სანახელოვო ქვა.

არგენტიტი – Аргентит – Argentite – Argentit



ლათინური სიტყვიდან „არგენტუმ“ – ვერცხლი. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Ag - 87.1; S - 19.9$. კუბური ჰექსაოქტაედრის კლასი. აგრეგატები: ფირფიტოვანი, ტეტრაედრული კრისტალები. ფიზიკური თვისებები; ფერი შავი, მოშავო ნაცრისფერი; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მუქი ნაცრისფერი; ელვარება ლითონური; სიმაგრე – 2-2.5; მონატენი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 7.2-7.4; ტკეჩადობა არასრული. იხსნება HNO_3 -ში გამოჰყოფს გოგირდს. პარაგენეტული მინერალები: პირარგირიტი, ხალასი ვერცხლი, პირიტი, გალენიტი, სფალერიტი, ბარიტი, კალციტი და სხვ. ჩამოჰგავს ქალკოზინს. ვერცხლის მადანია. წარმოშობა ჰიდროთერმული. საბადოები გვხვდება მექსიკაში, პერუში, კანადასა და სხვაგან.

არსენოპირიტი – Арсенипирит – Arsenopyrite – Arsenopyrit



ლათინური სიტყვიდან „არსენიკუმ“ – დარიშხანი, დარიშხანიანი პირიტი. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Fe - 34.3; As - 46.0; S - 19.7$. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალი ნემსისებრი, პრიზმული, მასიური. ფიზიკური თვისებები: ფერი თეთრი, ნაცრისფერი, ყვითელი, არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი შავი, მონაცისფრო-მოშავო, ელვარება ლითონისებრი; სიმაგრე – 5.5-6; მონატენი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 5.9-6.2; ტკეჩადობა არასრული (110)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი მაღალი, ელექტრობის გამტარი. HNO_3 -ში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: გალენიტი, ქალკოპირიტი, პირიტი და სხვ. ჩამოჰგავს სმალტინს, პირიტს, მარკაზიტს, პიროტინს. ჰიდროთერმული წარმოშობისაა. საბადოები: შვედეთში, გერმანიაში, შუა აზიაში, ურალში.

არფვედსონიტი – Арфведсонит – Arfvedsonite – Arfvedsonit



ასე ჰქვია შვედი ქიმიკოსის არფვედსონის პატივსაცემად. ამფიბოლების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა ცვალებადია. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალის ფორმები – სვეტისებრი, პრიზმული, რადიალურ-სხივისებრი, ზოგჯერ მარცვლოვანი. ფიზიკური თვისებები: ყორნისებრ შავი; სუსტად გამჭვირვალე; ხაზის ფერი მოცისფრო – მონაცრისფრო; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 5.5-6; მონატენი სწორი; სიმკვრივე 3.4; ტკეჩადობა (110)-ის გასწვრივ კარგი. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი – $Ng - 1.708; Nm - 1.707; Np - 1.687$. გვხვდება მაგმური წარმოშობის ტუტე ქანებში; ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული ქანმაშენი მინერალია.

აურიპიგმენტი – Аурипигмент – Orpiment – Auripigment



ლათინური სიტყვიდან „აურუმ“ – ოქრო, „პიგმენტუმ“ – საღებავი (ანუ ოქროს საღებავი). სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $As - 61; S - 39$. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალები სვეტისებრი, მოკლეპრიზმული. ფიზიკური თვისებები: ლიმონისებრ ყვითელი, ზოგჯერ მოწითალო ელფერით, სუსტად გამჭვირვალე, ხაზის ფერი – ღია ყვითელი; ელვარება: მინისებრი, სადაფისებრი, ალმასისებრი, ზოგჯერ ცხიმოვანი; სიმაგრე 1.5-2; მონატენი სწორი; სიმკვრივე – 3.4-3.5; ტკეჩადობა სრული პრიზმის წახნაგების გასწვრივ. ოპტიკური თვისებები – გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 3.0; Nm - 2.8; Np - 2.4$. იხსნება

აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები – რეალგარი, ანტიმონიტი, პირიტი, სფალერიტი, ბარიტი, კალციტი. წარმოშობა ჰიდროთერმული. საბადოები: საბერძნეთში, აშშ-ში, გერმანიაში; საქართველოში – ლუხუმში ერთ-ერთი უდიდესი საბადოა.

აფხაზიტი – Абхазит – Abkhazit – Abchazit

სახელწოდება მომდინარეობს აფხაზეთიდან, მინერალ ტრემოლითის სახესხვაობა.

აქატი – Агат – Agate – Achat




სახელწოდება მიიღო სიცილიის მდინარე „ახატოსისგან“. სადაც აქატს უძველესი დროიდან მოიპოვებდნენ. აქატი კვარცის ჯგუფის მინერალ ქალცედონის სახესხვაობებს შორის ერთ-ერთი ულამაზესი – ზოლიანი სახესხვაობაა. სხვადასხვაფერი ზოლები ამ ქვას ძლიერ მიმზიდველობას ანიჭებს. ქიმიური შედგენილობა %-ობით – SiO_2 -100. ფერი: ნაცრისფერი, რძისებრ თეთრი, მონაცრისფრო-მოცისფრო, მწვანე, ყავისფერი, ვარდისფერი, ლურჯი, შავი. სიმკვრივე – 2.59-2.61. ფერის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი სახესხვაობები: თეთრი, ნაცრისფერი ქალცედონ-აქატი; წითელი, ნარინჯისფერი კარნეოლ-აქატი; შავი და თეთრი ზოლების მორიგეობანი – აქატის ონიქსი; ღია ფერის წითელლაქებიანი – ჰემაქტი. აქატისაგან ამზადებენ სამკაულებს. იგი ტექნიკაშიც გამოიყენება. საბადოები მრავლადაა, საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს (ახალციხის) საბადო.

აქროიტი – Ахроит – Achroite – Achroite

ტურმალინის ჯგუფის მინერალის ელბაიტის უფერო სახესხვაობა. სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „აქროს“ - უფერო.


აქსინიტი – Аксицит – Axinite – Axinit



ბერძნული სიტყვიდან „აქსინე“ – ნაჯახი, ასე ეწოდა მისი კრისტალების ფორმის გამო, ორთოსილიკატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა ცვალებადია. სინგონია ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. აგრეგატები: სვეტიცები, ფირფიტოვანი, მარცვლოვანი, ფიზიკური თვისებები: ფერი მომხსაკისფრო-მოყავისფრო, მოთაფლისფრო-მონაცრისფრო, ღია ლურჯი, ვარდისფერი, წითელი. გამჭვირვალე. ხაზის ფერი თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმკვრივე – 6.5-7; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 3.2-3.3; ტექნადობა სრული (010)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.676 - 90; Nm - 1.684 - 98; Np - 1.676 - 90$.

პარაგენეტული მინერალები: კვარცი, ეპილოტი, ქლორიტი, ამფიბოლი; კონტაქტ-მეტამორფული ქანების მინერალია. საბადოები: ალპებში, ტასმანიაზე, კანადაში, მექსიკასა და სხვაგან.

აქტინოლიტი – Актинолит – Actinolite – Aktinolith



ბერძნული სიტყვიდან „აქატის“ – სხივი „ლითოს“ – ქვა, ე.ი. სხივისებრი ქვა. ამფიბოლების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა ცვალებადია. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება გრძელპრიზმული, ხშირად ნემსისებრი და მასთან სხივისებრად განლაგებული კრისტალების სახით, ზოგჯერ ბოჭკოვანიც არის. ფიზიკური თვისებები: ფერი – ღია მწვანიდან - მუქ მწვანემდე; ხაზის ფერი უფეროდან მკრთალ მოცისფრო-მონაცრისფრომდე; ცუდად გამჭვირვალე; ელვარება – მინისებრიდან აბრეშუმისებრამდე; სიმკვრივე – 5-6; მონატეხი სწორი; სიმკვრივე – 3.0-3.1. ტექნადობა პრიზმის გასწვრივ სრული. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი – $Ng - 1.641; Nm - 1.663; Np - 1.619$. პარაგენეტული მინერალები: ტალკი, ქლორიტი, სერპენტინი. საბადოები: ავსტრალიაში, შვეიცარიაში, შოტლანდიაში, ავსტრალიასა და სხვ. ქანმაშენი მინერალია.

აშირიტი – Аширит – Aschirit

იგივეა რაც დიოპტაზი

აღრალების ქვა

ამ ჯგუფში გაერთიანებულია – ძოწი, ამარტა, ბროლი, ლაჟვარდი, ქარვა და მისთანანი (სულხან-საბა ორბელიანი).

ბ

ბაია-ზურმუხტი – Баия-изумруд – Bahia emerald – Bahia-Smaragol

მოყვითალო-მომწვანო, ძალიან დიდი სიმკვრივის (2.7-2.72) ალმასის კომერციული ტერმინი. საბადო ბაიაში (ბრაზილია).

ბაია-ტოპაზი – Баия-Топаз – Bahia Topaz – Bahia-Topas


ციტრინის (ყვითელი კვარცი) კომერციული ტერმინი. საბადო ბაიაში (ბრაზილია).

ბარიტი – барит – Heavy spar – Baryt



ბერძნული სიტყვიდან „ბარის“ — მძიმე (მინერალის დიდი სიმძიმის გამო). ქიმიური შედგენილობა %-ობით – $BaO - 65.7$; $SO_3 - 34.3$. სულფატების ჯგუფის მინერალი. სინგონია რომბული; დიპირამიდის კლასი. კრისტალები ფირფიტოვანი, პრიზმული, მკვრივი (მარმარილოსებრი). ფიზიკური თვისებები: გამჭვირვალე; თეთრი, მოყვითალო, მოვარდისფრო, მომწვანო და სხვ. ხაზის ფერი: თეთრი; ელვარება მინისებრი, აბრეშუმისებრი; სიმკვრივე – 3; მონატენი – სწორი; სიმკვრივე – 4.3-4.7; ტკეჩალობა სრული (010)-ის გასწვრივ, არასრული (021)-ის და (001)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $N_g - 1.648$; $N_m - 1.637$; $N_p - 1.636$. მუავაში არ იხსნება. პარაგენეზული მინერალები: კალციტი, ფლუორიტი, სიდერიტი, გალენიტი. როგორც წესი ჰიდროთერმულია. არსებობს დანალექი წარმოშობისაც. ბარიტი ქიმიური მრეწველობისთვის საჭირო ნედლეულია (საღებავები). საბადოები: ინგლისში, რუმინეთში, იტალიაში, საქართველოში (ჩორდი, წყალტუბო).

ბარკევიკიტი – Баркевикит – Barkevikite – Barkevikit



სახელწოდება წარმოდგება „ბარკევიკედან“ (ნორვეგია), სადაც პირველად იქნა ნანახი. ამფიბოლების ჯგუფის მინერალი. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. ახასიათებს პრიზმული იერის კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი მუქი, შავი, ხაზის ფერი – მწვანე ზეთისხილისფერი; ელვარება მინისებრი; სიმკვრივე – 5-6; მონატენი ტკეჩალობის მართობულად უსწორმასწორო; სიმკვრივე 3.2-3.3; ტკეჩალობა (110)-ის გასწვრივ კარგი. ოპტიკური თვისებები – გარდატეხის მაჩვენებელი $N_g - 1.70$; $N_m - 1.69$; $N_p - 1.68$. ტუტე მაგური ქანების ქანმანეტი მინერალია. საბადოები: ნორვეგიაში, გერმანიაში, შოტლანდიაში, გვხვდება საქართველოს ზოგ ქანშიც.

ბეიდელიტი – Бейделлит – Beidellite – Beidellit



სახელწოდება წარმოდგება ადგილ „ბეიდელიდან“ (კოლორადო, აშშ). მონტმორილონიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Al_2O_3 - 20 - 27.6$; $SiO_2 - 45 - 50$. სინგონია მონოკლინური. ფერი მოთეთრო, ყვითელი ან წითელი ელფერით. ზოგჯერ გვხვდება უფერო ხშირად – მიწისებრი მასების სახით. ელვარება ცვილისებრი; სიმკვრივე – 1.5; სიმკვრივე – 2.6;

წყალში ჯირჯვდება; გამოფიტვის ქერქის მინერალია. საბადოები: ბეიდელში (აშშ), ხუსტაში (კარპატები, უკრაინა).

ბენიტოიტი – Бенитоит – Benitoite – Benitoit



სახელწოდება წარმოდგება ადგილ „სან-ბენიტოდან“ (აშშ). ტიტანიტის ჯგუფის მინერალი. სინგონია ჰექსაგონური, დიტეტრაგონული – დიპირამიდის კლასი. კრისტალები პირამიდული ან ფირფიტოვანია. ფიზიკური თვისებები: ფერი ცისფერი, ლურჯი, ტყვიისებრ ნაცრისფერი, წითელი, უფერო, ზოგჯერ ფერები იცვლება ერთ კრისტალში; უპირატესად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი, ძლიერი; სიმაგრე – 6-6.5; მყიფე, მონატეხი ნიჟარისებრი, სიმკვრივე – 3.64-3.67; ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $N_g - 1.804; N_m - 1.757$; იხსნება HF -ში; ულტრაიისფერი ლუმინესცენცია. პარაგენეზული მინერალები: ნატროლითი, ანატაზი, გლაუკოფანი. მეტამორფული ქანების მინერალია. ძალზედ იშვიათია გამჭვირვალე წითელი შეფერვის (საფირონის მსგავსი) მქონე კრისტალები, რომელიც გამოიყენება საიუველირო საქმეში. საბადო – ეშმაკის კანიონი (სან-ბენიტო, კალიფორნია, აშშ).

ბენტონიტი – Бентонит – Bentonite – Bentonit


ამერიკაში გავრცელებული სახელწოდება ისეთი თიხებისა (ადგილმდებარეობის მიხედვით, აშშ), რომლებიც წარმოიქმნენ ვულკანური მინის ფერფლის დალექვის თანადროული გამოფიტვის გზით. უფრო ხშირად უწოდებენ მონტმორილონიტის ჯგუფს, რომელშიც გაერთიანებულია მინერალები: ბეიდელიტი, ნონტროლიტი, საპონიტი და სხვა. გამოიყენება როგორც აღსორბენტი და საიზოლაციო მასალა. საბადოები: ფლორიდაში, აშშ; ასკანაში, გუმბრში (საქართველო).

ბეიდელიტი – Бейделлит – Beidellite – beidellit



სახელწოდება წარმოდგება ადგილ „ბეიდელიდან“ (ფლორიდა, აშშ). მიეკუთვნება ბენტონიტების ჯგუფს. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Al_2O_3 - 20 - 70; SiO_2 - 45 - 50$; სინგონია – მონოკლინური; კრისტალური ფორმები – იშვიათად თხელი კრისტალური ფირფიტები, უფრო ხშირად – მიწისებრი აგრეგატები. ფიზიკური თვისებები: მოყვითალო ან მოწითალო ელფერის თეთრი; არაგამჭვირვალე; ელვარება ცხიმოვანი; სიმაგრე – 1.5; სიმკვრივე – 2.6; ტკეჩადობა (001). ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი $N_g - 1.536; N_m - 1.535; N_p - 1.494$. წყალში ჯირჯვდება. გვხვდება გამოფიტვის ქერქში, მადნეული საბადოების დაჟანგვის ზონებში. საბადოები: ბეიდელში (კოლორადო, აშშ); უკრაინაში.

ბერილი (ბერილი) – Берилл – Beryll – Beryll



ბერძნული სიტყვიდან „ბერილოს“, ძველად ყველა მწვანე მინერალს ასე უწოდებდნენ. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $BeO - 14.1; Al_2O_3 - 19.0; SiO_2 - 66.9$. სინგონია ჰექსაგონური, დიჰექსაგონურ-დიპირამიდის კლასი. ბერილს ახასიათებს სვეტისებური ან პრიზმული, საერთოდ კარგად განვითარებული ლამაზი კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ყვითელი, მოყვითალო, ცისფერი, ხასხასა მწვანე, ვარდისფერი, ოქროსფერი. სხვადასხვა ფერის ბერილს სხვადასხვა სახელი ჰქვია: ზურმუხტისებრ მწვანე გამჭვირვალე ბერილს **ზურმუხტი** ეწოდება; გამჭვირვალე მოციისფრო ლურჯს – **აკვამარინი**; ვარდისფერს – **ვორობიევიტი**; ოქროსფერ ყვითელს ღია მწვანე ელფერით – **ჰელიოფორი**. უმეტესად გამჭვირვალეა; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 7.5-8; მონატეხი – ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 2.63-2.91; მყიფეა; ტკეჩადობა (1010)-ის გასწვრივ, და (0001)-ის გასწვრივ არასრული. ოპტიკური თვისებები: $N_m - 1.568 - 1.602; N_p - 1.595$. პარაგენეზული მინერალები: მინდვრის შპატი, ბიოტიტი, მუსკოვიტი, კვარცი, ტოპაზი, ტურმალინი. მსგავსი მინერალები: აპატიტი, ტოპაზი, ტურმალინი, კვარცი,


ფლუორიტი. პრაქტიკული მნიშვნელობა – საიუველირო ქვა, ბერილიუმის მადანი (ბერილიუმი ალუმინზე მსუბუქია). წარმოშობა: პეგმატიტური, გვხვდება გრეიზენებში, სკარნებში. საბადოები: ურალში, კოლუმბიაში, ბრაზილიაში, მადაგასკარში, გერმანიაში, საქართველოში გვხვდება ჰელიოდორში (ძირულის მასივი).

ბიომიტი – Бёмит – Boehmite – Bohmit



უწოდეს გერმანელი ქიმიკოსისა და გეოლოგის ი. ბიომის პატივსაცემად. გოეთიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Al_2O_3 - 84.97$, შეიცავს აგრეთვე SiO_2 -სა და Fe_2O_3 -ს. სინგონია – რომბული, ბიპირამიდის კლასი. კრისტალები ძალზე იშვიათია, უმეტესად გვხვდება ფარულკრისტალური მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, თეთრი სხვადასხვა ელფერით; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 3.5-4.0; სიმკვრივე – 3.01-3.06; ტკეჩადობა (010)-ის გასწვრივ სრული. იზოსტრუქტურულია ლეპიდოკროკიტთან, დიმორფული დიასპორთან. მჟავაში არ იხსნება. პარაგენეზული მინერალები: თიხები, ნეფელინი, დიასპორი და სხვ. გვხვდება ბოქსიტებსა და ლატერიტებში. საბადოები: უნგრეთში, საფრანგეთსა და ურალში.

ბიოტიტი – Биотит – Biotite – Biotit



უწოდეს ფრანგი ფიზიკოსის ბიოს პატივსაცემად. ქარსის ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $K_2O - 4.5 - 8.5$; $MgO - 0.3 - 2.8$; $FeO - 2.8 - 27.5$; $Fe_2O_3 - 0.3 - 20.5$; $SiO_2 - 33 - 45$; $H_2O - 6 - 11$. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალები – სვეტისებრი, ფურცლოვანი, ქერცლოვანი. ფიზიკური თვისებები: ფერი – შავი, მუქი წაბლისფერი, მუქი მწვანე; ხაზის ფერი – თეთრი; სიმაგრე – 2.5-3.0; იშვიათად გამჭვირვალე; ელვარება მინისებრი, სადაფისებრი; სიმკვრივე – 3.02-3.12; ტკეჩადობა – იდეალური (001)-ის გასწვრივ. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი - $N_g = N_m = 1.60 - 1.66$; $N_p - 1.56 - 1.60$. პარაგენეზული მინერალები: კვარცი, მინდვრის შპატი, ავგიტი და სხვა. პრაქტიკული მნიშვნელობა თბო - და ელექტროიზოლატორი. წარმოშობა ძირითადად მაგმური. ქანმაშენი მინერალია. საბადოები: გერმანიაში, სკანდინავიასა და ურალში.

ბისმუტი – Висмут – Bismuth – Bismut



სახელწოდება შეიძლება წარმოდგებოდეს ბერძნული სიტყვიდან wismut – თეთრი ტყვია. ხალასი ელემენტების ჯგუფი. სინგონია ტრიგონული, სკალენოედრის კლასი. გვხვდება მარცვლების, ჩანაწინწკლების, ფირფიტების, დენდრიტების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი ღია ცერცხლისფერი, ვერცხლისებრი თეთრი მოწითალო ელფერით, ზოგჯერ ყვითელი ან მწვანე; ხაზის ფერი ნაცრისფერი; ელვარება ლითონური; სიმაგრე – 2-2.5; მყიფე, იჭრება დანით; სიმკვრივე – 9.8; ტკეჩადობა საკმაოდ სრული (0001)-ის და სრული (0221)-ის გასწვრივ. ადვილად იხსნება აზოტმჟავაში. გვხვდება პეგმატიტებში, სკარნებში, მაღალტემპერატურულ ჰიდროთერმულ ძარღვებში. საბადოები: მადნიან მთებში (გერმანია), ჩეხეთში, ავსტრალიაში, ბოლივიაში, ალტაიში (რუსეთი).


ბისმუთინი – Висмутин – Bismuthine – Bismuthin



ასე უწოდეს შედგენილობის გამო. სულფიდების ჯგუფის მინერალია. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება ნემსისებრი, რადიალურ-სხივოსნური, ბუჩქისებრი, ბოჭკოვანი, ფურცლოვანი ფორმის კრისტალების სახით. ქიმიური შედგენილობა %-ობით –

Bi – 81.2, *S* – 18.8. ფიზიკური თვისებები: ფერი – თუთიისებრ თეთრი, ტყვიისებრ ნაცრისფერი; ახასიათებს მოყვითალო ან ცისარტყელის ფერთა თამაში. ხაზის ფერი – ნაცრისფერი, ბრწყინავს; ელვარება – ლითონური, ძლიერი; სიმაგრე – 2; სიმკვრივე – 6.78-7.2; ტკეჩადობა – ფრიად სრული (010)-ის გასწვრივ. კარგად იხსნება ცხელ აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: კვარცი, არსენოპირიტი, პირიტი, ბარიტი, მაგნეტიტი, გალენიტი, ქალკობირიტი. ბისმუტის მადანია. გვხვდება მაღალტემპერატურულ ჰიდროთერმულ ძაღვებში. საბადოები: საქსონიაში (გერმანია), ლიპარის კუნძულებზე, პიემონტში (იტალია), რუმინეთში, პერუში, ბოლივიაში, კრაიუბაში (ყაზახეთი).

ბიტონიტი – Битовнит – Bytownit – Bitownit




სახელწოდება წარმოდგება ადგილ „ბიოტაუნიდან“ (ოტავა, კანადა), სადაც პირველად იპოვეს. პლაგიოკლაზების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Na_2O - 2.92; CaO - 15.08; Al_2O_3 - 32.33; SiO_2 - 49.67$. ტრიკლინური სინგონია, პინაკოიდის კლასი. აგრეგატები: მთლიანი, მარცვლოვანი, სვეტისებრი, კრისტალები იშვიათია. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ნაცრისფერი, მოლურჯო; გამჭვირვალე, ზოგჯერ არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე – 6; მყიფე, მონატეხი არასწორი; სიმკვრივე – 2.75; ტკეჩადობა – (001)-ის და (010)-ის გასწვრივ სრული. ოპტიკური თვისებები – გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.576; Nm - 1.572; Np - 1.567$. მჟავაში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ოლივინი, პიროქსენი, ილმენიტი, ქრომიტი და სხვ. ზოგჯერ გამოიყენება როგორც საიუველირო ქვა. წარმოშობა – მაგმური. ქანმაშენი მინერალია.

ბიურგერიტი – Бюргерит – Buergerite – Buergerit


ტურმალინის სახესხვაობა. ფერი მუქი ყავისფრიდან შავამდე. ასე უწოდეს ამერიკელი კრისტალთქიმიკოსის მ. ბიურგერის პატივსაცემად.

ბიშოფიტი – Бишофит – Bischofite – Bischofit



ასე უწოდეს გერმანელი ქიმიკოსისა და გეოლოგის გ. ბიშოფის პატივსაცემად. ქლორიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $Mg - 25.5$. სინგონია მონოკლინური. კრისტალის ფორმა მარცვლოვანი აგრეგატები, ზოგჯერ ბოჭკოვანი. ფიზიკური თვისებები: ფერი: თეთრი ან უფერო; ზოგჯერ გამჭვირვალე; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 1.5; ძალიან მყიფე; სიმკვრივე – 1.59; ოპტიკური თვისებები – გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.528; Nm - 1.507; Np - 1.494$. ძალიან ჰიგროსკოპიულია; ჰაერზე იშლება. არსებობს მხოლოდ წლის მშრალ დროს. წარმოშობა დანალექი. მარილ-პეჟო აორთქლების შედეგად. საბადოები: ყირიმში (სივამი), ელტონის ტბა (ასტრახანთან).

ბორაციტი – Борацит – Boracite – Borazit




ასე უწოდეს შედგენილობის მიხედვით (ბორის შემცველობა). ბორატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $B_2O_3 - 6.1; MgO - 30.7; Cl - 8.1$. სინგონია ფსევდოკუბური. კრისტალები უპირატესად კუბურია, გვხვდება ტეტრაედრები და დოდეკაედრები. ფიზიკური თვისებები: უფერო, ღია მწვანე, ცისფერი, მოყვითალო, მოწითალო ან შავი; გამჭვირვალედან არაგამჭვირვალემდე. ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 7; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 2.91-2.97. ტკეჩადობა არ ახასიათებს. ოპტიკური თვისებები – გარდატეხის მაჩვენებელი - $Ng - 1.673; Nm - 1.667; Np - 1.662$. მარილმჟავაში იხსნება ნელა. გვხვდება მარილის საბადოებში. გამოიყენება ბორის მისაღებად.

ბორტი – Борт – Bort – Bort


მარცვლოვანი, ფარულკრისტალური, ალმასის შავი ფერის სახესხვაობა. ტექნიკური ტერმინი ალმასის სააბრაზივო მასალისათვის.

ბორაქსი – Бора – Borax – Borax



არაბული „ბიურაკიდან“ – თეთრი. წყლიანი ბორატების ჯგუფი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: B_2O_3 – 36.6; Na_2O – 16.2; H_2O – 47.2. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. ფორმები: პრიზმული, მარცვლოვანი მასები, ქერქები, ნადენები. ფიზიკური თვისებები: ფერი: თეთრი; ელვარება – მინისებრიდან ცვილისებრამდე; სიმაგრე – 2.0-2.5; მონატენი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 1.71; ტკეჩადობა (100)-ის გასწვრივ სრული, (110)-ის გასწვრივ ნაკლებად სრული. ოპტიკური თვისებები: გარდატეხის მაჩვენებელი Ng – 1.472; Nm – 1.470; Np – 1.447. ჰაერზე კარგავს წყალს და იმღვრება. აქვს მოტეხო გემო. ტიპური ევაპორირებული მინერალია, გვხვდება მლაშე ტბების ნაპირებზე. საბადოები: სიკვდილის ველზე (აშშ); ქაშმირსა და ტიბეტში.

ბორნიტი – Борнит – Bornite – Bornit



ასე ჰქვია გერმანელი მინერალოგის ი. ბორნის პატივსაცემად. ქალკოპირიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Cu – 63.3; Fe – 11.2; S – 25.5. სინგონია კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. გამოყოფის ფორმები: მთლიანი მასები, ნადენები, ქერქები. ფიზიკური თვისებები: საღ მონატენზე ცისარტყელისებრი ფერები (მამალი ხოხბის ყელის ფერი); არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი მონაცისფრო ელფერის შავი; ელვარება ლითონისებრი; სიმაგრე – 3; მყიფე; მონატენი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 4.9-5.3; ტკეჩადობა არასრული (110)-ის გასწვრივ. იხსნება აზოტმჟავაში. პარაგენეზული მინერალები; ქალკოზინი, ქალკოპირიტი, პირიტი, მაგნეტიტი და სხვა. გვხვდება ჰიდროთერმულ მარღვებში, კონტაქტ-მეტამორფულ და მეტასომატურ საბადოებში. ჩვეულებრივ სპილენძის შემცველი მინერალების საბადოებშიც გვხვდება.

„ბრაგანზა“ – „Браганза“ – “Braganza”

ცნობილი უფრო ტოპაზის სახელწოდება, რომლის წონა 1640 კარატია, ნაპოვნია ბრაზილიაში, მიჩნეულ იქნა ალმასად და ჩასვეს პორტუგალიის სამეფო გვირგვინში.

ბრაზილიანიტი – Бразилианит – Brazilianit




სახელი უწოდეს ბრაზილიაში პოვნის გამო. ფოსფატების ჯგუფის მინერალი. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი, გვხვდება დიდი (8.5×80მმ) კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ყვითელი, მოყვითალო ელფერის მწვანე; უმეტესად გამჭვირვალე; ელვარება – მინისებრი; ხაზის ფერი – თეთრი, სიმაგრე – 5.5; სიმკვრივე – 2.98; ტკეჩადობა (010)-ის გასწვრივ. პარაგენეზული მინერალები: მინდვრის შპატი, ქარსი, კვარცი. გამჭვირვალე ლამაზი შეფერილობის კრისტალები საიუველირო ქვაა. საბადო: მინას-ჟერაისი (ბრაზილია), პალერმოს პეგმატიტებში (აშშ).

ბოქსიტი – Боксит – Bauxite – Bauxit

უწოდეს ადგილ „ბოს“ (საფრანგეთი) მიხედვით. ბოქსიტი ფაქტობრივად არის ქანი, რომელიც შედგება დიასპორის, გიბსიტის, ბიომიტის, რკინის ჰიდროჟანგებისა და კვარცისაგან. პირველი სამი ჩამოთვლილი მინერალი ალუმინის ჰიდროჟანგი და ალუმინის საუკეთესო მადანია. ბოქსიტის ფერი: მოყავისფრო, მოყვითალო ელფერის ყავისფრიდან მოწითალო ელფერის ყავისფრამდე, იშვიათად გვხვდება თეთრი, ნაცრისფერი, ან შავი ფერის. სიმაგრე – 2.5-3; სიმკვრივე 2.4-3.4. ბოქსიტი მთლიანი ან მარცვლოვანი აგრეგატების სახით გვხვდება. იგი ნარჩენი წარმონაქმნია და ჩნდება

ხანგრძლივი გამოფიტვის შედეგად ალუმინის შემცველი ქანებიდან სილიკატების დაშლისა და გატანის შედეგად; ჩვეულებრივ ბოქსიტი წარმოიქმნება ტროპიკული ჰავის პირობებში. დიდი საბადოებია: სურინამში, ბრაზილიაში; აპალაჩის ზეგანზე, აშშ; ინდონეზიაში; ავსტრალიაში; კარიბის ზღვის კუნძულებზე; საფრანგეთში, ტივინში, რუსეთში; ჩრდ. ყაზახეთში.

ბრონზიტი – Бронзит – Bronzite – Bronzit




ასე უწოდეს ბრინჯაოს (ჰგავს ფერთ) გამო. იგი მიეკუთვნება რომბული სინგონიის პიროქსენების ჯგუფს. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $MgO - 30; FeO - 10; SiO_2 - 60$. კრისტალები უმეტესწილად პრიზმის ფორმისაა, უფრო იშვიათად – ფირფიტების ფორმის. ფიზიკური თვისებები: ფერი – ბრინჯაოსფერი, მომწვანო ელფერის ყავისფერი; არაგამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; საზის ფერი თეთრი; ელვარება ლითონური; სიმაგრე – 5-6; სიმკვრივე – 3.25-3.35; ტკეჩადობა მკაფიო (110)-ის გასწვრივ, კუთხე ბზარებს შორის 87° . გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.69; Nm - 1.69; Np - 1.68$. იხსნება მხოლოდ HF -ში; ფუძე ქანების ქანმაშენი მინერალია.

ბრუკიტი – Брукит – Brookite – Brookit



ასე უწოდეს ინგლისელი კრისტალოგრაფის გ. ბრუკის პატივსაცემად. რუტილის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით $Ti - 60$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. უმეტესად გვხვდება ფირფიტების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – წითელი, მოყვითალო-წითლიდან მოწითალო ელფერის ყავისფერამდე, ზოგჯერ უფერო; არაგამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; საზის ფერი – მოყვითალო თეთრი, ყვითელი; ელვარება ლითონური; სიმაგრე – 5.5-6; მყიფე, მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 4.1-4.2; ტკეჩადობა არასრული (110)-ის გასწვრივ; გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 2.741; Nm - 2.586; Np - 2.583$. მჟავაში საერთოდ არ იხსნება. პოლიმორფულია ანატაზთან და რუტილთან. მაგმური ქანების აქცესორული მინერალია, გვხვდება ქვიშრობებშიც. პარაგენეტული მინერალები: კვარცი, მინდვრის შპატი, ანატაზი, რუტილი, ტიტანიტი და სხვა. საბადოები: ტიროლში (ავსტრია), სენ-გიტარდის უღელტეხილზე (შვეიცარია), უელსში, ურალში მისის მახლობლად ატლიანის ქვიშრობში, ბრაზილიასა და სხვ.

ბრუსიტი – Брусит – Brucite – Brucit



სახელი უწოდეს ამერიკელი მინერალოგის ა. ბრიუსის პატივსაცემად. ბრუსიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $MgO - 69.0; H_2O - 31.0$ სინგონია ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. ახასიათებს სქელი ფირფიტები, ფურცლები, ზოგჯერ ბოჭკოვანი. ფიზიკური თვისებები: ფერი – მონაცისფრო-მოცისფრო, მომწვანო ელფერის თეთრი, ყავისფერი ან უფერო; გამჭვირვალედან არაგამჭვირვალემდე; საზის ფერი თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 2.5; დრეკადი; სიმკვრივე – 2.47; ტკეჩადობა საკმაოდ სრული (0001)-ის გასწვრივ. მჟავაში იხსნება. გვხვდება სერპენტინიტების დარღვებსა და ნაპრალებში, მწვანე ფიქლებში. პარაგენეტული მინერალები: დოლომიტი, მაგნეზიტი, ქრომიტი, კალციტი, სერპენტინი და სხვ. საბადოები: სამხ. ტიროლში, იტალია; ტეხასში; ბაშკირეთში; ყაზახეთში; კანადაში.

ბურნონიტი – Бурнонит – Bournonite – Bournonit



სახელი უწოდეს ფრანგი მინერალოგის ჯ. დებურნოს პატივსაცემად; სულფომარილების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Cu - 13; Pb - 42.5; Sb - 24.7; S - 19.8$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალი პრიზმულია; ფირფიტები მთლიანი მასები. ფიზიკური

თვისებები: ფერი – ფოლადისფერიდან ტყვიისებრ ნაცრისფრამდე ან მოყვითალო ელფერის შავამდე; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – ნაცრისფერი; ელვარება – ლითონური; სიმაგრე – 2.5-3; მონატენი – ხიწვოვანი; სიმკვრივე – 5.7-5.9; ტკეჩადობა – არასრული (010)-ის გასწვრივ. აზოტმჟავაში იხსნება გოგირდის და *Sb*-ის ოქსიდის გამოყოფით. პარაგენეტული მინერალები: სფალერიტი, გალენიტი, ქალკობირიტი, პირიტი და სხვ. გვხვდება საშუალო ტემპერატურულ ჰიდროთერმულ ძარღვებში. ტყვიისა და სპილენძის მადანია. საბადოები: ჰარცში (გერმანია); ავსტრიაში, პრშიბრამში (ჩეხეთი), იტალიაში, საფრანგეთში, უკრაინასა და სხვ.

3

გალენიტი – Галенит – Galena – Galenit

PbS

სახელწოდება წარმოდგება ლათინურიდან „გალენა“ – ტყვიის მადანი. ეს მინერალი მიეკუთვნება სულფიდების ჯგუფს. ქიმიური შედგენილობა %-ობით – *Pb* – 86.6; *S* – 13.4. სინგონია – კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. უპირატესად – მარცვლოვანი, ფირფიტისებრი, იშვიათად ჰექსაედრები და ოქტაედრები. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოლურჯო ელფერის ნაცრისფერი; ტყვიისებრ ნაცრისფერი; არაგამჭვირვალე. ხაზის ფერი – ნაცრისფერი, მოშავო; ელვარება ლითონური; სიმაგრე – 2.5-3; მონატენი – ბრტყელი ნიჟარისებრი; სიმკვრივე 7.2-7.6; ტკეჩადობა (100)-ის გასწვრივ სრული. პარაგენეტული მინერალები: სფალერიტი, ქალკობირიტი, პირიტი, მარკაზიტი, ბარიტი, ფლუორიტი, სიდერიტი, დოლომიტი, კვარცი და სხვ. ტყვიის უმნიშვნელოვანესი მადანია, ხშირად შეიცავს ვერცხლს. წარმოშობა: ჰიდროთერმული; საბადოები: სადონი (ჩრდ. კავკასია), ალტაი, იმერბაიკალეთი, კანადაში, ავსტრალიაში, აშშ-ში, ფრაიბერგში, (გერმანია), საქართველოში.

გაკაფებული ხე – Дерево окремелое – Petrified Wood – Holzstein

ძველ ნალექებში განამარხებული ხე. გაქვავებულია *SiO₂*-ის გაჟღენთვის შედეგად. როგორც წესი, შემონახულია ხის სტრუქტურა (ზრდის რგოლები). *SiO₂*-ის სტრუქტურის მიხედვით აკუთვნებენ ქალცედონის ჯგუფს – ბოტკოვანი სახესხვაობები, ან იასპისის ჯგუფს – მარცვლოვანს, ან ოპალის ჯგუფს – ამორფულ სახესხვაობებს. ზოგ შემთხვევაში განამარხებული ხე გაჟღენთილია რკინის ჰიდროჟანგებით.

გვარჯილა – Селитра – Nirte – Solter

ნიტრატების ჯგუფის მინერალების კრებითი სახელი. თითოეული მინერალის სახელს განსაზღვრავს კათიონი – ნიტრატის გვარჯილა, კალიუმის გვარჯილა, ამონიუმის გვარჯილა და ა.შ.

გიბსიტი – Гибсит – Gibbsite – Gibbsit

(ჰიდრარგილიტი-Гидраргиллит-Hydrargillit)

Al[OH]₃

სახელწოდება მიეცა პოკლონიკ ჯ. გიბსის პატივსაცემად. ჰიდროჟანგების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – *Al₂O₃* – 65.4; *H₂O* – 34.6. სინგონია მონოკლინური. პრიზმის კლასი. კრისტალებს არ წარმოქმნის, გვხვდება ფირფიტების, კონკრეციების, სტალაქტიტების ფორმით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერული, თეთრი. ნაწილობრივ გამჭვირვალედან არაგამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრიდან სადაფისებრამდე; სიმაგრე – 2.5-3; სიმკვრივე – 2.35; ტკეჩადობა საკმაოდ სრული (001)-ის გასწვრივ; გარდატეხის მაჩვენებელი: *Ng* – 1.587, *Nm* – 1.566; *Np* – 1.566. ბოქსიტების შემადგენელი ნაწილია; ძირითადად მეორეული წარმოშობის მინერალია, ჩნდება თიხამიწიანი მინერალების გამოფიტვის ხარჯზე ტროპიკული ჰავის პირობებში; გვხვდება ჰიდროთერმული გზით წარმოქმნილიც. პარაგენეტული


მინერალები: ბიომიტი, დიასპორი, და სხვა. საბადოები: ჰესენში (გერმანია), ბოში (საფრანგეთი), ნორვეგიაში, ბრაზილიაში, აშშ-ში, სამხრ. ურალში (ილმენის მთები), ხიბინის მთებში (კოლის ნახევარკუნძულზე). ალუმინის ნედლეულია.

გიშერი – Гагат – Gagate – Gagat




სახელწოდება „გაგატი“ წარმოდგება მცირე აზიის მდ. გაგაის სახელიდან. ქართული გიშრის წარმომავლობა უცნობია, მას მეორე სახელიც აქვს – სათი. მურა ნახშირის სახესხვაობაა. ფერი შავი; ელვარება ფისისებრი; სიმაგრე – 2.5-3.5; მკვრივი; მონატეხი ნიჟარისებრი. უკავშირდება ქვანახშირის საბადოებს; გვხვდება დას. საქართველოში. გამოიყენება როგორც სანახლეაო ქვა.

გლაუბერიტი – Глауберит – Glauberite – Glauberit



უწოდეს გერმანელი ქიმიკოსის ი. გლაუბერის პატივსაცემად. მიეკუთვნება ტუტე ლითონების სულფატების ჯგუფს. სინგონია მონოკლინური. პრიზმის კლასი. კრისტალური ფორმები: ფირფიტოვანი და პრიზმული იერის. ფიზიკური თვისებები: ფერი – ნაცრისფერი, მოყვითალოდან მოწითალომდე, ზოგჯერ უფერი; გამჭვირვალედან ნახევრად გამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – ცხიმოვანი, მინისებრი; სიმაგრე – 2.5-3; სიმკვრივე – 2.74; ტკეჩადობა – სრული (001)-ის და არასრული (110-ის) გასწვრივ; წყალში იმღვრევა და იხსნება. გემო მწკლარტე, მომლაშო. პარაგენეტული მინერალები: ჰალიტი, პოლიჰალიტი, ანჰიდრიტი, თაბაშირი; ცნობილია არიდული ზონის მლაშე ტბებში; წარმოშობა დანალექი. საბადოები: მაგლებურგი (გერმანია), ავსტრიაში, ლიპარის კუნძულებზე (იტალია), ატაკამის უდაბნოში (ჩილე), აშშ-საბადთან (თურქმენეთი).

გლაუკონიტი – Глауконит – Glaucosite – Glaukonit



„გლაუკოს“ ბერძნულად ნიშნავს მოლურჯო ელფერის მწვანეს. ჰიდროქარსების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $K_2O - 4.0-9.5$; $Na_2O - 0-3.0$; $Al_2O_3 - 5.5-22.6$; $Fe_2O_3 - 6.1-27.9$; $FeO - 0.8-8.6$; $MgO - 2.4-4.5$; $SiO_2 - 47.6-52.9$; $H_2O - 4.9-13.5$. სინგონია მონოკლინური. გავრცელებულია მარცვლების სახით, უპირატესად დანალექ ქანებში. ფიზიკური თვისებები: ფერი – მუქი მწვანე შავამდე; ხაზის ფერი – ბაცი მწვანე; ელვარება მქრქალი; სიმაგრე 2; სიმკვრივე – 2.2-3.0; ტკეჩადობა სრული ბაზალურ სიბრტყეში. იხსნება მარილმჟავაში; ცნობილია როგორც აუტიგენური მინერალი. პარაგენეტული მინერალები: ძირითადად ფოსფორიტები. საბადოები: ლაიფციგის მახლობლად (გერმანია); ბრემისთან (იტალია), ვოსკრენსკოეში (მოსკოვი), ურალზე, ვოლგისპირეთში, ყაზახეთში.

გლაუკოფანი – Глаукофан – Glaucophane – Glaukophan



სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან „გლაუკოს“ ლურჯი და „ფან“ შესახედაობა. ამფიბოლების ჯგუფის მინერალი. შუალედური მინერალია აქტინოლითსა და რქატყუარას შორის. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება სვეტისებრი, სხივოსნური, ბოჭკოვანი, მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მონაცისფერო ლურჯი, კაშკაშა ლურჯი ან მოცისფრო შავი. გამჭვირვალე; ხაზის ფერი – უფერულიდან მონაცისფრო ელფერის ცისფერი. ელვარება მინისებრი, ან აბრეშუმისებრი; სიმაგრე – 6; სიმკვრივე 3.1-3.4; გარდატეხის მაჩვენებელი – $Ng - 1.639$; $Nm - 1.638$; $Np - 1.621$. მეტამორფული ქანების ქანმაშენი მინერალია.

პარაგენეტული მინერალები: ეპიდოტი, ცოიზიტი, მუსკოვიტი და სხვა. გვხვდება – ბრეტანში (საფრანგეთი), შვიცარიაში, იტალიაში, სამხრეთ ურალში, კრივოი როგში (უკრაინა), აღმ. ყაზახეთში.

გოეთიტი – Гетит – Goethite – Goethit



უწოდეს გერმანელი პოეტისა და ფილოსოფოსის ი.ვ. გოეთეს პატივსაცემად. ლეპიდოკროკიტის ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილება %-ობით: $Fe_2O_3 - 89.9; H_2O - 10.1$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალები იშვიათია, მათ აქვთ ნებისმიერი ფორმები; უფერო ხშირია ნაღენი და მიწისებრი ფორმები. ფიზიკური თვისებები: ფერი – ყვითელი, ყომრალი; ხაზის ფერი ისეთივე როგორც ფერი; ელვარება – ალმასისებრი, აბრეშუმისებრი; სიმაგრე – 5-5.5; მყიფე; სიმკვრივე – 4.3; ტკეჩალობა სრული (010)-ის და მკაფიო (100)-ის გასწვრივ; გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 2.40; Nm - 2.39; Np - 2.26$. იხსნება HCl -ში; პარაგენეტული მინერალები: ჰემატიტი, ლიმონიტი, პირიტი, სიდერიტი, კვარცი, კალციტი და სხვა. გამოფიტვის პროდუქტია. საბადოები: პრშიბრამში (ჩეხეთი), ავსტრალიაში, საფრანგეთში, კანადაში, ურალზე, კარელიაში, ვოლინსა (უკრაინა) და სხვ.

გრანატები – Гранаты – Garnet – Granatgruppe

სახელწოდება წარმოდგება ლათინურიდან „გრანუმ“ – მარცვალი, სილიკატების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილება: $X_3Y_2[SiO_4]_3$, სადაც $X = Ca, Fe^{2+}, Mg, Mn^{2+}; Y = Al, Cr, Fe^{3+}$. იზომორფული ჩანაცვლების რიგის მიხედვით გამოჰყოფენ ორ ჯგუფს: 1. $(Mg, Fe, Mn)Al$ -იანი გრანატები – ე.წ. პირალსპიტები, სადაც გაერთიანებულია პიროპ-ალმანდინი-სპესარტინი და 2. $(Al, Fe, Cr)Ca$ -იანი გრანატები, - ე.წ. უგრანდიტები, სადაც გაერთიანებულია უვაროვიტი, გროსულარი, ანდრაღიტი. Al -იანი და Ca -იანი გრანატები ერთმანეთში იზომორფულ რიგს არ ქმნიან. ყველა გრანატი კრისტალდება კუბურ სინგონიაში, რომელი დოდეკაედრის კლასში. ფერის მიხედვით სხვადასხვა ფერისაა: მუქი წითელი, ღია წითელი, ყვითელი, ღია მწვანე, თითქმის შავამდე წითელი, მწვანე. ზოგი გრანატი გამჭვირვალეა, ზოგი – ნახევრად გამჭვირვალე; სიმაგრე – 6.5-7.5; მყიფე, მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 3.5-4.3. წარმოშობა უპირატესად მაგმური და მეტამორფული, ხშირად გვხვდება ქვიშრობებში. გამჭვირვალე სახესხვაობები საიუველირო ქვებს მიეკუთვნება. ყველაზე გავრცელებული გრანატებია: ალმანდინი, პიროპი, ანდრაღიტი, სპესარტინი, გროსულარი, უვაროვიტი.

გრაფიტი – Графит – Graphite – Graphit




სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „გრაფო“ – ვწერ, მიუთითებს მის გამოყენებაზე ფანქრის გულად. მიეკუთვნება ხალასი მინერალების ჯგუფს. ქიმიური შედგენილება %-ობით $C - 100$. სინგონია ჰექსაგონური, დიჰექსაგონურ-დიპირამიდის კლასი. აგრეგატები უპირატესად ქერცლოვანი, ზოგჯერ შუბისებრი ან ბოჭკოვანი. ფიზიკური თვისებები: ფერი რკინისებრ შავიდან ფოლადის ელფერის ნაცრისფრამდე. ხაზის ფერი – შავი; ელვარება ძლიერ ლითონური; სიმაგრე – 1; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 2.0-2.23; ტკეჩალობა სრული (0001)-ის გასწვრივ. საუკეთესო ელექტროგამტარია. პარაგენეტული მინერალები: პირიტი, გრანატი, შპინელი. დაკავშირებულია მაღალტემპერატურულ ვულკანურ და მაგმურ ქანებთან, ჰემატიტებთან, სკარნებთან, მეტამორფულ ქანებთან. დიდი ბუდობები გვხვდება ქვანახშირის საბადოებში. გრაფიტი მეტეორიტების აქცესორული მინერალია. საბადოები: პასაუსთან (გერმანია), ავსტრალიაში, კანადაში, აშშ-ში, ბურიატიაში (რუსეთი), ილმენის მთებში (ურალი), ხიბინის მთებში (კოლის ნახევარკუნძულზე), მარიუპოლის გნეისებში, მურზინკაში (ურალი).

გრინოკიტი – Гринокит – Greenickite – Greenockit



ასე უწოდეს შოტლანდიელი მინერალოგის ლორდ გრინოკის პატივსაცემად. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით $Cd-77.7; S-23.3$. სინგონია ჰექსაგონური – დიპირამიდის კლასი. კრისტალები ძალზე იშვიათია. ფიზიკური თვისებები: ფერი – ყვითელი, ნარინჯისფერი, ხაზი – მონარინჯისფერო-მოყვითალო; ნახევრად გამჭვირვალე; ელვარება – ალმასისებრიდან ცვილისებრამდე; სიმაგრე – 3-3.5; მყიფე; სიმკვრივე – 4.93; ტკეჩალობა მკაფიო (0001)-ის გასწვრივ. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: გალენიტი, სფალერიტი, სმიტსონიტი, ვიურტციტი. საბადოები: ბიშოპტონში (დიდი ბრიტანეთი), არგენტინაში, ბოლივიაში, მადნიან ალტაიში, ურალში.

გროსულარი – Гроссуляр – Grossularite – Grossular



სახელწოდება წარმოდგება ლათინურიდან „გროსულარიუმ“ – ხურტკმელი (კენკროვანია). გრანატების ჯგუფის უგრანდიტების ქვეჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO-37.3; Al_2O_3-22.7; SiO_2-40.0$. სინგონია კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. უპირატესად ტეტრაგონტრიოქტაედრული ფორმები ახასიათებს. ფიზიკური თვისებები: ფერი – მწვანე, მომწვანო-ნაცრისფერი, ყვითელი, მოვარდისფერო; არაგამჭვირვალე; ხაზი – თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 6.5-7.5; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 3.53-3.6; ტკეჩალობა არა აქვს. ცხელ მარილმჟავაში იხსნება. გარდატეხის მაჩვენებელი $N-1.735$. პარაგენეტული მინერალები: ჰესონიტი, დიოპსიდი, ქლორიტი და სხვ. გვხვდება კონტაქტურ და რეგიონულ მეტამორფიზმის პირობებში წარმოქმნილ ქანებში. საბადოები: ალპური ტიპის მარღვებში, ავსტრიაში და შვეიცარიაში, ტანზანიაში, აღმოსავლეთ ციმბირში.

ღ

დატოლიტი – Датолит – Datolite – Datolith



სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან „დატეომიას“ – გაყოფა და „ლითოს“ – ქვა (მარცვლოვანი აგრეგატები ხელით ადვილად იყოფა). სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. წარმონაქმნები: სვეტისებრი, ფირფიტოვანი, ხშირად იზომეტრიული. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო ან თეთრი, ზოგჯერ ბაცი მწვანე, მოყვითალო; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 5-5.5; არაგამჭვირვალე ან გამჭვირვალე; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 2.9-3.0; ტკეჩალობა არ ახასიათებს; გარდ. მაჩვენებელი: $Ng-1.670; Nm-1.653; Np-1.625$. მარილმჟავასთან წარმოქმნის ნალექს. პარაგენეტული მინერალები: კალციტი, პრენიტი, ცეოლითები, აპოფილიტი. ტიპური პოსტმაგმური მინერალია, გვხვდება სკარნებშიც. ცნობილია დიაბაზურ პორფირიტებში, გაბროებში, დიორიტებში. საბადოები: ჰარცში (გერმანია), არენდალში (ნორვეგია), შუა აზიაში, ალდანში (რუსეთი), იაპონიაში.


„დარსუ ვარგასი“ – „Дарсу Варгас“ – „Darcey Vargas“

ბრაზილიაში (მინას – ჟერაისში) 1939 წელს ნაპოვნი ალმასი, რომლის თავდაპირველი წონა 460 კარატი იყო.

„დე-ლონგი“ – „Де-Лонг“ – “De Long-Sternrubin”

ვარსკვლავური ციმციმის მქონე ლალი (ბირმიდან), ძალიან კარგი ხარისხის; მასა 100 კარატი, სიგრძე 3.8სმ, სიგანე 2.5სმ. ამჟამად ინახება აშშ-ში (ვაშინგტონში) ამერიკის ეროვნულ მუზეუმში.

დემანტოიდი – Демантоид – Demantoid – Demantoid



სახელწოდება წარმოდგება გერმანულიდან „დემანტო“ – ალმასი; მისი ძლიერი ელვარების გამო. გრანატების ჯგუფის მინერალი; ანდრადაიტის მომწვანო-მოყვითალოდან ზურმუხტისფრამდე სახესხვაობა საიუველირო ქვა.

დენდრიტი – Дендрит – Dendrite – Dendrit

ბერძნულად „დენდრონი“ – ხე. მანგანუმის, რკინის ან სპილენძის ჰიდროქსიდები. დატოტვილი ხის ან ხავსისმაგვარი გამონაყოფები ქანების ფენების ან ნაპრალების გასწვრივ.

დიალაგი – Диаллаг – Diallage – Diallag


ბერძნულია, ნიშნავს განსხვავებულს. პიროქსენების ჯგუფის ისეთი მინერალების სახელწოდებაა, რომლებსაც გარდა პიროქსენებისათვის დამახასიათებელი ტკეჩადობისა (110) ახასიათებს კარგი განწვევება (100)-ის გასწვრივ.

დიასპორი – Диаспор – Diaspore – Diaspor



სახელწოდება წარმოდგება ბერძნული „დიასპორადან“, იმის გამო, რომ გახურებისას სკდება პატარ-პატარა ნატეხებად. ლეპიდოკროკიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al_2O_3 - 85; H_2O - 15$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალების იერი ძირითადად ფირფიტოვანია, იშვიათად სვეტისებრი. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყვითალო ელფერის რუხი; თეთრი, მომწვანო; საზი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 6-7; მონატეხი ნიჟარისებრი; მყიფე; სიმკვრივე – 3.3-3.5; ტკეჩადობა საშუალო (010)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.750; Nm - 1.722; Np - 1.702$. უპირატესად წარმოიშობა ბოქსიტების საბადოებში, ჰიდრარგილიტთან, ბიომიტთან და სხვა მინერალებთან ერთად, გვხვდება აგრეთვე ჰიდროთერმული გზით წარმოშობიდან. საბადოები: ბოქსიტების პარაგენეზული მინერალია.

დიკიტი – Диккит – Dickit



სახელი უწოდეს ამერიკელი გეოლოგის ა. დიკის პატივსაცემად. კაოლინიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al_2O_3 - 39.5; SiO_2 - 46.5; H_2O - 14$. მონოკლინური სინგონია (ფსევდოჰექსაგონური). კრისტალის ფორმები უმეტესად ფირფიტისებრი; ფიზიკური თვისებები: უფერო, სხვადასხვა ფერის ელფერით; ელვარება სადაფისებრი; სიმაგრე – 1; სიმკვრივე – 2.6; ტკეჩადობა – სრული (001)-ის გასწვრივ; ოპტიკური თვისებები: $Ng - 1.566, Nm - 1.562; Np - 1.560$; პარაგენეზული მინერალები: დოლომიტი, ფლუორიტი, კვარცი და სხვა. გვხვდება სულფიდურ ძარღვებში; ზოგჯერ აუტიგენური. საბადოები: კოუნრადი (ყაზახეთი) ნიკიტაკა (უკრაინა).


დიოპსიდი – Диопсид – Diopside – Diopsid



სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან „დი“ – ორი და „ოპსის“ – იერი, რაც მიუთითებს ამ მინერალის ორნაირი ფორმით არსებობას. პიროქსენების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით – $CaO - 25.9; MgO - 18.5; SiO_2 - 55.6$; ბუნებაში გვხვდება ქრომის შემცველი ქრომდიოპსიდი, ვანადიუმის შემცველი – ლავროლიტი, ფტორის შემცველი – მანსონიტი, ყველაზე გავრცელებულია ნატრიუმის შემცველი სახესხვაობა – ომფაციტი. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. ახასიათებს კარგად განვითარებული პრიზმული იერის კრისტალები. ფიზიკური თვისებები: მოყვითალო, მომწვანო ფერის, იშვიათად უფერო; ზოგჯერ

გამჭვირვალე; ხაზის ფერი თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 5-6; მონატეხი საფეხურისებრი, მყიფე; სიმკვრივე – 3.2-3.5; ტკეჩალობა კარგი (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.694; Nm - 1.671; Np - 1.664$. პარაგენეტული მინერალები: სკაპოლიტი, იდოკრაზი, გრანატები, ქლორიტი, მაგნეზიტი, აპატიტი, ბიოტიტი და სხვ. გვხვდება უპირატესად ეკლოგიტებში, პერიდოტიტებში, ულტრაფუძე ქანებში, პეგმატიტებში, ხშირია მეტამორფულ ქანებში. საბადოები: ავსტრიაში, იტალიაში, შვედეთში, ირკუტსკისა და ჩელიაბინსკის ოლქებში (რუსეთი).

დიოპტაზი – Диоптаз – Dioptase – Dioptas (მეორე სახელი ამირიტი)



სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან „დია“ – შიგ, შიგნით, „ოპტაზია“ – ხედვა, კრისტალის შიგნით ჩანს ტკეჩალობის ბზარები. ბივრილის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 50.5; SiO_2 - 38.1; H_2O - 11.4$. სინგონია – ტრიგონული, რომბოედრის კლასი. ახასიათებს მოკლესვეტოვანი კრისტალები, დრუზები, ყეოდები, მთლიანი მასები. ფიზიკური თვისებები: ფერი – ზურმუხტისებრი მწვანედან მუქ მწვანემდე; ელვარება მინისებრი; ხაზის ფერი – მოლურჯო ელფერის მწვანე. სიმაგრე – 5; მყიფე, მონატეხი საფეხურისებრი ან ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 3.28-3.35; ტკეჩალობა სრული (1011)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.697 - 1.709; Nm - 1.644 - 1.658$. მარილმჟავასა და ამიაკში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ლიმონიტი, კვარცი, კალციტი, მალაქიტი და სხვ. სპილენძ-სულფიდური საბადოების დაქანგვის ზონის ტიპური მინერალია. საბადოები: ალტან-ტიუბე, (ყაზახეთში), ჩილეში, არიზონას შტატში, ზაირში და სხვაგან.

დისტენი-იხ. კიანიტი

დოლომიტი – Доломит – Dolomite – Dolomit



სახელი უწოდეს ფრანგი მინერალოგის დ. დოლომიეს პატივსაცემად. კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 30.4; MgO - 21.7; CO_2 - 47.9$. ტრიგონული სონგონია, რომბოედრის კლასი. ახასიათებს რომბოედრები, უფრო ხშირად გვხვდება კრისტალურ-მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, თეთრი, ნაცრისფერი, ყვითელი ან მოყავისფრო; გამჭვირვალე, ზოგჯერ არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, ხშირად სადაფისებრი; სიმაგრე – 3-4; მყიფე; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 2.85-3.0; ტკეჩალობა სრული (1011)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $N - 1.681 - 1.695; Np - 1.500 - 1.513$. მჟავებში მხოლოდ მისი ფხენილი იხსნება. პარაგენეტული მინერალები: კალციტი, მაგნეზიტი, კვარცი. წარმოშობა ჰიდროთერმული ან ქიმოგენურ-დანალექი. საბადოები ძალზე ბევრია: გერმანიაში, სლოვაკეთში, ესპანეთში, იტალიაში, რუსეთში (პერმი) და სხვა მრავალი.

დრავიტი – Дравит – Dravite – Dravit

ტურმალინის მოყავისფრო ელფერის შავი ფერის სახესხვაობა. სახელი წარმოდგება მდ. დრავას სახელიდან (ავსტრია).

„დრეზდენელი“ – “Дрезденец” – “Drezden”

ვაშლისებრ მწვანე წმინდა წყლის ალმასის სახელია, წონა – 41 კარატი. ეკუთვნოდა საქსონელ კურფიურსტ ავგუსტ ძლიერს. ამჟამად ინახება დრეზდენის მუზეუმში - „მწვანე თვლები“.

2

„ევგენია“ – „Евгения“ – „Eugrnic“ – „Eugrnic“
ოვალური ფორმის 51 კარატიანი ბრილიანტის სახელწოდება.

ევდიალიტი – Евдиалит – Eudialyte – Eudialyt
(*Na, Ca*)₆Zr[Si₆O₁₈][OH, Cl]₂

სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან „ევ“ – ადვილად, „დიალიტოს“ – გახსნა, იგულისხმება მუჟავაში ადვილად გახსნის უნარი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Na₂O – 14.5; CaO – 10.1; ZrO₂ – 13.2; FeO – 5.1; SiO₂ – 49.2; H₂O – 1.4; Cl – 1.2. სინგონია ტრიგონული, დიტრიგონული-სკალენოედრის კლასი. კრისტალის ფორმები: რომბოედრულის და პინაკოიდურის (ან პრიზმულის) კომბინაცია. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოწითალო, ვარდისფერი, ჟოლოსებრ წითელი, ყვითელი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 5.5; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 2.8-3.1; ტკეჩადობა სუსტი (0001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: Ng – 1.610; Nm – 1.608. პარაგენეტული მინერალები: სოდალითი, კატაპლეიტი და სხვ. გვხვდება ტუტე ქანებსა და მათ პეგმატიტებში. საბადოები: კვებეკში, ბრაზილიაში, გრელანდიაში, ავსტრალიაში, ტაიმირსა და სხვ.

ეკლაზი – Эвклаз – Euclase – Euklas
Be₂Al₂Si₂O₈[OH]₂

სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან „ევ“ – ადვილად და „კლაზ“ – ბზარი (მინერალი ადვილად იპოება). სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. იშვიათია. გვხვდება პრიზმული ჰაბიტუსის კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, ბაცი მწვანედან ბაც ლურჯამდე; ხშირად გამჭვირვალე; ელვარება მინისებრი, სიმაგრე – 7.5; სიმკვრივე – 3.05-3.1; ტკეჩადობა სრული (010) არასრული (110) გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი Ng – 1.671; Nm – 1.655; Np – 1.651. ხახუნის შედეგად ელექტროვდება. პარაგენეტული მინერალები: ბივრილი, პლაგიოკაზი. წარმოიშობა ბივრილის ჰიდროთერმული შეცვლის შედეგად, გვხვდება პეგმატიტებშიც. საბადოები: გერმანიაში, ავსტრიაში, ბრაზილიაში, რუსეთში (ურალი).

ეგირინი – Эгирин – Aegirite – Aegirin
NaFe³⁺[Si₂O₆]

სახელწოდება წარმოდგება სკანდინავების ზღვის ღმერთის სახელ „ეგირისაგან“. პიროქსენების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Na₂O – 13.4; Fe₂O₃ – 34.6; SiO₂ – 52.0. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება წაგრძელებული პრიზმების ან ნემსისებრი კრისტალების სახით. ისეთ ეგირინს რომელსაც წვეტიანი ბოლო აქვს, აკიტი ეწოდება. ფიზიკური თვისებები: ფერი – მომწვანო ელფერის შავიდან ყავისფერი ელფერის შავამდე; იშვიათად კიდევზე – გამჭვირვალე; ხაზის ფერი მოყვითალო მონაცრისფროდან მწვანემდე; ელვარება – მინისებრი, ცვილისებრი; სიმაგრე – 6-6.5; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 3.5-3.6; ტკეჩადობა – კარგი (110)-ის გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: ლეიციტი, სოდალითი, სანიდინი, ნეფელინი. წარმოშობა მეტასომატური; ახასიათებს ტუტე ქანებს. გვხვდება: გერმანიაში, რუმინეთში, ნორვეგიაში, კოლის ნახევარკუნძულზე (რუსეთი). საკოლექციო მინერალია.

ელბაიტი – Эльбаит – Elbaite – Elbait
Na(Li, Al)₃Al₆(BO₃)₃[Si₆O₁₈][OH]₄

სახელწოდება წარმოდგება კუნძულ ელბიდან (იტალია). ტურმალინის ჯგუფის მინერალი, გამოიყენება საიუველირო საქმეში. უფერო, წითელი, ვარდისფერი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი. შეფერილობა ხშირად ერთი კრისტალის სხვადასხვა ზონაში განსხვავებულია. გვხვდება: კუნძულ ელბაზე, აშშ-ში, ბრაზილიაში, ციმბირში.

ელეოლიტი – Элеолит – Eleolite – Elaolith

ბერძნულად „ელეონ“ – ზეითუნის ზეთი, „ლითოს“ – ქვა. პრიალა მღვრიე ნეფელინი. გვხვდება გერმანიაში, ილმენში (რუსეთი).

„ელისაბედი“ – „Элизабет“ – „Elisabeth“

მოვარდისფრო-მოწითალო ფერის 54-კარატის ალმასი, ტანზანიიდან. ამჟამად 24-კარატის ბრილიანტი ბრიტანეთის გვირგვინის კუთვნილებაა.

ელი-რუბინი – Эли-Рубин – Ely-Rubin


შოტლანდიური პიროპის ადგილობრივი სახელწოდება.

ენსტატიტი – Энстатит – Enstatite – Enstatit




სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „ენსტატეს“ – წინააღმდეგი (არ ემორჩილება ღლობას). პიროქსენების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO - 40.0; SiO_2 - 60.0$. სინგონია რომბული, პრიზმის კლასი. კრისტალები იშვიათია, ახასიათებს პრიზმული ან ფირფიტის იერის ფორმები. ფიზიკური თვისებები: უფერო, მონაცისფრო მოთეთრო მწვანე ელფერით; ჩვეულებრივ არაგამჭვირვალე, ზოგჯერ გამჭვირვალე, ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი. სიმაგრე – 5-6; მონატეხი საფეხურებიანი; სიმკვრივე – 3.2-3.25; ტკეჩადობა მკაფიო (210)-ის გასწვრივ, კუთხე ბზარებს შორის $\approx 83^\circ$. პარაგენეტიკული მინერალები: აპატიტი, ფლოგოპიტი, ოლივინი. გავრცელებულია როგორც ქანმაშენი მინერალი – პორფირიტებში, ანდეზიტებში, ნორიტებში, გაბროებში, პერიდოტიტებში.

ეპიდოტი – Эпидот – Epidote – Epidot



ბერძნულად „ეპიდოზის“ – მიზრდა, პრიზმის მართობი კვეთი პარალელოგრამის ფორმისაა. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალები პრიზმული, ნემსისებრი, წაგრძელებულია *b* კრისტალური ღერძის გასწვრივ. ფიზიკური თვისებები: მუქი მწვანე, მოლურჯო-მომწვანო, მოშავო ელფერის მწვანე, მოყვითალო-მომწვანო; იშვიათად გამჭვირვალე; ელვარება – მინისებრი, ტკეჩადობის ბზარების ზედაპირზე სადაფისებრი; ხაზის ფერი – თეთრი; სიმაგრე 6-7; მონატეხი – ნიჟარისებრი, უსწორმასწორო; სიმკვრივე – 3.38-3.49, ტკეჩადობა სრული (001) გასწვრივ, არასრული (100)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.74; Nm - 1.73; Np - 1.72$. მარილმჟავაში იხსნება. წარმოშობა – ჰიდროთერმული, მეტამორფიზმის დროს. პარაგენეტიკული მინერალები: გრანატი, ვეზუვიანი, ქლორიტი, დიოპსიდი, კვარცი და სხვა. საბადოები: ტიროლში, საფრანგეთში, ნორვეგიაში, ზლატოუსტში (ურალი), დაშქესანი (აზერბაიჯანი).

ეპსომიტი – Эпсомит – Epsomite – Epsomit



სახელწოდება წარმოდგება ეპსომიდან (ინგლისი), სადაც მინერალიზებული წყაროებია. სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO - 16.3; SO_3 - 32.5; H_2O - 51.2$. სინგონია რომბული, ტეტრაედრის კლასი. კრისტალები: მოკლე პრიზმული, ბოჭკოვანი, მტევნისებრი. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, მოვარდისფრო, მოყვითალო, მომწვანო; ხშირად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი, მქრქალი; სიმაგრე – 2-2.5; მყიფე; სიმკვრივე – 1.68-1.75; ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ, არასრული (011)-ის გასწვრივ. ადვილად იხსნება წყალში, გემო მომწარო აქვს. საბადოები: ეპსომში (ინგლისი), სლოვაკეთში, სტასფურტი (გერმანია), არალის ზღვაში (ყაზახეთი).

ესპანეთის ზურმუხტი – Изумруд испанский – Spanish emerald – Spanischer Smaragd


მწვანე მინის კომერციული ტერმინი.

„ექსელსიორი“ – „Эксельсиор“ – „Exzelsior“

მსოფლიოში სიდიდით მეორე ალმასის სახელწოდება. ნაპოვნია 1893 წლის 30 ივლისს იაგერსფონტეინის მაღაროში. თავდაპირველი წონა – 995.2 კარატი. ალმასი უმაღლესი ხარისხის იყო, ჰქონდა არასწორი ფორმა. ამ ალმასისაგან დამზადდა 21 ბრილიანტი, რომელთაგან უდიდესი 70-კარატიანია, საერთო მასა დაწახნაგებული ბრილიანტებისა 373.75 კარატია.

3

ვაველიტი – Вавеллит – Wavelite – Wavellit



სახელი უწოდეს პირველი აღმოჩენის უ. უეიველის პატივსაცემად. ფოსფატების ჯგუფის მინერალი. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება ნუშურების, ბოჭკოების, ნემსების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ჩვეულებრივ მომწვანო ცისფერია, გვხვდება თეთრი, ყვითელი და ყავისფერიც, ყველაზე იშვიათია შავი ვაველიტი; ხაზის ფერი თეთრი; ელვარება – მინისებრი, აბრეშუმისებრი ან სადაფისებრი; სიმაგრე – 3-4; მყიფე, სიმკვრივე – 2.36; ტკეჩადობა სრული (110)-ის გასწვრივ. გარდ. მაჩვ. $Ng-1.552; Nm-1.534; Np-1.525$. პარაგენეტული მინერალები: გოეთიტი, ჰემატიტი. გვხვდება ჰიდროთერმულად შეცვლილ ზონებში. საბადოები: გერმანიაში, ჩეხეთში, ინგლისში, ბოლივიაში, ურალზე.

ვეზუვიანი – Везувиан – Vesuvianite – Vezuvian



სახელი წარმოდგება ვულკან ვეზუვიდან. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO-33-37; Al_2O_3-13-16; SiO_2-35-39; H_2O-2-3$. სინგონია ტეტრაგონული, დიტეტრაგონული დიპირამიდის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი – ზეთისხილისებრ მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, ზოგჯერ ცისფერი, ვარდისფერი, წითელი; გამჭვირვალე ან არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, ცხიმოვანი; სიმაგრე – 6.5-7; მონატენი – უსწორმასწორო, ხიწვიანი; სიმკვრივე – 3.27-3.45; ტკეჩადობა არ ახასიათებს. გარდატეხის მაჩვენებელი $Nm-1.705-1.732; Np-1.701-1.726$. იხსნება თბილ მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ქლორიტი, დიოპსიდი, გრანატები, ეპიდოტი, სკაპოლიტი და სხვა. ახასიათებს მრავალი სახესხვაობა ფერის, შედგენილობის, ფორმათა განსხვავების მიხედვით (ვილუიტი, ილოკრაზი, ციპრინი და სხვა).

ვერდელიტი – Верделит – Verdelite – Verdelith

სახელი წარმოდგება სიტყვებისგან იტალიური „ვერდე“ – მწვანე და ბერძნული „ლითოს“ – ქვა. ტურმალინის მუქი მწვანე ფერის სახესხვაობა. გვხვდება შვედეთსა და ბრაზილიაში.


ვერცხლი (ხალასი) – Серебро (самородная) – Native Silver – Silberge duagenes

Ag

ხალასი ელემენტების ჯგუფის მინერალი. სინგონია კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. კრისტალების ფორმები: ქერცლები, ძაფისებრი, ზოგჯერ კულულისებრი, ფიზიკური თვისებები: ფერი – ვერცხლისებრ თეთრი, ზოგჯერ ყვითელი, ყავისფერი ან შავი ელფერით. ხაზის ფერი ვერცხლისებრ თეთრი; ელვარება ლითონური; სიმაგრე – 2.5-3; მონატენი ნიჟარისებრი, ძალიან

პლასტიკური, ჭედადი: სიმკვრივე – 9.6-12; იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: არგენტიტი, პირარგირიტი, გალენიტი, ფლორიტი, პირიტი, ბარიტი, კვარცი და სხვ. წარმოშობა ჰიდროთერმული ან სულფიდურ-პოლიმეტალური საბადოების დაჟანგვის ზონაში, გვხვდება: შვარცვალდში, ტურინგიაში, საქსონიაში (გერმანია), ნორვეგიაში.

ვერმიკულიტი – Вермикулит – Vermiculite – Vermiculit




სახელი ბერძნული სიტყვიდან „ვერმიკულუს“ – ჭია. მიეკუთვნება ჰიდროქარსების ჯგუფს. ქიმიური შედგენილობა %-ობით: MgO – 14-23; Fe₂O₃ – 5.17; FeO – 1.3; SiO₂ – 37 - 42; Al₂O₃ – 10-13; H₂O – 8-18. სინგონია მონოკლინური. მინერალი გვხვდება ძირითადად ქერცლების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, მოყვითალო, მოყავისფრო; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – მომწვანო; ელვარება – თითქმის ცხიმოვანი; სიმაგრე – 2.5-3; სიმკვრივე – 3.52; ტკეჩადობა (1120)-ის გასწვრივ სრული, არასრული (0001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: Ng = Nm – 1.58; Np – 1.56. პარაგენეტული მინერალები – ფლოგოპიტი, ქლორიტი, ანტიგორიტი და სხვ. ბიოტიტის შეცვლის პროდუქტია.

„ვეფხვის თვალი“ – „Глаз Тигровый“ – „Tiger eye“ „Tigerauge“

კვარცის სახესხვაობა, კვარცი, რომელშიც რიბეკიტის ბეწვისებრი ჩანართებია. ახასიათებს თავისებური ირიზაცია (ფერთა თამაში).

ვივიანიტი – Вивианит – Vivianite – Vivianit



სახელი უწოდეს მინერალოგ ჯ. ვივიანის პატივსაცემად. ფოსფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: FeO – 43. P₂O₅ – 28.3, H₂O – 28.7 სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. ახასიათებს სხივოსნური, ბოჭკოვანი წარმონაქმნები. ფიზიკური თვისებები: ფერი – საღ მონატეხზე უფერო, ჰაერზე დაჟანგვის შემდეგ ინდიგოსფერი; გამჭვირვალე ან არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მოლურჯო; ელვარება – მინისებრიდან მქრქალ სადაფისფრამდე; სიმაგრე – 2; მონატეხი უსწორმასწორო, ხიწვოვანი; სიმკვრივე – 2.67-2.69; ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. ადვილად იხსნება მარილმჟავასა და აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: გოეთიტი, სიდერიტი. გამოფიტვის ზონის მინერალია. საბადოები: გერმანიაში (ბავარია), იუგოსლავიაში (ტრეპჩა), მოსკოვის შემოგარენში, ქერჩში, ბოლივიაში.

ვილემიტი – Виллемит – Willemite – Willemit



სახელი უწოდეს ნიდერლანდების მეფის უილიამ I-ის პატივსაცემად. ქიმიური შედგენილობა %-ობით: ZnO – 73; SiO₂ – 27. სინგონია ტრიგონული, რომბოედრის კლასი. კრისტალები ძალზე იშვიათია. ფიზიკური თვისებები: უფერო ან მოყვითალო; გამჭვირვალე ან არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, ცხიმოვანი; სიმაგრე – 5.5-6.5; მონატეხი – ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 1.0-4.2; ტკეჩადობა – საშუალო (0001)-ის და (1120)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: Ng – 1.719 – 1.723; Nm – 1.691 – 1.694. მისი ფხვნილი იხსნება მარილმჟავაში. ულტრაიისფერ სინათლეში ახასიათებს ლუმინესცენცია. პარაგენეტული მინერალები: სმიტსონიტი, ჰემიმორფიტი, ცინკიტი, გოეთიტი, კალციტი. საბადოები უკავშირდება თუთიისა და მანგანუმის საბადოების დაჟანგვის ზონებს.

ვილუიტი – Вилуит – Wiluite – Wiluit

სახელი წარმოდგება მდ. ვილუიდან (ციმბირი), ვეზუვიანის ან გროვსლარის ადგილობრივი სახელწოდება. საიუველირო სახესხვაობების კომერციული ტერმინი.

„ვიტელბახერი“ – „Виттельбахер“ – „Wittelbacher“ – Wittelbacher“

მუქი ლურჯი ინდური ალმასი. წონა – 36.56 კარატი (დაწახნაგების შემდეგ). 1772 წლიდან ჰაბსბურგების დინასტიის საკუთრება (ბავარიის სამეფო).

ვიტერიტი – Витерит – Witherite – Witherit




სახელი უწოდეს პირველი აღმოჩენის – ინგლისელი ფიზიკოსის და მინერალოგის ვ. ვიტერლინგის პატივსაცემად. კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით $BaO-77.7; CO_2-22.3$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალები – სხივოსნური, ბოჭკოვანი, თირკმლისებრი. ფიზიკური თვისებები: ნაცრისფერი, უფერო ან თეთრი; გამჭვირვალე ან არაგამჭვირვალე; ელვარება მინისებრი, ცხიმოვანი; სიმაგრე – 3-3.5; მყიფე; სიმკვრივე – 4.2-4.3. გარდატეხის მაჩვენებელი $Ng-1.667; Nm-1.676; Np-1.529$. ადვილად იხსნება მჟავაში. ახასიათებს მოყვითალო-მომწვანო ფერებში ლუმინესცენცია. ტოქსიკურია. პარაგენეზული მინერალები: გალენიტი, ბარიტი. $811^{\circ}C$ -ზე გახურებისას გადადის ჰექსაგონურ სინგონიაში, $982^{\circ}C$ -ზე კი კუბურში. გვხვდება საშუალო ტემპერატურულ ჰიდროთერმულ საბადოებში, ბარიტის ხარჯზე წარმოქმნილ მეორეული მინერალია. საბადოები: დიდი ბრიტანეთში; ავსტრალიაში (ზალცბურგი), თურქმენეთში, აშშ-ში (ელ-პორტალი).

ვოლასტონიტი – Волластонит – Wollastonite – Wollastonit



სახელი უწოდეს ინგლისელი მინერალოგისა და ქიმიკოსის უ. ვოლასტონის პატივსაცემად. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO-48.3; SiO_2-51.7$. სინგონია ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. გვხვდება ფირფიტისებრი კრისტალების სახით, რომლებიც წაგრძელებულია *b* კრისტალოგრაფიული ღერძის გასწვრივ (აქედან მომდინარეობს მინერალის ძველი სახელი „ფივრის შპატი“). ფიზიკური თვისებები: თეთრი, ნაცრისფერი; გამჭვირვალე ან არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი, ელვარება – მინისებრიდან აბრეშუმისებრამდე; სიმაგრე – 4.5-5; მყიფე; სიმკვრივე – 2.87-3.09; ტკეჩადობა – სრული (100)-ის და (001)-ის გასწვრივ, ზოგჯერ საშუალო (101)-ის და (201)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng-1.631; Nm-1.623; Np-1.616$. იხსნება მარილმჟავაში, პარაგენეზული მინერალები: კალციტი, კვარცი, გრანატები, ვეზუვიანი, დიოპსიდი, სფენი, ეპიდოტი, სკარნების ტიპური მინერალია. საბადოები: გერმანიაში (შვარცვალდი, ჰესენი), პოლონეთში (მირსკი), ფინეთში (პარაგასი), იტალიაში (მონტე-სომა, ვეზუვი), საბერძნეთში (სანტორინა), ჩრდ. ურალში, ალდანსა და სხვა.

ვოლფრამიტი – Вольфрамит – Wolframite – Wolframit



სახელის წარმომავლობა უცნობია (შესაძლოა იყოს გერმანული „ვოლფ“ და „რამ“ – ქაფი, ვოლფრამის შემცველი კალის მადნის გამოდნობისას წარმოიქმნება ქაფი). ვოლფრამიტები იზომორფული რიგია, რომლის უკიდურესი წევრებია: **ფერბერიტები** – მოიცავს რივის იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს $MnWO_4-20\%$ -მდე; **ჰიუბერიტები** – იმ ნაწილს, რომელიც მოიცავს $20\% FeWO_4$ -ს, ხოლო ვოლფრამიტები – დარჩენილ (შუალედურ) ნაწილს, WO_4 -ს 75% -მდე. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალების ფორმები: მკვრივი მასები, მარცვლოვანი, ფირფიტოვანი ფიზიკური თვისებები: მუქი ნაცრისფერი, მოყავისფრო-მოშავომდე; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი მოყავისფრო-მოშავომდე; ელვარება – ცხიმოვანი, ნახევრად ლითონური; სიმაგრე – 4-4.5; მყიფე; სიმკვრივე – 7.14-7.54; ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. მჟავაში არ იხსნება; პარაგენეზული მინერალები: კასიტერიტი, მოლიბდენიტი, არსენობირიტი, პირიტი, ქალკობირიტი, ტოპაზი და სხვა. საბადოები: გერმანიაში (საქსონიის მადნიანი მთები), ჩეხეთში (მადნიანი მთები), პორტუგალიაში, ჩინეთში, რუსეთში (ბაიკალთან), საფრანგეთში (ოვერნი).

ვორობიევიტი – Воробьевит – Worobyevit – Worobievit

ცეზიუმთან ბივრილი

სახელი უწოდეს რუსი მინერალოგის ვ. ვორობიევის პატივსაცემად. ვარდისფერი ბივრილი.

ვულფენიტი – Вульфенит – Wulfenite – Wulfenit



სახელი უწოდეს ავსტრიელი მინერალოგის ფ. ვულფენის პატივსაცემად. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $PbO-61.4; MoO-38.6$. სინგონია ტეტრაგონული, პირამიდის კლასი. ხშირია კვადრატული ფორმები, ზოგჯერ პირამიდული კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – ყვითელი, მონარინჯისფრო-მოყვითალოდან წითლამდე, იშვიათად ნაცრისფერი, მომწვანო. გამჭვირვალე ზოგჯერ ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; მყიფე; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმაგრე – 3; სიმკვრივე – 6.7-6.9; ტკეჩადობა პრიზმის წახნაგების გასწვრივ. ძნელად იხსნება მარილმჟავაში, კარგად – გოგირდმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: პირომორფიტი, ვანადინიტი, ცერუსიტი, სფალერიტი, გალენიტი, კალციტი და სხვა. წარმოიქმნება ტყვია-მოლიბდენის მადნების დაჟანგვის ზონაში. საბადოები: ავსტრალიაში, იუგოსლავიაში, იუტას შტატში (აშშ), ყაზახეთში (სულეიმანსკოე).

ვიურტიტი – Вюртцит – Wurtzite – Wurtzit



სახელი უწოდეს ფრანგი ქიმიკოსის შ. ვიურცის პატივსაცემად. სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Zn-67.1; S-32.9$. სინგონია ჰექსაგონური, დიჰექსაგონური პირამიდის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი – ღია ყვითლიდან მუქ ყავისფრამდე; ზოგჯერ გამჭვირვალე; ხაზის ფერი – მოყავისფრო-მოყვითალო; ელვარება – მინისებრი, ნახევრად ლითონური. სიმაგრე – 3.5-4; მყიფე; სიმკვრივე – 4.08; ტკეჩადობა სრული (1010)-ის და (0001)-ის გასწვრივ. კრისტალური ფორმები: სვეტისებრი, სხივოსნური, ბოჭკოვანი, ქერცლები. იხსნება კონცენტრირებულ მჟავებში. პარაგენეტული მინერალები: სფალერიტი, გალენიტი. საბადოები: გერმანიაში (აახენი), ჩეხეთში (პრშიბრამი), ვაიარინგში (აშშ), ცენტრ. ყაზახეთში, ბოლივიასა და სხვა.

ზ

ზურმუხტი – Изумруд – Emerald – Smaragd


ქართული სახელის წარმომავლობა უცნობია. ზურმუხტი ბივრილის საიუველირო ხარისხის მწვანე ფერის სახესხვაობაა. საბადოები: კოლუმბიაში, ბრაზილიაში, ურალში.

ზემფარა – Наждак – Emery – Smirgel

კორუნდის, მაგნეტიტის, ჰემატიტის, კვარცის და სხვათა ნარევი. წარმოიქმნება თიხა-მიწითა და სილიციუმით მდიდარი ქანების მეტამორფიზმის შედეგად. გამოიყენება როგორც სააბრაზივო ქვა.

თ


თაბაშირი – Гипс – Gypsum – Gips



ბერძნულად „გიპსოს“ – ცარცი. სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO-32.5; SO_3-46.6; H_2O-20.9$. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალების ფორმები: ფირფიტოვანი, ნემსისებრი, მრჩობლები, მერცხლის კუდის ფორმის, მასიური (მარცვლოვანი), ფიზიკური თვისებები: უფერო, თეთრი, ნაცრისფერი, ზოგჯერ ყავისფერი, მოწითალო, მოლურჯო; გამჭვირვალედან არაგამჭვირვალემდე; ხაზის ფერი თეთრი; ელვარება

მინისებრი, აბრეშუმისებრი, ცხიმოვანი, სიმაგრე 1.5-2; მონატეხი საფეხურისებრი; რბილი; სიმკვრივე – 2.32. ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. იხსნება წყალსა და მჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ჰალიტი, ანჰიდრიტი, არაგონიტი და სხვ. წარმოშობა უპირატესად დანალექი, ჰიდროთერმული საბადოები: გერმანიაში, სიცილიაში, ურალისპირეთსა და სხვ.

თვალჭრელიძეიტი – Твалчрелидzeit – Tvalchrelidzeite – Tvalchrelidzeit




სახელი უწოდეს ქართველი აკადემიკოსის ა. თვალჭრელიძის პატივსაცემად. სინგონია მონოკლინური. ფერი ტყვიისებრ ნაცრისფერი. ხაზის ფერი შავი. ალუბლისფრად გამჭვირვალე. სიმაგრე – 3.1; სიმკვრივე – 7.83; აღმოჩენილია სოფ. გომთან (საქართველო).

„თემურ-რუბინი“ – „Тимур-рубин“ – „Timur-ruby“ – „Timur-ruby“

წითელი შპინელი. მასა 361 კარატი. ინგლისის სამეფოს საგანძური (ადრე ლალად იყო მიჩნეული).

თომსონიტი – Томсонит – Thomsonite – Thomsonit



სახელი უწოდეს შოტლანდიელი მინერალოგისა და ქიმიკოსის ტ. თომსონის პატივსაცემად. ცეოლითების ჯგუფის მინერალი. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. ახასიათებს რადიალურ-სხვიოსნური, კანისებრი, ბოჭკოსებრი წარმონაქმნები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ზოგჯერ მოყვითალო წითელი ელფერით; არაგამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრიდან სადაფისებრამდე; სიმაგრე – 5.5; მყიფე, მონატეხი საფეხურისებრი; სიმკვრივე – 2.3-2.4; ტკეჩადობა (010)-ის გასწვრივ სრული, (100)-ის გასწვრივ საშუალო. გარდატეხის მაჩვენებელი: $N_g - 1.530, N_m - 1.523; N_p - 1.521$. მარილმჟავაში იხსნება.


პარაგენეტული მინერალები: კალციტი, ანალციმი, სხვა ცეოლითები. უპირატესად გვხვდება ფუძე ეფუზიური ქანების სიცარიელებში. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი), ჩეხეთში, შოტლანდიაში, აშშ-ში.

ო

იაკუტი(იაკინთი) – Якут – Jakute – Jakut

გამჭვირვალე კორუნდი ან ტოპაზი; ზოგი მკვლევარი მიიჩნევს ლალის ქართულ სახელწოდებად.

იაროზიტი – Ярозит – Jarosite – Jarozit



სახელწოდება წარმოდება იაროსის ხეობიდან (ესპანეთი). ალუნიტის ჯგუფის მინერალი. შედგენილობა %-ობით: $K_2O - 9.4; Fe_2O_3 - 47.9; SO_3 - 31.9; H_2O - 10.8$. სინგონია ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. კრისტალები ძალზე იშვიათია, ქმნის ბოჭკოებს, ქერქებს, წანაცხებებს. ფიზიკური თვისებები: ოქროსფერი, მოყვითალო-მოყავისფრო; არაგამჭვირვალე, ხაზის ფერი – მოყვითალო; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 3-4; მყიფე; სიმკვრივე – 3.15-3.26; ტკეჩადობა მკაფიო (0001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $N_m - 1.820; N_p - 1.715$. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ლიმონიტი, ჰემატიტი, აკუნიტი, კვარცი. კოლჩედანური საბადოების დაჟანგვის ზონის ტიპური მინერალია. საბადოები: საქსონიაში (გერმანია), საბერძნეთში, ესპანეთსა და სხვა.

იასპი – Яшма – Jasper – Jaspis




ქართულად ამარტაც ჰქვია; ზოგჯერ ეშმას უწოდებენ. ფაქტობრივად ქანია – აგებული ქალცედონის ან კვარცის მარცვლებით. შეფერილობა ნაირგვარი აქვს, ხშირად ზოლისებრი. იასპისი ზოგადი, კრებითი სახელია და იგულისხმება კაჟის შედგენილობის მქონე წარმონაქმნები. ფერი: წითელი, ყავისფერი. სიმაგრე – 6.5-7, სიმკვრივე – 2.58-2.91. მონატეხი ხიწვისებრი. საბადოები: გერმანიაში, საფრანგეთში, ინდოეთში, რუსეთში, საქართველოში (წყალტუბო, კასპი, ახალციხე). იასპისი, სანახელავო და დეკორატიული ქვაა.

იდოკრაზი – Идокраз – Idocrase – Idokras


ვეზუვიანის სინონიმი.

ილიტი – Иллит – Illite – Illit



სახელწოდება წარმოდგება აშშ-ის შტატ ილინოისიდან; ჰიდროქარსების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა ძალზე ცვალებადია, ფორმულა – მიახლოებითი. სინგონია – მონოკლინური. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, მოყვითალო. მომწვანო, მოყავისფრო. ნახევრად გამჭვირვალე; სიმკვრივე – 2.64-2.69; ტკეჩადობა (001)-ის გასწვრივ. მჟავებში ადვილად იხსნება. წარმოშობა ზღვიური, ჰიდროთერმულ ზონებში.

ილვაიტი – Ильваит – Ilvaite – Ilvait



სახელწოდება წარმოდგება კ. ელბას ლათინური სახელიდან ილვა. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO-13.7; FeO-35.2; Fe_2O_3-19.6; SiO_2-29.3; H_2O-2.2$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალები ხშირად პრიზმული იერისაა ვერტიკალური შტრიხებით, გვხვდება სხვიოსნური, ბოჭკოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – შავი მწვანე ელფერით; ზაზის ფერი მომწვანო; ელვარება ცხიმოვანი, მინისებრი; სიმაგრე – 5.5-6.0; მყიფე; სიმკვრივე – 4.1-4.2; ტკეჩადობა მკაფიო (010)-ის და (001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი – $Ng-1.91-1.92; Nm-1.89; Np-1.88$. მჟავაში ადვილად იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ავგიტი, ამფიბოლები, ანდრადიტი, მაგნეტიტი. მეტასომატური და სკარნული მინერალია. საბადოები კუნძულ ელბაზე, კუნძულ ერენდიტიზე, ჩრდ. ურალში.

ილმენიტი – Ильменит – Ilmenite – Ilmenit



სახელი წარმოდგება ილმენის მთებიდან (სამხრ. ურალი). კორუნდის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Fe-36.8; Ti-31.6; O-31.6$. სინგონია ტრიგონული, რომბოედრის კლასი. სქელფირფიტოვანი. ფიზიკური თვისებები: ფერი – რკინისებრ შავი ან მოფოლადისფრო-მონაცრისფრო; ზაზის ფერი შავი; ელვარება ლითონური, ნახევრად მეტალური; სიმაგრე – 5-6; მყიფე, სიმკვრივე – 4.68-4.78; სუსტად მაგნიტური. პარაგენეტული მინერალები: მინდვრის შპატი, ბიოტიტი, ჰემატიტი, რუტილი, ცირკონი, მაგნეტიტი, აპატიტი და სხვ. ტიპური მაგმური მინერალია, უპირატესად უკავშირდება გაბროებს, ულტრაფუქე ქანებს; ხშირია ქვიშრობებში. საბადოები: საქსონიაში (გერმანია), შვეიცარიაში, ნორვეგიაში, კვებეკში (კანადა), ილმენისა (სამხ. ურალი) და ხიბინის (კოლის ნახევარკუნძული) მთებში.

ინდიგოლიტი – Индиголит – Indigolite – ndigolith

ტურმალინის ინდიგოსებრ ლურჯი იშიათი სახესხვაობაა. გვხვდება შვედეთში, მასაჩუსეტში (აშშ), ნამიბიაში, შრი-ლანკაში (ქვიშრობებში).

„ინდოეთის ვარსკვლავი“ – „Звезда Индии“ – „Star of India“ – „Stern von Indian“

დღეისათვის ცნობილი ყველაზე დიდი საფირონის კაბოშონი. მასაა 536 კარატი. ინახება ბუნების ისტორიის ეროვნულ მუზეუმში, ნიუ-იორკში (აშშ).

ირიდოსმიუმი – Иридоcмин – Iridosmine – Iridosmin

(Os,Ir)

მიეკუთვნება ხალასი მინერალების ჯგუფს. ქიმიური შედგენილობა %-ობით: *Ir* – 46.8 – 72.2; *Os* – 21.0 – 49.3 ირიდიუმის შეფარდება ოსმიუმთან იცვლება 1:1-დან 4:1-მდე იშვიათია. სინგონია ჰექსაგონური, დიჰექსაგონური-დიპირამიდის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი - ფოლადისებრ ნაცრისფერი, მოლურჯო ელფერით; ხაზის ფერი - მონაცისფრო მწვანემდე; ელვარება-მქრქალი; სიმკვრივე - 7; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე - 19-21, ტეჩადობა (0001)-ის გასწვრივ. დაკავშირებულია ულტრაფილტუვ ქანებთან. საბადოები: კალიფორნიაში (აშშ), ბრაზილიაში, კანადაში, ურალში (რუსეთი).

„იუბილე“ – „Юбилей“ – „Jubilie“ – „Jubilee“

სამხრეთ აფრიკაში, 1895 წელს ნაპოვნი 650.8-კარატიანი ოქტაედრის ფორმის ალმასი, რომლისგანაც დამზადებულია ორი ბრილიანტი, მათგან დიდის წონაა 245.35 კარატი. გამოფენილია ვაშინგტონში, სმიტსონის ინსტიტუტში.

კ

კაინიტი – Каинит – Kainite – Kainit

$KMg[SO_4]Cl \cdot 3H_2O$

ბერძნული სიტყვიდან „კაინოს“ – ახალი, თანამედროვე, მისი ახალი (მეორეული) გაჩენისათვის. სულფატების ჯგუფის მინერალია. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება მჭიდრო მასების სახით, ზოგჯერ ფირფიტოვანი და პრიზმული. ფიზიკური თვისებები: მოყვითალო ან მონაცისფრო ელფერის თეთრი, ზოგჯერ მოწითალო; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, სიმკვრივე – 3; მონატეხი – ნიჟარისებრი, სიმკვრივე – 2.12-2.15; ტეჩადობა სრული (100)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: *Ng* – 1.516; *Nm* – 1.505; *Np* – 1.494 გემო მომწარო მლაშე. წყალში იხსნება. თანამედროვე მინერალები: ჰალიტი. ეპსომიტი, კარნალიტი, ანჰიდრიტი და სხვ. წარმოშობა ევაპორიტული. საბადოები: სტასფურტი (გერმანია), კალიფორნია (აშშ), კარპატები, ვოლგისპირეთი (რუსეთი).

კალომელი – Каломель – Calomel – Calomel

$HgCl$


ბერძნული სიტყვიდან „კალიოს“ ტკბილი (გემო). ქლორიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: *Hg* – 85. სინგონია ტეტრაგონული. დიტეტრაგონული დიპირამიდის კლასი. ახასიათებს ფირფიტისებრი, პრიზმული, პირამიდული, ნემსისებრი კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი მონაცისფროდან მოყვითალო ნაცრისფრამდე. ნახევრად გამჭვირვალე, ხაზის ფერი – თეთრი ან მოყვითალო; ელვარება – ალმასისებრი; სიმკვრივე – 1-2; რბილია (იჭრება დანით); სიმკვრივე – 6.4-6.5; ტეჩადობა სრული (100)-ის და (011)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: *Ng* – 2.65; *Nm* – 1.97. იხსნება სამეფო წყალში. პარაგენეზული მინერალები: ხალასი ვერცხლისწყალი, სინგური, ბარიტი, კვარცი და სხვ. ვერცხლისწყლის მადნების საბადოების დაჟანგვის ზონის მინერალია. საბადოები: გერმანიაში, ესპანეთში, (ალმადენი), ნიკიტოკა (უკრაინა).

კალციტი – кальцит – Calcite – Calcit



ბერძნული სიტყვიდან „კალს“ – კირი. კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 56; CO_2 - 44$. სინგონია ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. კრისტალების ფორმები მრავალგვარია: სკალენოედრები, რომბოედრები, ფირფიტები. ფიზიკური თვისებები: ფერი – უმეტესად უფერო ან რძისებრ თეთრი, იშვიათად ყვითელი, მოწითალო, გამჭვირვალე, ნახევრად გამჭვირვალე, ზოგჯერ არაგამჭვირვალე; გამჭვირვალე კალციტს **ისლანდიურ შპატს** უწოდებენ. ხაზის ფერი - თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმკვრივე – 3; მყიფე, მონატეხი ნიჟარისებრი, უფრო ხშირად საფეხურისებრი; სიმკვრივე – 2.6-2.8; ტკეჩალობა სრული (1011)-ის (რომბოედრის წახნაგების) გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Nm - 1.658; Np - 1.486$; იხსნება მარილმჟავაში შიშინით; პარაგენეტული მინერალები: ბარიტი, არაგონიტი, თაბაშირი, დოლომიტი. წარმოშობა ჰიდროთერმული, დანალექი (ქმნის კირქვებს). უაღრესად გავრცელებული მინერალია.

კაოლინიტი – Каолинит – Kaolin – Kaolinit



ჩინურად „კაუ-ლინგ“ – ძალადი მთა – ადგილი სადაც პირველად აღწერეს. თიხების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al_2O_3 - 39.5; SiO_2 - 46.5; H_2O - 14$. სინგონია მონოკლინური და ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი; კრისტალები იშვიათია, გვხვდება ქერცლების და ფირფიტების სახით. ფიზიკური თვისებები: უფერო, მთლიანი მასები თეთრი ფერისაა; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი თეთრი; ელვარება მინისებრი, სიმკვრივე – 2-2.5; რბილი; სიმკვრივე – 2.61-2.68; ტკეჩალობა (001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.566; Nm - 1.561; Np - 1.560$. მჟავაში ბოლომდე არ იხსნება. ჰიგროსკოპიულია, მშრალ მდგომარეობაში შეხებისას ეწეება ენას, აქვს თიხის სუნი. პარაგენეტული მინერალები: კვარცი, ქარსი, უპირატესად დანალექი გზით წარმოიქმნება. საბადოები გერმანიაში (ბავარია), ჩეხეთში (კარლოვი ვარი), კაო-ლინგში (ჩინეთში), უკრაინაში, რუსეთში, გუმბრიაში (წყალტუბოს რ-ნი, საქართველო).

კაჟი – Кремень – Flint – Kiesel




ძველად, ქართულად კაჟს ტალი და საღრტილიც ეწოდებოდა, ფარულკრისტალური წარმონაქმნია. კვარცის ჯგუფის მინერალია. გვხვდება კონკრეციების, მარგულების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ნაცრისფერი, ყავისფერი, წითელი, შავი. ნახევრად გამჭვირვალე; სიმკვრივე – 7; სიმკვრივე – 2.7, მონატეხი ნიჟარისებრი. ხშირად გვხვდება დანალექი (კირქვებში) ქანებში. გამოიყოფა ზღვის წყლიდან ან კოლოიდური ხსნარებიდან. ადამიანი იყენებდა უხსოვარი დროიდან საჭრელი, ისრის პირი, ტალკვესი და სხვა. გამოიყენება სანახელავო ქვადაც.

კარბონადო – Карбонадо – Carbonado – Carbonado

გრაფიტის შემცველი მოშავო-მონაცრისფრო ალმასების კომერციული ტერმინი. ცვეთამედევია, რის გამოც გამოიყენება, როგორც სააბრაზივე მასალა.

კარნალიტი – Карналлит – Carnallit



პრუსიელი სამთო ინჟინერის რ. კარნალის პატივსაცემად. ქლორიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Mg - 8.7; K - 14.1; Cl - 38.3; H_2O - 38.9$ სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალები ძალზე იშვიათია, ჩვეულებრივ გვხვდება მჭიდრო მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: უფერო, მოვარდისფრო ან წითელი. გამჭვირვალედან

ნახევრად გამჭვირვალედ; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი, ცხიმისებრი; სიმაგრე – 1.5-2; მონატეხი – ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 1.6; მწარე გემოსი, იხსნება წყალში; აქვს ფოსფორეცენციის უნარი; პარაგენეტული მინერალები კალციტი, სილვინი, ანჰიდრიტი, კაინიტი და სხვ. ტიპური ქიმოგენურ-დანალექი წარმოშობის მინერალია. საბადოები: გერმანიაში, ესპანეთში (კატალონია), სოლიკამსკში (ურალისპირეთი).

კასიტერიტი – Касситерит – Tinsone – Cassiterit



ბერძნულად „კასიტეროს“ – კალა. ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Sn – 78.8. სინგონია ტეტრაგონული, დიტეტრაგონული დიპირამიდის კლასი. კასიტერიტის კარგი კრისტალები იშვიათია, ყველაზე ხშირად ახასიათებს დიპირამიდები, სვეტები, ზოგჯერ ნემსისებრი. 10სმ-იანი სიგრძის კრისტალის წონა რამდენიმე კოლოგრამია. ფიზიკური თვისებები: უფერო, შავი, მოწითალო-მოყავისფრო; არაგამჭვირვალე; ელვარება წახნაგებზე ალმასისებრი, ნიჟარისებრ მონატეხზე ცხიმოვანი; სიმაგრე – 6-7; ძალიან მყიფე; სიმკვრივე 6.8-7.1; ტკეჩადობა არასრული (100)-ის და (110)-ის გასწვრივ. მჟავაში თითქმის არ იხსნება; პარაგენეტული მინერალები: კოლუმბიტი, ტანტალიტი, სპოდუმენი, ვოლფრამიტი, შეელიტი, მოლიბდენიტი და აგრეთვე სულფიდები, კვარცი, აპატიტი და სხვა. ტიპური ჰიპოგენური მინერალია, უკავშირდება მჟავე ქანებს, გრეიზენებს და ჰიდროთერმებს, გვხვდება სკარნებშიც. ზედაპირული ეროზიის პირობებში უაღრესად მდგრადია, ამიტომ სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები უკავშირდება ქვიშრობებს: კ. სუმატრაზე, მალაკის ნ-კ., რუსეთში ცნობილია ზავიტინის პეგმატიტური საბადო, ზარავმანის ქედზე (შუა აზია), აღმოსავლეთ იმეირბაიკალეთში და სხვ.

„კატისთვალი“ – „Глаз кошачий“ – „Cat's eye“ – „Katzenauge“

ამ ტერმინით გაერთიანებულია ისეთი მინერალური წარმონაქმნები, რომლებსაც ახასიათებს ერთგვარი ფერთა ციმციმი (შილერიზაცია), ჩამოჰგავს კატის თვალის ეფექტს. ამ ჯგუფში ყველაზე გავრცელებულია მწვანე ან მომწვანო-მონაცრისფრო კვარცის სახესხვაობები, რომლებშიც რქატყუარის უამრავი უწვრილესი ბოჭკოებია. კატისთვალის ეფექტი ზოგჯერ ახასიათებს ალექსანდრიტს, ქრიზობერილს, ოპალს, რუტილის ნემსების ჩანართებთან წითელ კორუნდს (ანუ ლალი), ოპალესცენციის მქონე ქრომ-დიოპსიდსა და ტოპაზს. ეს მინერალები სანახელავო ქვებია.

კვამლაკვარცი – Раухтопаз – Smoky-quartz – Smoky-quartz

კვარცის კვამლისფერი სახესხვაობა. მესამე კლასის ძვირფასი ქვა. მისგან ამზადებენ სხვადასხვა სამკაულს.

კვარცი – Кварц – Quartz – Quarz



სახელის წარმომავლობა გაურკვეველია. კვარცის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Si – 53.3. სინგონია კრისტალდება, როგორც ჰექსაგონური სინგონიის ტრაპეცოედრის კლასში (მაღალტემპერატურული – 573°C მეტი), ისე ტრიგონული სინგონიის ტრაპეცოედრის კლასში (დაბალტემპერატურული – 573°C-ზე ნაკლები). ძალიან ხშირად ქმნიან კარგად განვითარებულ პრიზმული იერის კრისტალებს, აგრეთვე განვითარებული აქვს დიპირამიდები, ტრაპეცოედრები, ზოგჯერ რომბოედრები. უმეტესად გვხვდება მჭიდრო აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: კვარცი ფერის მიხედვით მრავალგვარია და მათ ყველას თავისი სახელი ჰქვია, ამ მინერალის წყლისფერ გამჭვირვალე კრისტალებს მთის ბროლი ეწოდება; იისფერ სახესხვაობებს – ამეთვისტო; ბოლისფერ კვარცს – კვამლაკვარცი (რაუხტოპაზი); მუქ თითქმის შავ კვარცს – მორიონი; ოქროსფერი ელფერის ყვითელს – ციტრინი. ყველა ეს ჩამოთვლილი სახესხვაობა გამჭვირვალეა, ასეთების გვერდით არსებობს არაგამჭვირვალე, სახესხვაობები რომლებსაც კრისტალები არა აქვთ: მაგ. პრაზემი – აქტინოლითის ნემსების ჩანართებიანი

მომწვანო კვარცი; ავანტიურინი – მოყვითალო ნემსისებრი მოციმციმე კვარცი ქარსის და ჰემატიტის უმცირესი ჩანართებით. ბუნებაში გვხვდება აგრეთვე ჩანართების ფარულკრისტალური კვარცი, რომელსაც ქალცედონი ეწოდება. ეს სახესხვაობაც გამოირჩევა მრავალნაირი შეფერვით, კერძოდ რბისფერი, ყვითელი, წითელი, ნარინჯისფერი (სარდონი); ყავისფერი (სარდერი); მკვეთრ წითელ, ყვითელ, ყავისფერ, ნახევრად გამჭვირვალე, გამჭვირვალე სახესხვაობას კარნელი – სერდოლივი. მწვანე (პლახმა); ვაშლისებრ მწვანე (ქრიზობრაზი); მწვანე, წითელი ლაქებით – ჰელიოტროპი და სხვ. ქალცედონი ხშირად იძლევა ზოლებრივ წარმონაქმნებს, რომლებსაც აქატი და ონიქსი ეწოდება. კვარცი გვხვდება როგორც გამჭვირვალე, ისე არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 7; მონატეხი ნიჟარისებრი; მყიფეა; სიმკვრივე – 2.65; ტკეჩადობა არ ახასიათებს. გარდატეხის მაჩვენებელი: $N_g - 1.553, N_m - 1.544$. ძნელად იხსნება ფტორმჟავაში. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქანმაშენი მინერალია, ნანახია მთვარის გრუნტშიც.

კიანიტი – Кианит – Kianit – Kyanite (დისტენი-Дистен-Disthen)



„კიანოს“ – ბერძნულად მუქი ლურჯი; სინონიმი დისტენი აღნიშნავს მის განსხვავებულ სიმაგრეს სხვადასხვა მიმართულებით, ბერძნულად „დი“ – ორი, „სთენოს“ – სიმაგრე. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al_2O_3 - 63.1; SiO_2 - 36.9$. ტრიკლინური სინგონიის პინაკოიდის კლასი. ჩვეულებრივ წაგრძელებული სვეტისებრი ფორმისაა; ფიზიკური თვისებები: ცისფერი და ლურჯი სხვადასხვა ინტენსივობის; გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე სიგრძის გასწვრივ – 5, ხოლო წაგრძელების მართობულად – 7 (სიმაგრის ანიზოტროპია); მონატეხი საფეხურისებრი; სიმკვრივე – 3.7; ტკეჩადობა სრული (100)-ის გასწვრივ, მკაფიო (010)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $N_g - 1.729; N_m - 1.722; N_p - 1.717$. პარაგენეტული მინერალები: სტავროლითი, ანდალუზიტი, ალმანდინი, კორუნდი, რუტილი და სხვ. საბადოებია – ინდოეთში, შვეიცარიაში, ფინეთში, კენიაში, რუსეთსა და სხვაგან.

კინოვარი (სინგური) – Киноварь – Cinnabar – Cinnabarit



სახელწოდება ინდური ენიდან მომდინარეობს, შესაძლოა ნიშნავდეს „დრაკონის სისხლს“. სფალერიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Hg - 86.2; S - 13.8$. სინგონია ტრიგონული, ტრაპეცოედრის კლასი. HgS ზოგჯერ კუბური სინგონიაში. დაკრისტალელებულიც გვხვდება. ასეთ მინერალს მეტაცინაბარიტი ეწოდება. კინოვარი გვხვდება პატარა ფირფიტოვანი კრისტალების ანდა აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – კაშკაშა წითელი; ხაზის ფერი – წითელი; ელვარება – ალმასისებრი; სიმაგრე – 2; რბილია; მონატეხი – ხიწვისებრი; სიმკვრივე – 8; ტკეჩადობა (1010)-ის გასწვრივ სრული. გარდატეხის მაჩვენებელი: $N_g - 3.27; N_m - 2.91$. $200^{\circ}C$ გახურებისას მთლიანად ორთქლდება; იხსნება მხოლოდ სამეფო წყალში. პარაგენეტული მინერალები: ვერცხლისწყალი, ქალკობირიტი, პირიტი. ტიპირი დაბალტემპერატურული ჰიდროთერმული მინერალია. საბადოებია: გერმანიაში, ესპანეთში (ალმადენი); იტალიაში (ტოსკანა); მექსიკაში, აშშ-ში (კალიფორნია); პერუში, უკრაინაში (ნიკიტოვკა); რუსეთში (ალტაი).

კოველინი – Ковеллин – Covellite – Covellin




სახელი უწოდეს იტალიელი მინერალოგის ნ. კოველის პატივსაცემად. სულფიდების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Cu - 66.5; S - 33.5$. სინგონია ჰექსაგონური, დიპექსაგონური დიპირამიდის კლასი. ჩვეულებრივ კოველინი გვხვდება წანაცხებების და ჭვარტლისებრი სახით. ფიზიკური თვისებები: ფოლადისფერი ან მოლურჯო ელფერის შავი; ხაზის ფერი – შავი; ელვარება – ლითონისებრი, ცხიმოვანი. სიმაგრე – 1.5-2.5; რბილი, დრეკადი;

სიმკვრივე – 4.6-4.76; ტკეჩალობა (0001)-ის გასწვრივ სრული. გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.81; Nm - 1.45$. იხსნება ცხელ აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ქალკოპირიტი, ქალკოზინი, ბორნიტი და სხვ. უპირატესად გვხვდება დაჟანგვის ან სულფიდებით მეორეული გამდიდრების ზონებში. კოველინის საბადოები სპილენძის მადნების საბადოებია.

კოლჩედანი – Колчедан – Pyrites

სახელი მომდინარეობს ბერძნული „ქალკედონიდან“ (კოლონია მცირე აზიაში); ქართულად მურდასანგი, კოლჩედანი ლითონთა სულფიდების, სულფომარილების კრებითი სახელია. კოლჩედანებისათვის დამახასიათებელია სიმაგრე, ლითონური ელვარება, ბრინჯაოსებრი ან თითბირისებრი ყვითელი, ზოგჯერ ნაცრისფერი ან თეთრი ფერი. მაგალითად რკინის კოლჩედანი, სპილენძის კოლჩედანი და სხვ.

კორდიერიტი – Кордиерит – Cordierite – Cordierit



სახელი უწოდეს ფრანგი მინერალოგის პ. კორდიეს პატივსაცემად. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $SiO_2 - 50$, დანარჩენი ელემენტები ცვალებადია. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება პრიზმული კრისტალების ან მჭიდრო მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: მოლურჯო, მოიისფრო, ნაცრისფერი, იშვიათად მოწითალო; ხაზის ფერი – თეთრი; სიმაგრე – 7-7.5; მყიფე; მონატეხი – ნიჟარისებრი; ელვარება ცხიმისებრიდან მინისებრამდე; სიმკვრივე – 2.55-2.77; ტკეჩალობა სუსტი (100)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.541; Nm - 1.539, Np - 1.534$. უპირატესად გვხვდება გნეისების კონტაქტური მეტამორფიზმის ზონებში. საბადოები: გერმანიაში (ბავარია, ეიფელი), ნორვეგიაში, შვედეთში, ჩეხეთში (მორავია), აღმ. ციმბირში.

კორუნდი – Корунд – Corundum – Corund



სახელწოდება წარმოდგება ძველი ინდურიდან (კაურუნტაკა). სინგონია – ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. ქიმიური შედგენილობა: ქრომის, რკინის, მანგანუმის, ტიტანის უმნიშვნელო შემცველობა განსაზღვრავს მის ფერს – ქრომი აძლევს წითელ კაშკაშა ფერს, ტიტანი ლურჯს, რკინა – შავს, წითელ სახესხვაობებს ლალი, ლურჯს – საფირონი ეწოდება. კორუნდი პირველი ხარისხის საიუველირო მინერალია. ხაზის ფერი – თეთრი; უმთავრესად არაგამჭვირვალე ან გამჭვირვალე; სიმაგრე – 9; ელვარება – ლითონური ძლიერი, ზოგჯერ მქრქალი; სიმკვრივე – 3,9,4,1; გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.77, Nm - 1.76$. საბადოების ტიპი მრავალგვარია: პეგმატიტური, ჰიდროთერმული, მეტამორფული, ქვიშრობები. ცნობილი საბადოებია: ინდოეთში (ქაშმირი), შრი-ლანკაში, მაგადასკარზე, ბირმაში, ტაილანდში, რუსეთსა (ილმენის მთები) და სხვ.

„კოხინორი“ – „Кохинор“ – „Koh-i-noor“ – „Kohinoor“ (სინონიმი „სინათლის მთა“)

სუსტად მომწვანო ელფერის ალმასის სახელწოდება, რომელიც ნანახია ინდოეთში XIV საუკუნეში. თავდაპირველი მასა 186 კარატი, დაწახნაგების შემდეგ – 108.9 კარატი, ერთ-ერთი უმშვენიერესი ალმასი დედამიწის ზურგზე. ამჟამად დიდი ბრიტანეთის სამეფო გვირგვინს ამშვენებს.

კრიოლიტი – Криолит – Kryolite – Cryolith



სახელი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „კრიოს“ – ყინული, „ლითოს“ – ქვა (ჩამოჰგავს ყინულს). ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Na-32.8; Al-12.8; F-54.4$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. ფიზიკური თვისებები: უფერო, თეთრი, ზოგჯერ მოშავო; ხაზის ფერი - თეთრი; ელვარება - სადაფისებრიდან მინისებრამდე, გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე; სიმაგრე – 2.5-3; მყიფე; სიმკვრივე 2.95; განწვევება (110)-ის და (001)-ის გასწვრივ. გვხვდება ფირფიტების ან მარცვლოვანი აგრეგატების სახით, კრისტალები ძალზე იშვიათია. გარდ. მაჩვენებ. $Ng-1.34; Nm-1.34; Np-1.33$. კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში მთლიანად იხსნება. პარაგენეტული მინერალები კვარცი, სიდერიტი, გალენიტი, პირიტი, ფლუორიტი და სხვა. მეტამორფული გარდაქმნების ტიპური მინერალია. საბადოები: გრელანდიაში, რუსეთში (ილმენი), ნიგერიაში.

კრისტობალიტი – Кристобалит – Cristobalite – Cristobalit



სახელი წარმოდგება პირველად პონის ადგილიდან „სერო-სან-კრისტობალი“ (მექსიკა). კრისტობალიტი კვარცის კუბური და ტეტრაგონული სახესხვაობებია. გვხვდება ოქტაედრული, ქერცლოვანი, სფერული, ბოჭკოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: რძისებრ თეთრი; ელვარება დაბინდულიდან მინისებრამდე; ხაზის ფერი - თეთრი; ნახევრად გამჭვირვალე; სიმაგრე – 6.5; მყიფე; სიმკვრივე – 2.2; იხსნება მდულარე სოდის წყალხსნარში, ფტორის მჟავაში. კრისტობალიტი გვხვდება მაღალტემპერატურულ მაგმურ ქანებში. პარაგენეტული მინერალები: ტრიდიმიტი, კვარცი და სხვ. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი), ჩეხეთში (მორავია), მექსიკასა და სხვ.

კროკოიტი – Крокоит – Crocoite – Crokoit



სახელი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „კროკოს“ – ზაფრანა (ფერის გამო). სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $PbO-68.9; CrO_3-31.1$; გვხვდება პრიზმული კრისტალების ან მარცვლოვანი აგრეგატების სახით. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. იშვიათია. ფიზიკური თვისებები: ფერი – ზაფრანისფერი; ელვარება – ცხიმისებრი, ალმასისებრი; ხაზის ფერი – ნარინჯისებრი ყვითელი; მყიფე, სიმაგრე – 2.5-3; მონატენი ნიჟარისებრი, სიმკვრივე – 5.9-6.1; ტეჩადობა სრული (110)-ის გასწვრივ. იხსნება ცხელ მარილმჟავასა და კალიუმის ტუტეში. პარაგენეტული მინერალები: გალენიტი, ცერუსიტი, ლიმონიტი, კვარცი და სხვ. გვხვდება ტყვიის მინერალების დაჟანგვის ზონაში. საბადოები: ტასმანიაზე, ბრაზილიაში, ფილიპინებზე, რუსეთში (შუა ურალში).

„კულინანი“ – „Куллинан“ – „Cullinan“

სახელი უწოდეს ალმასის ერთ-ერთი საბადოს – „პრემიერის“ აღმოჩენისა და მფლობელის სერ ტ. კულინანის პატივსაცემად. ყველაზე დიდი უმაღლესი ხარისხის ალმასის სახელწოდებაა. დაუმუშავებელი 3106 კარატია. მისგან დამზადებულია 105 ბრილიანტი, რომელთაგან უდიდესი „აფრიკის ვარსკვლავის“ მასა 503,2 კარატია. ალმასი ნაპოვნია 1905 წელს სამხრ. აფრიკის რესპუბლიკის მალარო „პრემიერში“.

კუპრიტი – Куприт – Cuprite – Kuprit



სახელი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „კუპრუმ“ – სპილენძი. ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Cu-88.8; O-11.2$. სინგონია – კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. გვხვდება ოქტაედრული და რომბოლოდეკაედრული კრისტალების ან

მოლიანი მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: წითელი, ტყვიისებრ ნაცრისფერი; ელვარება მონატენზე ალმასისებრი; თხელი ნატენები გამჭვირვალეა; ხაზის ფერი – მოყვითალო; სიმაგრე – 3.5-4; მყიფე; მონატენი – ნიჟარისებრი. სიმკვრივე – 5.85-6.15; ტკეჩალობა მკაფიო (111)-ის გასწვრივ. გარდატენის მაჩვენებელი: $N - 2.85$. მჟავებსა და ამიაკში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ხალასი სპილენძი, მალაქიტი, აზურიტი, ქალკოპირიტი, ქრიზოკოლა და სხვ. გვხვდება სპილენძის მადნების საბადოების მინერალების შეცვლის ზონაში. საბადოები: საფრანგეთში (ლიონთან), აშშ-ში (არიზონა), ჩილეში (ჩუკიკამატა), რუსეთში (სერდილოვსკის ოლქი).

ლ

ლაბრადორი – Лабрадор – Labrador – Labradorit

$An - 50 - 70; Al - 30 - 50$ (იხ. პლაგიოკლაზები)

წარმოდგება ნახევარკუნძულ ლაბრადორის სახელწოდებიდან ჩრდ. ამერიკაში, სადაც პირველად იქნა აღმოჩენილი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Na_2O - 5.89; CaO - 10.05; Al_2O_3 - 28.01; SiO_2 - 56.05$. სინგონია ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. ბუნებაში გვხვდება უპირველესად მოლიანი მასების, მსხვილკრისტალური აგრეგატების სახით. ეულ კირსტალებს არ ქმნის. ფიზიკური თვისებები: თეთრი, ნაცრისფერი, ახასიათებს ირიზაცია, გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე, ხაზის ფერი – თეთრი, ელვარება – მინისებრი, სადაფისებრი, სიმაგრე – 6, მყიფე, მონატენი არასწორი; სიმკვრივე – 2.7; ტკეჩალობა (001)-ის და (010)-ის გასწვრივ სრული. ოპტიკური თვისებები - გარდ. მაჩვ.: $Ng - 1.569; Nm - 1.563; Np - 1.55$. მჟავებში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ოლივინი, პიროქსენები, მაგნეტიტი, ქრომიტი და სხვ. ფუძე ქანების ქანმაშენი მინერალია. საბადოები: გერმანიაში (საქსონია), ფინეთში, რუსეთში (კარელია), ლაბრადორის ნახევარკუნძულზე, მადაგასკარზე.

ლაზულიტი – Лазулит – Lazulite – Lazulith

$(Mg, Fe^{2+})Al_2[PO_4][OH]_2$

სპარსულად „აზულ“ – ცა, ლაჟვარდი. ფოსფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $P_2O_5 - 45.4; Al_2O_3 - 32.6; FeO - 7.7; MgO - 8.5; H_2O - 5.8$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება მარცვლოვანი კრისტალური მასების სახით, კრისტალები იშვიათია. ფიზიკური თვისებები: ლაჟვარდოვანი ლურჯი, მომწვანო-მოლურჯო; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; თხელ ჩამონატენში ნახევრად გამჭვირვალე; მონატენი – ხიწვიანი; სიმაგრე – 5-6; მყიფე; სიმკვრივე – 3.13-3.33; ტკეჩალობა (110)-ის და (001)-ის გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: კვარცი, მუსკოვიტი, კიანიტი, პირიტი, ჰემატიტი და სხვ. გვხვდება პეგმატიტებსა და კრისტალურ ფიქლებთან დაკავშირებულ კვარცის ძარღვებში. საბადოები: ავსტრიაში (შტირია), შვეიცარიაში, აშშ-ში (ჯორჯია); ბრაზილიაში (მინას-ჟერაისი), რუსეთში (ბაიკალისპირეთში).

ლაზურიტი – Лазурит – Lapis Lazuvi – Lazurit

$(Na, Ca)_8 \cdot [S_1SO_4Cl][AlSiO_4]_6$

სპარსულად „აზულ“ – ცა, ლაჟვარდი. სოდალითის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Na_2O - 16.8; CaO - 8.7; Al_2O_3 - 27.2; SiO_2 - 31.8; SO_3 - 11.8; S - 0.34; Cl - 0.25$. სინგონია კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. გვხვდება ძირითადად მასიური კრისტალური აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: სუფთა ლაჟვარდისფერი, მოიისფრო-მოლურჯო, მომწვანო-მოციფრო; ხაზის ფერი ბაცი ცისფერი; კიდევებში გამჭვირვალე; მონატენი – ნიჟარისებრი; სიმაგრე – 5.5; მყიფე; სიმკვრივე – 2.4; ტკეჩალობა (110)-ის გასწვრივ არასრული; იხსნება მარილმჟავაში. საიუველირო ქვაა. პარაგენეტული მინერალები: ტუტე რქატყუარა, სკაპოლიტი, ფლუორიტი,

კალციტი და სხვ. გვხვდება კრისტალურ კირქვებში, როგორც მეტასომეტიტების პროდუქტი. საბადოები: ავღანეთში (ბადახშანი), რუსეთში (იმერბაიკალეთში და პამირზე), აშშ-ში (კალიფორნია).

ლალი – Рубин – Ruby – Rubin



წითელი ფერის ქვა (სულხან-საბა ორბელიანი), მინერალ შპინელის ქართული ხალხური სახელწოდება, ზოგჯერ ბადახშასაც უწოდებენ. ლათინურად „რუბეუს“ – წითელი. კორუნდის სახესხვაობა. უმაღლესი ხრისხის საიუველირო ქვა, განსაკუთრებით ფასობს გამჭვირვალე ლალი. პარაგენეტული მინერალები: ქრიზობერილი, გრანატები, საფირონი, შპინელი, ტოპაზი, ტურმალინი და სხვ. გვხვდება ულტრაფუძე მაგმურ ქანებში, აგრეთვე მეტამორულ ქანებში. საბადოები: ტანზანიაში (უმბა), ბირმაში (მოგოკი), ტაილანდში, შრი-ლანკაზე, რუსეთში (ურალი, პამირი). კომერციულ წრეებში ლალის ხშირად სხვა წითელ ქვებსაც უწოდებენ: მაგ. პიროპი – ამერიკული ლალი; ლალი ანკონა – წითელი კვარცი; ციმბირის ლალი – წითელი ტურმალინი და სხვ.

ლეიციტი – Леицит – Leucite – Leucit



ბერძნულად „ლეკოს“ – ნათელი, თეთრი ფერის. მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $K_2O-21.5; Al_2O_3-23.5; SiO_2-55.0$. სინგონია კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი (გვხვდება აგრეთვე ტეტრაგონული, დიპირამიდის კლასი, ასეთი ლეიციტი დაბალტემპერატურულია). დამახასიათებელია მარცვლოვანი აგრეგატები, გვხვდება აგრეთვე იდეალური კრისტალების იკოსაედრების სახითაც. ფიზიკური თვისებები: თეთრი, ზოგჯერ ნაცრისფერი; უმეტესად ნახევრად გამჭვირვალე, ხშირად მღვრიე – არაგამჭვირვალე, იშვიათად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მქრქალი; სიმკვრივე – 5.5-6; მონატეხი ნიჟარისებრი, მყიფე; სიმკვრივე – 2.46-2.48; ტკეჩადობა არასრული (110)-ის გასწვრივ. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ეგირინი, სანიდინი, ლაბრადორი, ნეფელინი, ოლივინი და სხვ. საბადოები: გერმანიაში (ეიფელი), ჩეხეთში, იდეალური კრისტალები გვხვდება (ვეზუვის ლავებში).

ლეპიდოკროკიტი – Лепидокрокит – Lepidokrokite – Lepidokrokit FeOOH

ბერძნულად „ლეპიდიონ“ – ქერცლი, „კროკოს“ – ზაფრანა. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Fe_2O_3-89.9; H_2O-10.1$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება ქერცლების, ფირფიტების აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: მოყვითალო-მოწითალო, წითელი. ნახევრად გამჭვირვალე, ხაზის ფერი – ნარინჯისფერი ელფერის წითელი, წითელი; ელვარება – ალმასისებრი. სიმკვრივე – 5; მყიფე; სიმკვრივე – 4.05-4.13; ტკეჩადობა სრული (010)-ის და (100)-ის გასწვრივ. გახურებისას კარგავს წყალს და მაგნიტური ხდება, იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ჰემატიტი, გოეთიტი, ბარიტი. გვხვდება, როგორც დაჟანგვის პროდუქტი. საბადოები: გერმანიაში (აიზერფელდი), ჩეხეთში (პრშიბრამი), რუსეთში (ურალიში) და სხვ.


ლეპიდოლითი – Леподолит – Lepidolite – Lepidolith



ბერძნულად „ლეპიდიონ“ – ქერცლი, „ლითოს“ – ქვა. ქარსების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $K_2O-4.82-13.85; Li_2O-1.23-5.90; Al_2O_3-11.33-28.90; SiO_2-46.9-60.06; H_2O-0.65-3.16; F-1.38-8.71$ სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება ქერცლოვანი, ნიჟარისებრი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – იასამნისფერი,


ვარდისფერი, მოვარდისფრო-მოიისფრო, თეთრი. ნახევრად გამჭვირვალე ან გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი ან ღია ვარდისფერი; ელვარება - სადაფისებრი; სიმაგრე – 2.5-4; მყიფე, ფირფიტები დრეკადია; სიმკვრივე – 2.8-2.9; ტექნაღობა ფრიად სრული (001)-ის გასწვრივ. გარდატ. მაჩვენებელი: $Ng = Nm - 1.55; Np - 1.53$. მჟავაში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: სპოდუმენი, ცინვალდიტი, ბივრილი, ტოპაზი, ტურმალინი და სხვ. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი), რუსეთში (ურალი, იმიერბაიკალეთი), საფრანგეთში (ოვერნი), აშშ-ში (კალიფორნია).

ლიმონიტი – Лимонит – Limonite – Limonit



ბერძნულად „ლიმონ“ – მდელო ან ჭაობი. გოეთიტის ჯგუფის ამორფული მინერალია. გვხვდება მარცვლოვანი აგრეგატების, წანაცხებებისა და ნადენი ფორმების სახით. ფიზიკური თვისებები: ჟანგისფერი, ან შავი; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი: მოწითალოდან ყვითლამდე, ელვარება – მინისებრი, აბრეშუმისებრი; სიმაგრე – 5-5.5; სიმკვრივე – 3.8-4.2. მარილმჟავაში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ჰემატიტი, მაგნეტიტი და სხვ. გამოფიტვის ქერქის ტიპური პროდუქტია, განსაკუთრებით ახასიათებს რკინის შემცველი საბადოების გამოფიტვის ქულს. საბადოები: გერმანიაში (ზალცგიტერა), ჩეხეთში (ჟელეზნიაკი), რუსეთში (ურალი, ქერჩის ნახევარკუნძული).

ლომონტიტი – Ломонит – Laumonitite – Lomontit



სახელი უწოდეს ფრანგი მინერალოგის დე-ლიმონის პატივსაცემად. შაბაზიტის ჯგუფის მინერალი. გვხვდება უპირველესად მიწისებრი აგრეგატების სახით. სინგონია – მონოკლინური დიედრის კლასი. ფიზიკური თვისებები: თეთრი, უფერო, მოყავისფრო; გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე – 3-3.5; სიმკვრივე – 2.25-2.35; ტექნაღობა (100) გასწვრივ. გარდატეხის მაჩვ. $Ng - 1.517; Nm - 1.524; Np - 1.513$. პარაგენეტული მინერალები: ცეოლითები, კალციტი და სხვ. საბადოები: გერმანიაში (დრეზდენი), რუსეთში (ურალი), უკრაინაში (ყირიმი), საფრანგეთში (ბრეტანი).


მ

მაგნეზიტი – Магnezит – Magnesite – Magnesit



სახელი წარმოდგება მაგნეზიიდან (თესალია, საბერძნეთი) კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO - 47.6; CO_2 - 52.4$. სინგონია – ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. გვხვდება მსხვილ და კრიპტოკრისტალური აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყვითალო, მონაცრისფრო ან გამჭვირვალე თეთრი, ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 4-4.5; მყიფე, სიმკვრივე – 2.9-3.1; ტექნაღობა (1011)-ის გასწვრივ სრული. გარდ. მაჩვ. $Nm - 1.700; Np - 509$. მჟავაში იხსნება გაცხელების შემდეგ, მარლმჟავაში არ შიშინებს. პარაგენეტული მინერალები: დოლომიტი, ოპალი, ქალცედონი, თაბაშირი და სხვ. წარმოშობა ჰიდროთერმული. ქანმაშენი მინერალია. საბადოები: ავსტრიაში (შტირია), რუსეთში (ხალდოვო), საბერძნეთში (კ. ვებეა).

მაგნეტიტი – Магнетит – Magnetite – Magnetit




სახელწოდების წარმომავლობას ზოგი ვარაუდობს თესალიის ოლქიდან, მაგნეზია, ზოგი კი უკავშირებს მწყემს მაგნიზის სახელს, რომელმაც შეამჩნია, რომ ქვა იზიდავდა რკინის ლურსმნებს. შპინელის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $FeO-31, Fe_2O_3-69$ (რკინა თითქმის 72%-ია). გვხვდება მკვრივი მასების, ოქტაედრებისა და რომბოლოდეკაედრის ფორმის კრისტალების სახით. სინგონია – კუბური, ჰექსაედრის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი – რკინისებრ შავი, არაგამჭვირვალე, ხაზის ფერი – შავი; ელვარება – ლითონური, სიმაგრე – 5.5-6; მონატეხი ნიჟარისებრი სიმკვრივე – 4.9-5.2. ძლიერ მაგნიტურია პარაგენეტული მინერალები: ილმენიტი, ჰემატიტი, პირიტი, პირონიტი, გალენიტი, სფალერიტი, ქალკობირიტი და სხვ. საბადოები: შვედეთში (კირუნა), რუსეთში (მაგნიტოგორსკი, კრივოი როგი), აშშ-ში (ზემო ტბა), სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში (ბუმბელდი) და სხვ.

მალაქიტი – Малахит – Malachite – Malachit




„მალაქე“ ბერძნულად ბალახის ბალბას (მწვანე ფერისაა) სახელია. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CuO-71.9; CO_2-8.2; H_2O-8.2; (Cu-57)$. გვხვდება ქერქების, ნადენების, წანაცხებების, მთლიანი მასების სახით. ნადენ ფორმებს ხშირად ახასიათებს მტევენები, თირკმლისმაგვარი ზოლებრივი წარმონაქმნები. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი – ზურმუხტისებრ მწვანე, მუქი მწვანე, მონაცისფრო-მომწვანო. ხაზის ფერი ღია მწვანე. ელვარება – მქრქალი, აბრეშუმისებრი, კარგად პრიალდება; სიმაგრე – 3.5-4; მონატეხი ნიჟარისებრი, მყიფე; სიმკვრივე – 4; ტკეჩადობა მკაფიო (011)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $Ng-1.909; Nm-1.875; Np-1.655$. იხსნება მარილმჟავაში დუდილისას. პარაგენეტული მინერალები: აზურიტი, ქალკობირიტი, ბორნიტი, ქალკოზინი და სხვ. დაჟანგვის ზონის მინერალია. საბადოები: გერმანიაში (საარი), საფრანგეთში (ლიონთან), მოლდავეთში, რუსეთში (ნიჟნე ტაგილთან), ნამიბიაში, ზაირში, ავსტრალიაში.

მანგანიტი – Манганит – Manganite – Manganit



სახელი უწოდეს ელემენტ „მანგანუმის“ მიხედვით. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MnO-40.4; MnO_2-49.4; H_2O-10.2$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. ახასიათებს პრიზმის სახის კრისტალები (ნემსები, ბოჭკოები). ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყავისფრო-მონაცრისფრო; თხელ კიდეებზე ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – მოყავისფრო; ელვარება – ნახევრად ლითონური; სიმაგრე – 4; მყიფე; სიმკვრივე – 4.3; ტკეჩადობა (010)-ის გასწვრივ სრული, ხოლო (110)-ის გასწვრივ მკაფიო. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng-2.53; Nm-2.24; Np-2.24$ იხსნება კონცენტრირებულ მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: პიროლუზიტი, ბარიტი, კალციტი, სიდერიტი და სხვ. გვხვდება დაბალტემპერატურულ ჰიდროთერმულ მარღვებში. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი), აშშ-ში (მიჩიგანი), უკრაინაში (ნიკოპოლი), საქართველოში (ჭიათურა).

მარგალიტი – Жемчуг – Pearls – Perlen



ორგანული წარმოშობის სანახელავო ქვა, წარმოიქმნება ზოგი მოლუსკის ნიჟარის შიგნით, როგორც წესი აქვს სფერული ფორმა. ანალოგიური წარმონაქმნები ხშირად გვხვდება კირქვებში არსებული გამოქვაბულების და მღვიმეების წყალსაცავებში მომრგვალო, ბურთულის სახით. ჩვეულებრივ არაგონიტია.

მარკაზიტი – Марказит – Marcasite – Markasit



სახელი მომდინარეობს არაბულიდან „ქვა-კვეცი“. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Fe - 46.6; S - 53.4$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება ფირფიტისებრი, მოკლე სვეტოვანი, შუბისებრი, ხშირად კონკრეციების სახით. ფიზიკური თვისებები: თითბირისებრი ყვითელი, ზოგჯერ გადაჰყრავს მომწვანო ელფერი; არაგამჭვირვალე; ხაზი – შავი, ელვარება ლითონისებრი, სიმაგრე – 6-6.5; მყიფე; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 4.8-4.9; ტკეჩალობა არასრული (110)-ის გასწვრივ. ძნელად იხსნება აზოტმჟავაში, უკეთ მარილმჟავაში, პარაგენეტული მინერალები: პირიტი, ქალკოპირიტი, გალენიტი, სფალერიტი, კვარცი, კალციტი და სხვ. ჰაერზე ადვილად იჟანგება და ფორმებს კარგავს. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი, ბადენი), ჩეხეთში (კომორჟანი), რუსეთში (სვერლოვის ოლქი, ჩრდ. კავკასია).


მარმარილოს ონიქსი – Мраморный оникс – armoreal Onyx – Onyx Marmor

ლენტური ან კონცენტრულ-ზოლიანი კალციტის ან არაგონიტის გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე აგრეგატი. სანახელავო ქვაა.

„მატარის ბრილიანტი“ – „Матарский Бриллиант“ – „Matara Diamond“ – „Matara Diamant“

კომერციული ტერმინი. უფრო, გამჭვირვალე ცირკონი, რომელიც დაწახნაგების შემდეგ ძალზე ჩამოჰკავს ალმასს.

მელანტერიტი – Мелантерит – Melanterite – Melanterit



„მელანტეროს“ ბერძნულია ქრთულად ნიშნავს უფრო შავს. წყლიანი სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $FeO - 25.9; SO_3 - 28.8; H_2O - 45.3$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება სტალქტიტების, თირკმლების, ქერქების, იშვიათად ნემსისებრი კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ღია მწვანე, იშვიათად მონაცისფრო ელფერის შავი; გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 5; სიმკვრივე – 1.9; ტკეჩალობა სრული (001)-ის გასწვრივ, საშუალო (110)-ის გასწვრივ. ჰაერზე ადვილად კარგავს წყალს და იქცევა ფხვნილად. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.486; Nm - 1.478; Np - 1.471$. ეს მინერალი პირიტისა და სხვა რკინის შემცველი სულფიდების გამოფიტვის პროდუქტია. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი) და სხვ.

მეტაცინაბარიტი – Метациннабарит – Metacinnabar – Meta-Cinnabarit



ბერძნულად „მეტა“ და „Cinnabarit“ ძალიან ახლო ასოციაციის გამო კინოვართან. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Hg - 86.2; S - 13.8$. სინგონია – კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. მცირე ზომის ტეტრაედრული და დოდეკაედრული კრისტალები, უფრო ხშირად ფხვნილისებრი წანაცხებები. ფიზიკური თვისებები: ფერი – ფოლადისფერიდან შავამდე; ხაზის ფერი – შავი; ელვარება – მეტალური; სიმაგრე – 3; მყიფე; სიმკვრივე – 7.7-7.8; პარაგენეტული მინერალები: კინოვარი. საბადოები: გერმანიაში, იუგოსლავიაში (სლოვენია) და სხვ.

შზის ქვა – Камень солнечный – Sunny Stone – Sonnenstein

მინდვრის შპატი (ორთოკლაზი, მიკროკლინი, იშვიათად ალბიტი, ოლიგოკლაზი) ვარდისფერი, თეთრი ან მოყვითალო ფერის ოქროსფერი ელფერით, ახასიათებს ნარინჯისფერ-წითელი, კაშკაშა ყვითელი და ყოლოსფერი ტონების წერტილოვანი ათინათი, რაც გამოწვეულია კანონზომიერად ორიენტირებული ჰემატიტის უწვრილესი ფირფიტებით. სანახელავო, საიუველირო და დეკორატიული ქვა.

მთვარის ქვა – Лунный камень – Moonstone – Mondstein

გამჭვირვალე (ოღნავ მღვრიე) მინდვრის შპატი (უპირველესად ადულარი) მოცისფრო მკრთალი ელფერით, რაც გამოწვეულია სინათლის სხივის მრავალჯერადი არეკვლით სუბმიკრო ალბიტის ფირფიტებით. ხაზის ფერი - თეთრი, სიმაგრე – 6; სიმკვრივე – 2.5. მოიპოვება შრი-ლანკაში.

მთის ბროლი – Горный хрусталь – Rock crystal – Bergkristall



ბერძნულად „კრისტალი“, „არამდნადი ყინული“. კვარცის წყლისებერ გამჭვირვალე სახესხვაობა. ახასიათებს კარგად განვითარებული პრიზმული იერის კრისტალები. გამოიყენება ტექნიკაში – აკუსტიკურ ხელსაწყოებსა და საათების დეტალების წარმოებაში. ამჟამად ხელოვნურადაც იღებენ. ფართოდ გავრცელებული მინერალია.

მიკროკლინი – Микроклин – Microcline – Mikroklin



ბერძნულად „მიკროს“ – მცირე, „კლინოს“ – დახრილი, იგულისხმება კუთხე ტკეჩალობის ბზარებს შორის, რომელიც მხოლოდ 20'-ით განსხვავდება 90°-იანი კუთხისაგან. კალიუმის მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: K_2O – 16.9; Al_2O_3 – 18.4; SiO_2 – 64.7. სინგონია – ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. გვხვდება მთლიანი მასების, პრიზმული, ფირფიტოვანი წარმონაქმნების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ნაცრისფერი, მოყვითალო, ზოგჯერ მოყავისფრო; ხანდახან მწვანე (ამაზონიტი); ნახევრადგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე – 6; სიმკვრივე – 2.56-2.63; ტკეჩალობა ძალიან კარგი (001)-ის და (010)-ის გასწვრივ, არასრული (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: N_g – 1.525; N_m – 1.522; N_p – 1.518. პარაგენეზული მინერალები: კვარცი, ალბიტი, ოლიგოკლაზი, ნეფელინი, ქარსები, ტურმალინი და სხვ. დამახასიათებელია ინტრუზიული მაგმური ქანებისათვის. საბადოები: გერმანიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში, ნორვეგიაში, ყაზახეთში, რუსეთსა და სხვ. ერთ-ერთი ქანმაშენი მინერალია.

მიკროპერტიტი – Микропертит – Micropertthite – Mikro-Perthit

მყარი ხსნარის დამლის შედეგად წარმოქმნილ ორთოკლაზში (ან მიკროკლინში) ალბიტის კანონზომიერი ჩანართები.

მილერიტი – Миллерит – Millerite – Millerit




უწოდეს ინგლისელი მინერალოგის უ. მილერის პატივსაცემად. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Ni – 64.7; S – 35.3. სინგონია ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. ახსიათებს ნემსისებრი ფორმის კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თითბერისებრ ყვითელი; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მომწვანო-მოშავო; ელვარება – ლითონისებრი; სიმაგრე – 3-3.5; მყიფე; სიმკვრივე – 5.3-5.6; ტკეჩალობა სრული (011)-ის გასწვრივ. იხსნება აზოტმჟავაში. პარაგენეზული მინერალები: სიდერიტი, ქალკოპირიტი, კალციტი, ბარიტი და სხვ. გვხვდება ჰიდროთერმულ ძარღვებში. საბადოები: გერმანიაში (საქსონია, მადნიანი მთები), ჩეხეთში, რუსეთში (ნოროლსკი).

მინდვრის შპატების ჯგუფი – Группа полевых шпатов – Group of feldspa – Feldspat

გერმანული „ფელდ“ ქართულად ნიშნავს ველს, მინდორს, ბერძნულად „შპატ“ – ფირფიტას. მინდვრის შპატი ყველაზე გავრცელებული და უძველესი ქანმაშენი მინერალია. დედამიწის ქერქში მისი წონითი პროცენტი 50-მდეა. ქიმიური შედგენილობის მიხედვით შპატი ალუმინსილიკატია, უპირველესად Na, K და $Ca - Na[AlSi_3O_8], K[AlSi_3O_8]$ და $Ca[Al_2Si_2O_8]$, გვხვდება აგრეთვე

$Ba[Al_2Si_2O_8]$. ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებებია ის, რომ ამ ჯგუფის მინერალებს უნარი აქვთ შექმნან ბინარული იზომორფული რიგები. ასეთია: $Na[AlSi_3O_8] - Ca[Al_2Si_2O_8]$; $Na[AlSi_3O_8] - K[AlSi_3O_8] - Ba[Al_2Si_2O_8]$. ამ ჯგუფის მინერალები კრისტალდება ტრიკლინურ ან მონოკლინურ სინგონიად. გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი: 1. ნატრიუმ-კალციუმიანი ანუ პლაგიოკლაზები; 2. კალიუმ-ნატრიუმიანი ანუ ტუტე; 3. შედარებით იშვიათი კალიუმ-ბარიუმიანი ანუ ჰიალოფანები.

მირაბილიტი – Мирабилит – Mirabilite – Mirabilit



(გლაუბერის მარილი)

ლათინური სიტყვაა „მირაბილის“ ქართულად ნიშნავს გასაოცარს. სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Na_2O - 19.3$; $SO_3 - 24.8$; $H_2O - 55.9$. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება ნემსისებრი კრისტალების, ქერქების, ნაღვების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო; ნახევრად გამჭვირვალე გამჭვირვალემდე; ზაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 1.5; სიმკვრივე – 1.46-1.49; ტკეჩადობა (100)-ის გასწვრივ სრული; გემო – მწკლარტე; გარდ. მაჩვენებელი: $Ng - 1.398$; $Nm - 1.396$; $Np - 1.394$. პარაგენეტული მინერალები: თაბაშირი, ჰალიტი და სხვ. გვხვდება მარილების საბადოებში. საბადოები: ავსტრიაში (ზალცბურგი), იტალიაში (სიცილია), აშშ-ში (დიდი მლაშე ტბა), თურქმენეთსა (ყარა-ბალახ-გოლი) და სხვ.

მირმეკიტი – Мирмекит – Myrmekite – Myrmekit


„მირმეკია“ ბერძნულია, ქართულად ნიშნავს ჭიანჭველას ბუდეს. მინერალების წვრილი ჩანაზარდები მოგვაგონებს ჭიანჭველების კვალს. ჩვეულებრივ ეს არის თითისტარისებრი, ჭიისმაგვარი კვარცის ჩანაზარდები ალბიტ-ოლიგოკლაზის რიგის პლაგიოკლაზებში. გვხვდება მეტამორფულ და მაგმურ უპირატესად მჟავე ქანებში.

მოლიბდენიტი – Молибденит – Molybdenite – Molybdanit



ბერძნული „მოლიბდოს“, ქართულად – ტყვია (მიჩნეული იყო ტყვიის მინარევად). სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Mo - 60$, $S - 40$. სინგონია ჰექსაგონური, დიჰექსაგონური დიპირამიდის კლასი. კრისტალის სახე ძირითადად პრიზმული ან ფირფიტებია. ფიზიკური თვისებები: მოცისფრო ტყვიისებრი ნაცრისფერი; ზაზის ფერი – მოცისფრო-მონაცრისფრო. ელვარება – ლითონისებრი; სიმაგრე – 1-1.5; ცხიმოვანია, ქაღალდზე ტოვებს კვალს; სიმკვრივე – 4.6-5; ტკეჩადობა ძალიან კარგი (0001)-ის გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: კასიტერიტი, ვოლფრამიტი, ფლუორიტი, აპატიტი და სხვ. წარმოშობა პნევმატოლითურ-ჰიდროთერმული, გვხვდება გრეიზენებში. საბადოები: აშშ-ში (კოლორადო), სამხ. ნორვეგიაში, ჩეხეთში, გერმანიაში (ჰესენი), კავკასიაში, რუსეთსა (ალტაი) და სხვ.


მონაციტი – Монацит – Monazite – Monazit



„მონაზო“ ბერძნულია, ქართულად ნიშნავს განმარტობას (მონაზონი), ცალკეს, დამოუკიდებელი, ინდივიდუალური კრისტალების გამო. ფოსფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Ce და $La - 80 - 68$; $P_2O_5 - 22 - 31.5$; $ThO_2 - 5 - 10$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება ფირფიტოვანი, იშვიათად პრიზმული ან პირამიდული ფორმის კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყვითალო-მორუხო, წითელი, იშვიათად მწვანე; ნახევრად გამჭვირვალე, ზაზის ფერი – მონაცისფრო-მოთეთრო; ელვარება – ცხიმოვანი, აღმასისებრი; სიმაგრე – 5-5.5; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 4.8-5.5; ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ, საშუალო (100)-ის გასწვრივ. გარდატეხის

მაჩვენებელი: $Ng - 1.837; Nm - 1.787; Np - 1.785$. ულტრაიისფერ სხივებში მწვანეა, რადიოაქტიურია. პარაგენეტული მინერალები: ილმენიტი, კასიტერიტი, ცირკონი, რუტილი და სხვ. დამახასიათებელია მჟავა და ტუტე მაგმური ქანებისათვის, ხშირად გვხვდება ქვიშრობებში. საბადოები: გერმანიაში (ეიფელი), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ბრაზილიაში, ავსტრალიაში, შრი-ლანკასა და სხვ.

მონტმორილონიტი – Монтмориллонит – Montmorillonite – Montmorillonit




m:p ჩვეულებრივ 0.8-0.9

სახელი უწოდეს ადგილ მონტმორილონედან (საფრანგეთი) გამომდინარე. თიხის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $SiO_2 - 48-56; Al_2O_3 - 11-22; Fe_2O_3 - 5; MgO - 4-9; H_2O - 12-24$. სინგონია – მონოკლინური. თიხისებრი მასები, წყალში ჯირჯვდება. ფიზიკური თვისებები: მონაცისფრო-მოთეთრო, მოყავისფრო, მოყვითალო; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – ჩალისებრ ყვითელი ან მომწვანო- მოყვითალო; ელვარება მქრქალი, შეხებით ცხიმინია; სიმაგრე – 1-2; სიმკვრივე – 1.7-2.7; ტკეჩადობა ფრიად კარგი (001)-ის გასწვრივ. გვხვდება ვულკანურ ტუფებში, გამოფიტვის ზონაში. საბადოები: გერმანიაში (ბავარია), საფრანგეთში (მონტმორილონე), რუსეთში (ნალჩიკთან).

მორიონი – Морион – Morion – Morion

სახელი უწოდა პლინიუსმა (უფროსმა). მუქი ყავისფერი, თუთქმის შავი კვარცის სახესხვაობა, ნახევრად გამჭვირვალე. საბადოები: ავსტრალიასა და შვეიცარიაში (ალპურ მარლებებში), აშშ-ში, საფრანგეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, ურალში, მადაგასკარსა და სხვ.


მუსკოვიტი – Мусковит – Muscovite – Muskovit



„მუსკა“ იტალიურია, ნიშნავს მოსკოვს. ძველად მოსკოვიდან იტალიელებს გაჰქონდათ ამ მინერალის დიდი ფურცლები სარკმლებში მინის მაგივრად ჩასასმელად. ქარსების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $K_2O - 11.9; Al_2O_3 - 38.5; SiO_2 - 45.2; H_2O - 4.5$. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება ფირფიტების ან ფურცლების, იშვიათად სვეტიცხეების წარმონაქმნების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ვერცხლისებრ თეთრი, ნაცრისფერი, ზოგჯერ მწვანე (ე.წ. ფუქსიტი); გამჭვირვალე, ხშირად ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, სადაფისებრი, სიმაგრე – 2-2.5; სიმკვრივე – 2.77-2.88; ტკეჩადობა იდეალური (001)-ის გასწვრივ, ძალზე ადვილად იტკეჩება უთხელეს ფურცლებად. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.588 - 1.615; Nm - 1.582 - 1.611; Np - 1.552 - 1.572$. მჟავაში არ იხსნება, ცეცხლგამძლე; პარაგენეტული მინერალები: კვარცი, ორთოკლაზი, ოლიგოკლაზი, გრანატი, ტურმალინი და სხვ. საბადოები: ინდოეთში, აშშ-ში (კაროლინა), კანადაში (ონტარიო), რუსეთსა (ციმბირი) და სხვ.

6


ნატროლიტი – Натролит – Natrolite – Natrolith



ბერძნულია „ნატრიუმ“ და „ლითოს“ – ქვა ანუ ნატრიუმის ქვა. ცეოლიტების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Na_2O - 16.3; Al_2O_3 - 26.8; SiO_2 - 47.4; H_2O - 9.5$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება პრიზმული, ნემსისებრი და სფეროლითური წარმონაქმნების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თოვლისებრ თეთრი, ზოგჯერ მოყვითალო ან მოვარდისფრო; ხაზის ფერი – თეთრი, ელვარება – მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე - 5-5.5;

მყიფე; მონატენი ხიწვოვანი, სიმკვრივე - 2.2-2.26; ტკეჩალობა ფრიად კარგი (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $N_g - 1.485$; $N_m - 1.476$; $N_p - 1.473$. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: სხვა ცეოლითები და კალციტი. გვხვდება ტუტე მაგმურ ქანებში. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი, ტიურინგია), ურალში(ილმენი), კოლის ნახევარკუნძულზე (ლავოზერო).

ნიშადური – Нашатырь – Salomiac – Salmiak



„ნიშადურ“ არაბულია, ქართულად ნიშნავს შესუნთქვას, დაყნოსვას. ქლორიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $NH_4 - 33.7$. სინგონია – კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. ახსიათებს წაგრძელებული ჩონჩხისებრი კრისტალები ან მტევნისებრი, ბოჭკოვანი აგრეგატები. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, ზოგჯერ თეთრი, ყვითელი; გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, ცხიმოვანი; სიმაგრე – 1-2; მყიფე; სიმკვრივე – 1.53; ტკეჩალობა სუსტი (111)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი – 1.642. იხსნება წყალში. აქვს მწკლარტე, მლაშე გემო, აგრეთვე მძაფრი სუნი. ბუნებაში ძალზე იშვიათია. საბადოები: ვულკანების კრატერებსა და ფუმაროლებში; ზოგჯერ წარმოიქმნება ქვანახშირის ფენების წვის დროს.

ნეფელინი – Невелин – Nepheline – Nephelin



„ნეფელე“ ბერძნულია, ქართულად ღრუბელი (მჟავაში გახსნისას იძლევა SiO_2 -ის გელს. რომელიც ღრუბელს მოგვაგონებს). ტუტე მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა ცვალებადია. სინგონია – ჰექსაგონური, დიჰექსაგონური. დიპირამიდის კლასი. გვხვდება პრიზმული, მოკლესვეტიანი კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, ზოგჯერ მოყვითალო, მოწითალო, მომწვანო ელფერით; არაგამჭვირვალე. დიდი კრისტალების სახესხვაობას ეოლითი (ცხიმოვანი ქვა) ეწოდება. ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება კრისტალის წახნაგებზე მინისებრი, მონატენზე – ცხიმოვანი; სიმაგრე – 5.5-6; ნახევრად გამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; სიმკვრივე – 2.56-2.66; ტკეჩალობა არასრული (001)-ის გასწვრივ. იხსნება მარილმჟავაში; პარაგენეტული მინერალები: ეგირინი, ალბიტი, სოდალითი, ცეოლითები და სხვ. ტუტე მაგმური ქანებისათვის დამახასიათებელი ქანმაშენი მინერალია. საბადოები: იტალიაში (ვეზუვი, ტრენტინი), კოლის ნახევარკუნძულზე, ურალში, ილმენში, გერმანიასა (ჰესენი) და სხვაგან.

ნეფრიტი – Неврит – Nephrite – Nephrit

„ნეფროს“ ბერძნულია, ქართულად – თირკმელი (ძვ. ითვლებოდა თირკმლის ავადმყოფობის თილისმად), აკტინოლითის მჭიდრო სახესხვაობა. ქმნის მიკროკრისტალურ აგრეგატებს. სანახელავო ქვაა. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი), შვეიცარიაში, ჩინეთში (კუნ-ლუდის ქედზე), რუსეთსა (საიანების აღმოსავლეთ კალთებზე) და სხვ. საერთოდ სხვადასხვა მწვანე სანახელავო ქვების სახელწოდება – ასე იტყვიან, ცრუ ნეფრიტი.

ნიკელინი – Никелин – Nickeline – Nikelin



სახელი უწოდეს ქიმიური ელემენტის, ნიკელის მიხედვით. პიროტინის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Ni - 43.9$; $As - 56.1$. სინგონია – ჰექსაგონური, დიჰექსაგონური დიპირამიდის კლასი. კარგი კრისტალების ფორმით არ გვხვდება, გვხვდება მასიური, თირკმლების, მტევნების, დენდრიტების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – სპილენძისფერი წითელი, შავი ელფერით; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი მოყვითალო-მოშავო. ელვარება – ძლიერი ლითონისებრი; სიმაგრე – 5-5.5; მყიფე; სიმკვრივე – 7.5-7.8; ტკეჩალობა (0001)-ის და (1010)-ის

გასწვრივ. იხსნება კონცენტრირებულ მჟავაში. პარაგენეტული მინერალები: დარიშხანის შემცველი მინერალები: წარმოშობა ჰიდროთერმული. საბადოები: გერმანიაში (შვარცვალდი), ავსტრიაში, ტუვაში (რუსეთი), კანადაში.

ნოზეანი – Нозеан – Nosean – Nosean



გერმანელი მინერალოგის კ. ნოზეს პატივსაცემად. სოდალითის ჯგუფის მინერალი. სინგონია – კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. ძირითადად გვხვდება მარცვლოვანი აგრეგატები სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – სხვადასხვა ელფერის ლურჯი, ნაცრისფერი. ნახევრად გამჭვირვალე გამჭვირვალემდე; საზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, ცხიმოვანი; სიმაგრე – 5-6; მონატეხი – ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 2.3-2.4; ტკეჩადობა სრული (110)-ის გასწვრივ. მჟავებში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ნეფელინი, ლეიციტი, ჰაიუნი, ავგიტი და სხვ. საბადოები: გერმანიაში (ეიფელი), იტალიაში (ალბანეთის მთები), კანარის კუნძულებზე.


ო

ოზოკერიტი – Озокерит – Ozokerite – Ozokerit

(ორგანული ნივთიერება)

ბერძნულად „ოზო“ – სუნი, „კეროს“ – ცვილი. მეთანის რიგის მყარი ნახშირწყალბადების ნარევი. გვხვდება ცვილისებრი რბილი ან მაგარი ფორმით. ღვება 50-100°C. საბადოები: რუმინეთში (ქვიშაქვები), ფერგანაში, რუსეთში კუნძული ჩელეკენზე.

ოლივინი – Оливин – Peridot – Olivin




სახელი უწოდეს ზეთისხილთან მსგავსების გამო. ქიმიური შედგენილობა %-ობით: MgO – 50 – 45; FeO – 8 – 12. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება მარცვლოვანი აგრეგატების სახით, იშვიათად პრიზმული კრისტალების სახით. ოლივინი წარმოადგენს ფორსტერიტის $(Mg)_2[SiO_4]$ და ფაიალიტის $Fe_2[SiO_4]$ იზომორფულ ნარევს. ფიზიკური თვისებები: ფერი – ზეთისხილისფერი, ზოგჯერ მოყვითალო ელფერის მწვანე ან მოშავო ელფერის მწვანე; არაგამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; საზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 6.5-7; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 3.2-3.6; ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ლაბრადორი, ლეიციტი, ილმენიტი, პიროქსენები. გვხვდება ფუძე და ულტრაფუძე ქანებში, მეტეორიტებში. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი, ბადენი ეიფელი), იტალიაში (პიემონტი), ალჟირში, ეგვიპტეში, რუსეთსა (კრასნოიარსკი, ტუვა, ურალში, ტაიმირზე) და სხვ.

ოლიგოკლაზი – Олигоклаз – Oligoclase – Oligoklas

An – 10 – 30% – Al – 90 – 70% (იხ. პლაგიოკლაზი)

ბერძნული სიტყვებიდან „ოლიგო“ – მცირე, საშუალო; „კლასის“ – ბზარი (ნაკლებად გამოხატული ტკეჩადობის გამო). პლაგიოკლაზების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Na_2O – 8.84; CaO – 5.03; Al_2O_3 – 23.7; SiO_2 – 65.43. სინგონია – ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. გვხვდება ფირფიტებისა და პრიზმული იერის კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ნაცრისფერი, მოწითალო; საზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე – 6-6.5; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 2.63-2.66; ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: კვარცი, ბიოტიტი, კალიუმის მინდვრის შპატი. გვხვდება მჟავა მაგმურ ქანებში. გავრცელებული ქანმანქანი მინერალია.

ომფაციტი – Омфацит – Omphacite – Omphacit




ბერძნული სიტყვიდან „ომფა“ – უმწიფარი ყურბენი ანუ ისრიმისფერი. პიროქსენების ჯგუფის მინერალი. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ისრიმისფერი, მდელოსფერი, ბოთლისებრ მწვანე; სიმაგრე – 5-6; სიმკვრივე – 3.29-3.37; ტკეჩადობა სრული (110)-ის გასწვრივ; პარაგენეტული მინერალები: ცოიზიტი, ეპიდოტი, სფალერიტი, მაგნეტიტი. ეკლოგიტური ქანების ტიპომორფული მინერალია, ცნობილია კიმბერლიტებშიც. საბადოები: ავსტრიაში (ალპებში), რუსეთში (იაკუტია). ზოგი მკვლევარი მიიჩნევს დიპსიდის სახესხვაობად.

ონიქსი – Оникс – Onyx – Onyx



ბერძნული სიტყვიდან „ონიქს“ – ფრჩხილი. ქალცედონის წვრილი ბრტყელ-პარალელურ ზოლიანი სახესხვაობა. ზოლების შეფერილობა სხვადასხვაა: შავი და თეთრი ზოლების მორიგეობა – არაბული ონიქსი; მოყავისფრო და თეთრი – სარდონიქსი; წითელი და თეთრი – სერდოლიკ-ონიქსი, კარნეოლ-ონიქსი; თეთრი და ნაცრისფერი – ქალცედონ-ონიქსი. საბადოები გვხვდება ინდოეთში, ბრაზილიაში. სანახელოვო ქვაა.

ოპალი – Опал – Opal – Opal



სანსკრიტულად „უპალა“, ქართულად ნიშნავს ძვირფას ქვას. კვარცის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა ცვალებადია. ამორფული. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, მოცისფრო, ნაცრისფერი, ლურჯი, წითელი, ყვითელი. გამჭვირვალე, ნახევრად გამჭვირვალე და არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ახსიათებს ოპალესცენცია; სიმაგრე – 5.5-6.5; ელვარება – ცხიმისებრი, ცვილისებრი, სადაფისებრი; მონატენი – ნიჟარისებრი, უსწორმასწორო; სიმკვრივე – 1.9-2.5. ადვილად იხსნება კალიუმის ტუტესა და ფტორის მჟავებში (სხვა მჟავაში არ იხსნება). პარაგენეტული მინერალები: ჰიდროგოეთიტი, გოეთიტი, ქალცედონი. წრმოშობა უკავშირდება ვულკანურ და თერმულ ზონებს. საბადოები: გერმანიაში (მადნიანი მთები), ჩეხეთი (კოშიცე), აშშ, ბრაზილიაში, ავსტრალიაში, კამჩატკაზე. ოპალ მრავალ სახესხვაობას აერთიანებს: კეთილშობილი ოპალი, ჰალიციტი, ცეცხლოვანი ოპალი და სხვა. კეთილშობილ ოპალს ახასიათებს ცისარტყელასებრი ფერები, საიუველირო ქვაა.


„ორლოვი“ – „Орлов“ – „Orlow“ – „Orlow“

ინდოეთში ნაპოვნი ალმასი დაახლოებით 200 კარატი. ამჟამად ინახება რუსეთის ალმასის ფონდში.


ორთოკლაზი – Ортоклаз – Orthoclase – Orthoklas



ბერძნული სიტყვიდან „ორთოს“ – სწორი; „კლასის“ – ნაპრალი, გაპობა. ტუტე მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა %-ობით: K_2O – 19.9; Al_2O_3 – 18.4; SiO_2 – 64.7. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. უპირატესად გვხვდება პრიზმული იერის კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოვარდისფრო, მოწითალო, მოყავისფრო-მოწითალო; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი, ელვარება – მინისებრიდან სადაფისებრამდე; სიმაგრე – 6; სიმკვრივე – 2.55-2.63; ტკეჩადობა (001)-ის და (010)-ის გასწვრივ სრული; გარდატეხის მაჩვენებელი Ng – 1.525; Nm – 1.523; Np – 1.519. იხსნება ფტორის მჟავებში. პარაგენეტული მინერალები: სხვა მინდვრის შპატები, კვარცი, ქარსები, მჟავა მაგმური ქანების ერთ-ერთი მთავარი ქანმამშენი მინერალია. საბადოები პოლონეთში (შტრიგომი), იტალიაში (პიემონტი), საქართველოსა (რკვია) და სხვაგან.

პალიგორსკიტი – Палигорскит – Palygorskit


სახელი უწოდეს აღმოჩენის ადგილის მიხედვით სადგ. პალიგორსკი, ურალში (რუსეთი). სერპენტინის ქვეჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა ფრიად ცვალებადია. სინგონია – რომბული, პრიზმის კლასი. არსებობის ფორმები – წმინდა ბოჭკოვანი, ბრექჩისებრი, ფარულკრისტალური მასების სახით (რაზედაც მისი სინონიმებიც მიუთითებს: მთის ტყავი, მთის კორპი, მთის მატყლი). ფიზიკური თვისებები: ნაცრისფერი, თეთრი, მოყვითალო; თითქმის არაგამჭვირვალე; საზის ფერი – თეთრი; ელვარება – ჩამქრალი აბრეშუმისებრი, ცხიმისებრი; სიმაგრე – 1-2.5; მყიფე; სიმკვრივე – 2.1-2.3; ტკეჩადობა არ ახასიათებს. აქვს მათეთრებელი თვისებები. კონცენტრირებულ მარილმჟავაში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ქალცედონი, ოპალი, ქლორიტი, მაგნეზიტი და სხვ. საბადოები: ჩეხეთში, აშშ-ში (მდ. ჯილა), ყირიმში (კოროსტენი), უკრაინაში (ჩერკესი), რუსეთში (ვოლგისპირეთში).

პექტოლიტი – Пектолит – Pectolite – Pektolith

„პექტოს“ ბერძნულია, ქართულად ნიშნავს მკვრივს (სტრუქტურის გამო). პიროქსენოიდების ჯგუფის მინერალი. სინგონია – ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. ახასიათებს შუბისებრი კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ნაცრისფერი, მომწვანო; საზის ფერი – თეთრი; სიმაგრე – 5; სიმკვრივე – 2.92; ტკეჩადობა (100-ის) და (001)-ის გასწვრივ სრული. პარაგენეტული მინერალები: ცეოლითები. გვხვდება ტუტე ქანებში. საბადოები: გერმანიაში (ნაე), იტალიაში (მონცონი), შოტლანდიაში, აშშ-ში (ნიუ-ჯერსი).

პენინი – Пеннин – Pennin – Pennin

სახელი უწოდეს პენინის ალპების მიხედვით. ქლორიტების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO-17.4-35.9$; $FeO-0.7-17.4$; $Fe_2O_3-0-5.7$; $Al_2O_3-13.8-21.3$; $SiO_2-29.8-33.7$; $H_2O-11.5-14.6$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. ახსიათებს ფსევდოჰექსაგონური ფირფიტები, ზოგჯერ კასრისებრი კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – ბოთლისებრი მწვანე; ნახევრად გამჭვირვალე; საზის ფერი – მომწვანო-მოთეთრო; ელვარება – მინისებრიდან სადაფისებრამდე; სიმაგრე – 2-3; მყიფე; სიმკვრივე – 2.5-2.6; ტკეჩადობა ფრიად სრული (001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng-1.58$; $Np-1.57$. იხსნება გოგირდმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: პროქლორიტი, გრანატი, დიოპსიდი, ცირკონი, დოლომიტი, ალბიტი, კვარცი და სხვ. ჰიდროთერმული წარმოშობისაა, ზოგჯერ ქანმაშენი მინერალია. საბადოები: ავსტრიაში (ტიროლი), შვეიცარიაში, იტალიაში (სამხრ. ტიროლი), სამხ. აფრიკის რესპუბლიკაში (ტრანსვაალი), რუსეთში (ურალში).

პენტლანდიტი – Пентландит – Pentlandit

სახელი ეწოდა ირლანდიელი მოგზაურის (მან იპოვა პირველმა) ჯ. პენტლანდის პატივსაცემად. სულფიდების ჯგუფის მინერალი. სინგონია – კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. გვხვდება ჩვეულებრივ მჭიდრო მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ბრინჯაოსფერი ყვითლიდან მოყვითალო ყავისფრამდე; არაგამჭვირვალე; საზის ფერი – მომწვანო-მოშავომდე; ელვარება – ძლიერი ლითონური, სიმაგრე – 3.5-4; მყიფე; სიმკვრივე – 4.6-5.0; ტკეჩადობა სრული (111)-ის გასწვრივ. იხსნება აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: პიროტინი, ქალკოპირიტი და სხვ.

წარმოშობა ლიკვაციურ-მაგმური. საბადოები: გერმანიაში (ზოლანდი), იტალიაში, ნორვეგიაში, კანადაში, (სადბერი), რუსეთში (ნირილსკი), სამხრეთ აფრიკის რესპუბ. (ტრანსვაალი).

პერიკლაზი – Периклаз – Periclase – Periklas



ბერძნული სიტყვებიდან „პერი“ – გარშემო, ყველგან, „კლასის“ – ნაპრალი, ბზარი (ჰექსაედრის წახნაგების გასწვრივ არსებული ტკეჩალობის ბზარების გამო). სინგონია - კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. გვხვდება მარცვლოვანი მასების სახით. ფიზიკური თვისებები: თეთრი, ნაცრისფერი; ნახევრად გამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; სიმკვრივე – 5.5-6; სიმკვრივე – 3.7-3.9; ტკეჩალობა სრული (100)-ის გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: ბრუსიტი, ფორსტერიტი, მაგნეზიტი და სხვ. კონტაქტური მეტამორფიზმის მინერალია. საბადოები: ვეზუვი, სარდინიაში, რუსეთში (ურალი). საკმაოდ იშვიათი მინერალია.


პერთიტი – Пертит – Perthit

სახელი წარმოდგება ადგილ პერთიდან (კანადა). პერთიტი ეწოდება ალბიტის ორიენტირებულ ფირფიტოვან, ზოგჯერ თითისტარისებრ, თოკის მსგავს ჩანართებს კალიუმის მინდვრის შპატში. თუ პირიქითაა – პლაგიოკლაზშია კალიუმის მინდვრის შპატის ამგვარივე ჩანართები, მაშინ ანტიპერთიტს უწოდებენ. უპირატესად ახსიათებს მჟავა მაგმურ ქანებს.

„პიგოტი“ – „Пиготт“ – „Pigott“ – „Pigott“


ინდური ალმასის სახელწოდება, რომელიც 1775 წელს დიდ ბრიტანეთში ჩაიტანა ლორდმა პიგოტმა; ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

პიკოტიტი – Пикотит – Picotite – Picotit



სახელი უწოდეს ფრანგი ნატურალისტის პიკო ლაპეირის პატივსაცემად. შპინელის ჯგუფის მინერალი. სინგონია კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. ახსიათებს მარცვლოვანი აგრეგატები. ფიზიკური თვისებები: შავი, მომწვანო-მოშავო; ხაზის ფერი – ყავისფერი; ელვარება – ნახევრად ლითონური; სიმკვრივე – 8; სიმკვრივე – 4; ტკეჩალობა იშვიათია (111)-ის გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: ენსტატიტი, ბრონიტი, ქრომიტი, ოლივინი, სერპენტინი. გვხვდება ულტრაფუძე მაგმურ ქანებში.

პირარგირიტი – Пираргирит – Aerosite – Pyrargyrit



ბერძნული სიტყვებიდან „პიროს“ – ცეცხლი, „არგიროს“ – ვერცხლი (ფერისა და შედგენილობის გამო). სულფომარილების ჯგუფის მინერალი. სინგონია – ტრიგონული, დიტრიგონული – პირამიდის კლასი. გვხვდება მარცვლოვანი აგრეგატების, წანაცხებებისა ან დენდრიტების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ტყვიისებ ნაცრისფერი, მოწითალო ელფერით; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – მუქი წითელი; ელვარება – ლითონის ან ალმასის; სიმკვრივე – 2.5-3; მყიფე; სიმკვრივე – 5.85; ტკეჩალობა მკაფიო (1011) გასწვრივ. არასრული (0112) გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: პრუსტიტი, კვარცი, როდოქროზიტი, პირიტი, მარკაზიტი, ბარიტი და სხვ. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი, ფრაბერგი), ჩეხეთში (პრშიბრამი), მექსიკაში, პერუსა და სხვ.

პირიტი – Пирит – Pyrite – Pyrit



„პიროს“ ბერძნულია, ქართულად ნიშნავს ცეცხლს (დარტყმისას ისვრის ნაპერწკლებს). სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: Fe – 46.6; S – 53.4. სინგონია –

კუბური; დოდეკაედრის კლასი. ხშირად გვხვდება კარგად განვითარებული კრისტალების სახით: ჰექსაედრები, ოქტაედრები, პენტაგონდოდეკაედრები, ხშირია მთლიანი მასები. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მინერალია, რის გამოც ხუმრობით „ქუჩის ბიჭს“ უწოდებენ. ფიზიკური თვისებები: ფერი – თითბრისებრ ყვითელი; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მომწვანო; შავი; ელვარება – ლითონისებრი; სიმაგრე – 6-6.5; მყიფე; მონატეხი – ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 5-5.2; ტკეჩალობა იშვიათად (100)-ის გასწვრივ. აზოტმჟავაში იხსნება ძნელად. პარაგენეტული მინერალები: მარკაზიტი, სიდერიტი, პიროტინი, სფალერიტი, გალენიტი და სხვ. წარმოშობა უპირატესად ჰიდროთერმული. საბადოები: გერმანიაში (ვესტფალია, ბავარია, ჰარცი), ესპანეთში, საფრანგეთში, რუსეთში (ურალი).

პიროლუზიტი – Пиролузит – Pyrolusite – Pyrolusit




ბერძნულად „პიროს“ – ცეცხლი, „ლუზიოს“ – მოშორება, დაბანვა (იგუსლიხმება რკინის შემცველი მწვანე მინების გაუფერულება). ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Mn - 63.2; O - 36.8$. სინგონია – ტეტრაგონული, დიტეტრაგონული – დიპირამიდის კლასი. კრისტალები იშვიათია, ძირითადად გვხვდება მთლიანი მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – შავი. არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – შავი; ელვარება – ნახევრად ლითონისებრი, სიმაგრე – 2-6.5; მყიფე; სიმკვრივე – 4.7-5.0; ტკეჩალობა არ ახსიათებს. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: მანგანუმის შემცველი მინერალები. საბადოები: გერმანიაში (ვესტფალია, ჰესენი), ჩეხეთში (პრიშბრამი), უკრაინაში, (ნიკოპოლი), საქართველოში (ჭიათურა), ბრაზილიაში.

პირომორფიტი – Пироморфит – Pyromorphite – Pyromorphit




ბერძნული სიტყვიდან „პიროს“ – ცეცხლი, „მორფე“ – ფორმა (გადნობის შემდეგ წარმოქმნის კრისტალებს). აპატიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $PbO - 85; P_2O_5 - 15.4; Cl - 2.6$. სინგონია – ჰექსაგონური, დიპირამიდის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება პრიზმული ან სვეტისებრი კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მწვანე, ყვითლის სხვადასხვა ტონი. ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი, მოყვითალო; ელვარება – ალმასისებრი, ცხიმოვანი; სიმაგრე – 3.5-4; მყიფე; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 6.7-7.2; ტკეჩალობა არა აქვს. იხსნება მარილმჟავასა და კალიუმის ტუტეში. პარაგენეტული მინერალები: გალენიტი, ცერუსიტი, ბარიტი და სხვ. გვხვდება ტყვიის საბადოების დაჟანგვის ზონაში. საბადოები: გერმანიაში (ბადენი, ჰარცი, ფრაიბერგი, ანაბერგი), ჩეხეთში (პრიშბრამი), სლოვაკეთში, ზამბიაში, რუსეთში (ურალი - ბერეზოვსკი).

პიროპი – Пироп – Pyrope – Pyrop




ბერძნული სიტყვიდან „პიროს“ – ცეცხლი (მისი ცეცხლისებრ წითელი ფერის გამო). გრანატების ჯგუფის, პირალსპიტების ქვეჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO - 29.8; Al_2O_3 - 25.4; SiO_2 - 44.8$. სინგონია – კუბური, ჰექსატეტრაედრების კლასი. ყველაზე გავრცელებულია რომბული დოდეკაედრის ფორმის კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – სისხლისფერი წითლიდან მუქ ყოლოსფრამდე; გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 6.5-7.5; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 3.5. გვხვდება ულტრაფუძე მაგმურ ქანებში. პარაგენეტული მინერალები: კვაცრი, ბიოტიტი, მუსკოვიტი, დისტენი, გრაფიტი, ბრტყელი. საბადოები: ჩეხეთში; სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში (ტრანსვაალი), რუსეთში (იაკუტია).

პიროფილიტი – Пирофилит – Pyrophyllite – Pyrophyllit



ბერძნული სიტყვიდან „პიროს“ – ცეცხლი, „ფილონ“ – ფირფიტა (გახურებისას ფირფიტებად იტკეჩება). ტალკის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al_2O_3 - 28.3; SiO_2 - 66.7; H_2O - 5$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება მჭიდრო მასების ან სფეროლითების, ბრექჩიისებრი წარმონაქმნების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, მოყვითალო, მომწვანო; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – სადაფისებრი; სიმაგრე – 1.5; ადვილად იფხვნება, შეხებით ცხიმოვანი; სიმკვრივე – 2.65-2.90; ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: კვარცი, კასიტერიტი; წარმოიქმნება პნევმატოლითური გზით. საბადოები: გერმანიაში (მადნიანი მთები), სლოვაკეთში, რუმინეთში, რუსეთში (ურალი), აშშ-ში (ჩრდ. კაროლინა).

პიროქლორი – Пироклор – Pyrochlore – Pyrochlor



ბერძნული სიტყვიდან „პიროს“ – ცეცხლი, „ქლოროს“ – მწვანე (მინერალი გახურების შედეგად მწვანდება). პიროქლორის ჯგუფის მინერალი. სინგონია – კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. უმეტესად გვხვდება ოქტაედრული ფორმის კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყავისფროდან შავამდე; სიმაგრე – 5.5; მყიფე; სიმკვრივე – 4.3-6.4. იხსნება მხოლოდ ფტორის მჟავაში, პარაგენეტული მინერალები: ცირკონი, ნეფელინი, ალბიტი, ფორსტერიტი, აპატიტი და სხვ. საბადოები: ბრაზილიაში, კანადაში, გერმანიაში, ნორვეგიაში, რუსეთში (კოლის ნ-კ.) საიანებში, ურალში, უგანდასა და სხვ.

პიროტინი – Пиротин – Pyrotine – Pyrotin



ბერძნული სიტყვიდან „პიროტეს“ – ილამაზე. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $S - 36.4 - 40; Fe - 60 - 63.6$. სინგონია – ჰექსაგონური, დიჰექსაგონური დიპირამიდის კლასი. კრისტალებს ფირფიტისებრი, სვეტის ფორმა აქვთ, ხშირია მჭიდრო აგრეგატები. ფიზიკური თვისებები: ფერი – ბრინჯაოსებრ ყვითელი, მოწითალო ელფერით. არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მონაცისფრო-მოშავო; ელვარება – ლითონისებრი; სიმაგრე – 4; მყიფე; სიმკვრივე – 4.58-4.77. ტკეჩადობა (0001)-ის და (1120)-ის გასწვრივ. სუსტად მაგნიტური. ცუდად იხსნება აზოტმჟავასა და მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: პირიტი, ქალკობირიტი, სფალერიტი, გალენიტი, მაგნეტიტი. გვხვდება ფუძე და ულტრაფუძე ქანებში. საბადოები: გერმანიაში (ბავარია), ნორვეგიაში, შვედეთში, ფინეთში, რუმინეთში, სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში (ბუმბელდი).

პიროქსენების ჯგუფი – Пироксены – Pyroxene – Pyroxene



ქანმაშენი მინერალების ჯგუფი. ბერძნული სიტყვიდან „პიროს“-ცეცხლი, „ქსენოს“-უცხო (ცეცხლისთვის უცხო, მისი მდგრადობის გამო). გვხვდება მაგმურ და მეტამორფულ ქანებში. პიროქსენები კრისტალდება რომბულ (ენსტატიტი, ჰიპერსტენი) და მონოკლინურ (დიოპსიდი, ჰედენბერგიტი, ავგიტი, ჟადეიტი, ეგირონი, სპოდუმენი) სინგონიებში. ეს მინერალები მეტნაკლებად ერთმანეთს ჰგავს. ბუნებაში ძალიან გავრცელებული ქანმაშენი მინერალებია. ფერი უპირატესად ძელანოკრატულია. ყველა პიროქსენს ახსიათებს კარგი ტკეჩადობა (110)-ის გასწვრივ, მესამე კრისტალოგრაფიული ღერძის მართობულ კვეთში ტკეჩადობის სიბრტყეების კვეთი ქმნის რომბს, რომლის ბლაგვი კუთხე 93° -ია.

„პის რუბი“ – „Пис Руби“ – „Peace Ruby“ – „Peace Ruby“

(სინონიმი „ფრიდენს-რუბი“, რუბინი)

ნაპოენია ბირმაში 1919წ. მისი მასა 43 კარატი.

პლაგიოკლაზები – Плагиоклазы – Plagioclase – Plagioklase

ბერძნული სიტყვიდან „პლაგიოს“ – რბილი, „კლასის“ – პობა (სხვადასხვა წახნავის გასწვრივ ტკეჩალობის ბზარების გადაკვეთა არამართობულია ანუ ირიბია). მინდვრის შპატების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნატრიუმ-კალციუმიანი (კირტუტე) ქვეჯგუფია. პლაგიოკლაზები $Na[AlSi_3O_8]$ – ალბიტის (*Ab*) და $Ca[Al_2Si_2O_8]$ – ანორთიტის (*An*) იზომორფული ნარევი. პლაგიოკლაზების ნომენკლატურა ეფუძნება ანორთიტის (*An*) მოლეკულის პროცენტულ რაოდენობას.

ანორთიტის მოლეკულის რაოდენობა %-ობით ანუ ნომერი

ალბიტი ($Ab - Na[AlSi_3O_8]$)	} <i>Ab + An</i> იზომორფული ნარევი	0-10	} მჟავა პლაგიოკლაზები
ოლიგოკლაზი		11-30	
ანდეზინი		31-50	
ლაბრადორი		51-70	
ბიტოვნიტი		71-90	
ანორთიტი ($An - Ca[Al_2Si_2O_8]$)		91-100	

ყველა პლაგიოკლაზი კრისტალდება ტრიკლინურ სინგონიად და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები ერთმანეთს ჩამოჰკავს.

პლაზმა – Плазма – Plasma – Plasma



ბერძნული სიტყვიდან „პლიასმა“ – ამოსაკვეთი (ანტიკურ დროს იყენებდნენ ინტალიოებისა და გემების დასამზადებლად). ქალცედონის ხავსის ფერი მწვანე ან ჭუჭყიანი მწვანე ფერის სახესხვაობა. გვხვდება კვარცთან, ქალცედონთან ერთად.

ხალასი პლატინა – Платина Самародная – native Platinum – Platin

ესპანური სიტყვიდან „პლატინა“ – ვითომ ვერცხლი. ხალასი ელემენტების ჯგუფის მინერალი. სინგონია – კუბური, ჰექსაეტრაედრის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი – ვერცხლისებრი თეთრი; ხაზის ფერი – ვერცხლისებრი-თეთრი; ელვარება – ლითონისებრი; სიმკვრივე – 4-4.5; ჭედადი; სიმკვრივე – 21.5; გვხვდება მცირე მარცვლების, ქერცლების, ფირფიტების სახით. იხსნება მხოლოდ ცხელ სამეფო არაყში. პარაგენეზული მინერალები: ოლივინი, მაგნეტიტი, ილმენიტი, ხალასი ოქრო და ირიდიუმი. გვხვდება ულტრაფუძე მაგმურ ქანებში (დუნიტები); საბადოები ძირითადად ქვიშრობულია: ციმბირში, სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში (ტრანსვაალი), კანდაში, აშშ-ში.

პოველიტი – Повеллит – Powellite – Powelitt



უწოდეს ამერიკელი მკვლევრისა და მინერალოგის ჯ. პაუელის პატივსაცემად. შეელიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 28; MoO_3 - 72$. სინგონია – ტეტრაგონული, დიპირამიდის კლასი. იდიომორფულ კრისტალებს დიპირამიდის ფორმა აქვს. ფიზიკური თვისებები: ფერი – მომწვანო მოყვითალო, მოცისფრო ელფერის მწვანე; ხაზის ფერი – ღია ყვითელი, ღია მწვანე; ელვარება – ალმასისებრი; სიმკვრივე – 3.5-4; მყიფე; სიმკვრივე – 4,3; იხსნება მარილმჟავაში; ლუმინისცირებს ულტრაიისფერ სხივებში კრემისფერად ან მოოქროსფრო-მოყვითალოდ. პარაგენეზული მინერალები: ცეოლითები, ეპიდოტი, კალციტი. გვხვდება ფუძე მაგმურ ქანებსა და კრისტალურ ფიქლებში. საბადოები: გერმანიაში (ფრაიბერგი), ნორვეგიაში, რუსეთში (ურალი), ციმბირში.

პრაზემი – Празем – Prase – Prazem



ბერძნული სიტყვიდან „პრაზიოს“ – პრასისფერი. კვარცის მწვანე სახესხვაობა. შეფერილობა გამოწვეულია აქტივობის ან ქლორიტის უწვრილესი ბოჭკოებით. ნახევრად გამჭვირვალე; გვხვდება ზოგჯერ იდიომორფული კრისტალების სახით. საბადოები: გერმანიაში (მადნიანი მთები), ავსტრიაში, აშშ-ში.

„პრეზიდენტი ვარგასი“ – „Президент Варгас“ – „prezident vargas“ – „Prezident Vargas“


726,60-კარატიანი ალმასის სახელწოდება, რომელიც ამჟამად 29 თვლად დაწახნაგებული ნაპოვნია ბრაზილიაში.

პრენიტი – Пренит – Prenite – Prenit



სახელი უწოდეს ჰოლანდიელი პოლკოვნიკის გ. ფონ პრენის პატივსაცემად, რომელმაც მოიპოვა ეს მინერალი კეთილი იმედის კონცხზე. ეპილოტი – ცოიზიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 27,1; Al_2O_3 - 24,8; SiO_2; H_2O - 4,4$. სინგონია - რომბული, პირამიდის კლასი. ჩვეულებრივ აქვს მოკლესვეტიანი ან ფირფიტისებრი ფორმა. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ნაცრისფერი, მომწვანო-მოყვითალო ელფერით; ნახევრად გამჭვირვალე გამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრიდან სადაფისებრამდე; სიმაგრე – 6-6.5; მონატეხი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 2.80-2.95; ტკეჩადობა მკაფიო (001)-ის გასწვრივ. ნელა იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ცეოლითები, ეპილოტი, კალციტი. გვხვდება ფუძე მაგმურ ქანებსა და კრისტალურ ფიქლებში. საბადოები: გერმანია (ფრაიბერგი), ნორვეგიაში, რუსეთში (ურალი, ციმბირი).

პრუსტიტი – Прустит – Prustite – Prustit



სახელი უწოდეს ფრანგი ქიმიკოსის ჟ. პრუსტის პატივსაცემად. სულფომარილების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Ag - 65,4; As 15,2; S - 19,4$. სინგონია - ტრიგონული, დიტრიგონული-პირამიდის კლასი. გვხვდება პრიზმების, პირამიდების, რომბოედრული კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – კაშკაშა წითელი; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – წითელი; ელვარება – ალმასისებრი; სიმაგრე – 2-2.5; მყიფე; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 5.57-5.62; ტკეჩადობა მკაფიო (1011)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $Nm - 3.088; Np - 2.792$. იხსნება აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ვერცხლი, არგენტიტი, დარიშხანი, ქლოანტიტი, გალენიტი, პირიტი და სხვ. ჰიდროთერმული წარმოშობისაა. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი, შვარცვალდი), ჩეხეთში (იახიმოვი), საფრანგეთში (ლოფინე), სარდინიაში, ჩილეში (ატაკამა), კანადაში (ონტარიო).

პსილომელანი – Псиломелан – Psilomelan – Psilomelan



ბერძნული სიტყვიდან „პსილოს“ – მელოტი, „მელანოს“ – შავი („შავი მინის თავი“). ჰიდროჟანების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MnO_2 60 - 80; MnO - 8 - 25; H_2O - 4 - 6$. სინგონია მონოკლინური. გვხვდება მასიური აგრეგატების, ნაღენი ფორმების, ფხვნილისებრი და მიწისებრი მასების სახით. ფიზიკური თვისებები: მონაცისფრო-მოშავო; ხაზის ფერი – შავი; ელვარება – მქრქალი; სიმაგრე – 5-6; მყიფე; სიმკვრივე – 4.7-4.8. ადვილად იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: პიროლუზიტი, პირიტი, სიდერიტი, კალციტი და სხვ. წარმოიქმნება მანგანუმის საბადოების

ჟანგვის ზონაში. საბადოები: გერმანიაში, უკრაინაში (ნიკოპოლი), საქართველოში (ჭიათურა) და სხვ.

ჟ

ჟადი – Жад – Jade – Jade

ესპანურად „პიედრა დე ჟადა“ – ქვა თირკმელში, ჭვალეები (ჩხვლეტების) საწინააღმდეგო (ითვლებოდა, რომ ჟადს სამკურნალო თვისებები ჰქონდა). ჟადეიტის მიკროკრისტალური სახესხვაობა.

ჟადეიტი – Жадеит – Jade – Jadeit



პიროქსენების ჯგუფის მინერალი. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალები იშვიათია. ფიზიკური თვისებები: ფერი – უპირატესად მწვანე ფერისაა, თუმცა გვხვდება თეთრი და ყვითელი ფერის, ზოგჯერ ჭრელი; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმკვრივე – 6.5; ძალზე მყიფე; სიმკვრივე – 3.24-3.42. მონატეხი უსწორმასწორო, ხიწვიანი; ტკეჩადობა მკაფიო (110)-ის გასწვრივ. მჟავებში იხსნება. მეტამორფული ქანების ტიპური მინერალია, წარმოიშობა მაღალი წნევისა და დაბალი ტემპერატურის პირობებში. პარაგენეზული მინერალები: კვარცი, ფელდშპატები, ქლორიტი, სერპენტინი, ცოიზიტი, ქარსები. საბადოები: იტალიაში (პიემონტი), ჩინეთში (ტიბეტი, ხებეი), ინდონეზიაში (კ. სულავესი), აშშ-ში, მექსიკაში, იაპონიაში, რუსეთში (ურალი).

ჟანგმიწა – Охра – Ochre – Ockez

ფხვნილისებრი და მიწისებრი ბუნებრივი რკინის ოქსიდი (ლიმონიტი); ბუნებაში გარდა რკინის ოქსიდისა, გვხვდება სხვა მრავალი ქიმიური ელემენტის ჟანგმიწა: ვანადიუმის, სტიბიუმის, მანგანუმის, ვოლფრამის, კობალტის, კადმიუმის, ტანტალის, ურანის და სხვ.

რ

რეალგარი – Реалгар – Realgar – Realgar



არაბულიდან „რაზიალ-ჩხარი“ – მადნის მტვერი. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: As – 70.1; S – 29.9. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალებს ჩვეულებრივ აქვს პრიზმული იერი. ფიზიკური თვისებები: ფერი – ინტენსიური წითლიდან კაშკაშა ნარინჯისფერ წითლამდე; ნახევრად გამჭვირვალე ან გამჭვირვალე ხაზის ფერი – მონარინჯისფეროდან მოწითალომდე; ელვარება – მინისებრი; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 1.5-2; სიმკვრივე – 3.5-3.6. ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $N_g - 2.61$; $N_m - 2.59$; $N_p - 2.46$. იხსნება სამეფო წყალსა და ცხელ კალიუმის ტუტეში. პარაგენეზული მინერალები: აურიპიგმენტი, ანტიმონიტი, კინოვარი და სხვ. დაბალტემპერატურული ჰიდროთერმული მინერალია. საბადოები: ჩინეთში (იახიმოვი), რუმინეთში (ტრანსილვანია), მაკედონიაში (ალშარი), საქართველოში (ლუხუნი) და სხვ.


„რეგენტი“ – „Регент“ – „Regent“ – „Regent“

(სინონიმი „პიტი“)

სამხრეთ ინდოეთში (გოლკონა) 1701 წ. ნაპოვნი ერთ-ერთი აღმასის სახელწოდებაა, რომლის მასა 410 კარატი იყო. 1717წ. დაწახნაგების შემდეგ უფრო ბრილიანტის მასა 140,5 კარატი გახდა. გუბერნატორმა ვ. პიტმა მიჰყიდა ფრანგ რეგენტს ორლეანის ჰერცოგს. იგი ამშვენებდა ლუდვიკო XIV-ს გვირგვინს. შემდეგ გახდა ნაპოლეონ ბონაპარტის საკუთრება, 18 ბრიუპერის

გადატრიალების მომზადებისას დააგირავა, ხოლო შემდეგ გამოისყიდა. ფაშისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს გადამალულ იქნა ციხე-კოშკ გამბორის ბუხარში. ამჟამად ლუვრშია.

რიბეკიტი – Рибекит – Riebeckite – Riebeckit



გერმანელი მოგზაურის ე. რიბეკის პატივსაცემად. ამფიბოლების ჯგუფის მინერალი. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. ახასიათებს სვეტისებრი კრისტალები (ერთი შეხედვით ჰგავს ტურმალინს). ფიზიკური თვისებები: ფერი – მუქი ლურჯი, არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მოლურჯო-მოშავო; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 5.5-6; სიმკვრივე – 3.02-3.42, ტკეჩალობა სრული (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.697; Nm - 1.695; Np - 1.683$. ტუტე გრანიტების ქანმაშენი მინერალია. საბადოები: კორსიკაში, რუსეთსა (კრივოი როგი, ტუვა) და სხვ.

„რივერსის ვარსკვლავური ლალი“ – „Рубин звездчатый Ривеса“ – „Reeves Star ruby“ – „Reevec Stern rubin“

ვარსკვლავური ლალის სახელწოდება, რომლის მასა 138.70 კარატია. ინახება სმიტსონის ინსტიტუტში, აშშ.

„რიოს ვარსკვლავი“-„Звезда Рио“-„Star of Rio“-„Stern von Rio“


კვამლა კვარცის კომერციული ტერმინი. ახასიათებს ექვსსხივიანი ვარსკვლავი, რომელიც შექმნილია კვარცში ჰემატიტის ბირთვის ირგვლივ განლაგებული რუტილის ნემსებისაგან.

როდონიტი – Родонит – Rhodonite – Rhodonit



ბერძნული სიტყვიდან „როდონ“ – ვარდისფერი (რუსები „ორლეცს“ უწოდებენ). პიროქსენების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MnO - 30 - 46.0; CaO - 4 - 6.5; SiO_2 - 45 - 48$; სინგონია – ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. გვხვდება მასიური ან მარცვლოვანი აგრეგატების სახით, იშვიათად ფირფიტისებრი და პრიზმების ფორმის კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ბაცი და მუქი წითელი, მეწამულისებრი წითელი, ყავისფერი და სხვ; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მოთეთრო; ელვარება – მინისებრი ან სადაფისებრი; სიმაგრე – 5.5-6.5; სიმკვრივე – 3.67-3.76; ტკეჩალობა სრული (001)-ის და (100)-ის გასწვრივ. მუჟავში არ იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ჰაუსმანიტი, კალციტი, მანგანიტი, პიროქსენი და სხვ. მეტამორფული ქანებისთვისაა დამახასიათებელი. საბადოები: გერმანიაში (ვესტფალია), კარპატებში, რუსეთში (ურალი), ბრაზილიაში.

როდოქროზიტი – Родохрозит – Rhodochrosite – Rhodochrosit




ბერძნული სიტყვიდან „როდონ“ – ვარდი და „ხროს“ – ფერი (ვარდისფერი). კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MnO - 61.7; CO_2 - 38.3$. სინგონია ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება კრისტალურ-მარცვლოვანი, თირკმლისებრი, სფერული (რადიალურსხივოსნური) წარმონაქმნების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ვარდისფერი ან ჟოლოსფერი; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 4; მყიფე; სიმკვრივე – 3.3-3.5; ტკეჩალობა სრული (1011)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $Nm - 1.817; Np - 1.597$. ცხელ მარილმუჟავაში იხსნება ენერგიულად. პარაგენეტული მინერალები: ჰემატიტი, ლიმონიტი, პიროტინი, სფალერიტი, პირიტი, გვხვდება სუბკულკანურ ჰიდროთერმებში. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი, ოდენვალდი), რუმინეთში, საფრანგეთში (პირენეის მთები), რუსეთში (დას. იმპერბაიკალეთი), ბოსტვანაში (კალაჰარი).

რუტილი – Рутил – Rutile – Rutil



ლათინური სიტყვიდან „რუტილუს“ – მოწითალო. ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Ti-60$. სინგონია – ტეტრაგონული, დიტეტრაგონული დიპირამიდის კლასი. კრისტალებს ახასიათებს პრიზმული, სვეტისებრი, ნემსისებრი ფორმა. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყვითალო, მოწითალო, ზოგჯერ შავი (ნიგრინი); ხაზის ფერი ყვითელი; ელვარება – ნახევრად ლითონისებრი, ალმასისებრი; სიმაგრე – 6-6.5; მყიფე; სიმკვრივე – 4.2; ტკეჩალობა სრული (110)-ის და (100)-ის გასწვრივ. მონატეხი ნიჟარისებრი. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng-2.903$; $Nm-2.616$. მჟავაში არ იხსნება. პარაგენეტული მინერალები: მთის ბროლი, კვარცი, ალბიტი, ადულარი, აპატიტი, გრანატი და სხვ. მჟავე მაგმური ქანების აქცესორული მინერალია. საბადოები ძირითადად ქვიშრობულია – ავსტრალიაში, აშშ-ში (ფლორიდა), რუსეთსა (ურალის პეგმატიტებში) და სხვ.

რქატყუარა – Роговая обманка – Horblend – Horblende



სილიკატების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა ცვალებადია. ფართოდ იცვლება შეფარდება მაგნიუმისა ორვალენტთან რკინასთან და ალუმინისა სამვალენტთან რკინასთან, ზოგჯერ კალიუმი ჭარბობს ალუმინს. სინგონია მონოკლინური, პრიზმული კლასი. კრისტალის ფორმა: პრიზმული, სვეტისებრი, უფრო იშვიათად იზომეტრიული. ფერი: მწვანე ან მურა მუქ შავამდე. ელვარება: მინისებრი. გარდატეხის მაჩვენებელი – 1.63-1.69. სიმაგრე – 5.5-6, სიმკვრივე – 3.1-3.3. ტკეჩალობა {110} პრიზმის მიმართ სუსტი. წარმოშობა: ჩვეულებრივ რქატყუარა ინტრუზიული მაგმური ქანების მინერალია. აგრეთვე მჟავა პეგმატიტების ულტრაფუძე მაგმებზე მოქმედების შედეგად ხდება რეაქციულ-მეტასომატური წარმონაქმნების სახით რქატყუარიანი ქანების წარმოქმნა.

ს

„სამხრეთის ვარსკვლავი“ – „Звезда юга“ – „Star of south“ – „Stern d'Sudens“

ბრაზილიური ალმასის სახელწოდება, რომლის მასა და მუშავებამდე 261,88 კარატი. (დანაკარგი დამუშავების შემდეგ შეადგენდა 125,4 კარატს). ნაპოვნია 1853წ. ბრაზილიის შტატ მინას-ჟერაისში.

საგენიტი – Сагенит – Sagenite – Sagenit

ბერძნული სიტყვიდან „საგენე“ – ქსელი, ბადე. ბიოტიტში, ქლორიტსა ან მთის ბროლში ნემსისებრი რუტილის კანონზომიერი უხვი ჩანართები, რომლებიც ქმნიან ბადეს. „საგენიტური ბადე“, რუტილის კრისტალები ერთმანეთს კვეთენ $54^{\circ}44'$ და $65^{\circ}35'$ -იანი კუთხეებით. საბადო: შვეიცარიაში (კავრადი), კანადაში (ონტარიო), რუსეთში (ურალი).

სანიდინი – Санидин – Sanidine – Sanidin



ბერძნული სიტყვიდან „სანის“ – ფირფიტა, ფიცარი (კრისტალის ფორმის გამო). ტუტე მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $K_2O-16.9$; $Al_2O_3-18.4$; $SiO_2-64.7$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. უპირატესად ახასიათებს პრიზმული სახის კრისტალები ფიზიკური თვისებები: უფერო, ჩამოჰგავს მინას; გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – ძლიერი მინისებრი; სიმაგრე – 6; სიმკვრივე – 2.56; ტკეჩალობა სრული (001)-ის გასწვრივ. ახასიათებს მრჩობლები. გარდატეხის მაჩვენებელი:

$Ng - 1.525; Nm = Ng; Np - 1.520$. იხსნება ფტორის მჟავასა და ტუტეებში. უპირატესად გვხვდება ახალგაზრდა ეფუზიურ ქანებში. საბადოები: გერმანიაში (დრახენფელსი), იტალიაში.

სადაფი – Перламутр – Mother-of-pearl-

სადაფი, მოლუსკთა და ზღვის ზოგიერთი სხვა ცხოველის ნახშირმჟავა კალციუმიანი ნიჟარაა, $CaCO_3$ -ის გარდა იგი მცირე რაოდენობით შეიცავს ორგანულ ნივთიერებას. სადაფი მოთავსებულია მოლუსკთა ნიჟარებს შორის და მეტნაკლებად სქელი ფენით გარს აკრავს მათ. სადაფის ფერთა თამაში დამოკიდებულია არა რომელიმე საღებავზე, არამედ თვით ნიჟარის აგებულებაზე. ეს უკანასკნელი თხელი ფირფიტებისაგან შედგება და იწვევს სინათლის სხივების გარდატეხას. ნიჟარის ამ ერთიმეორის დამფარავ თხელ ფენებს გამოჰყოფს ნიჟარაში მცხოვრები სხეული. სადაფს ჩვეულებრივ პოულობენ მარგალიტის ძებნის დროს ან დამოუკიდებლად. შორეული დროიდან სადაფს მოიპოვებდნენ მეწამულ ზღვაში, სპარსეთის ყურეში, შრი-ლანკაში, ბურნუსა და ფილიპინებზე, იაპონიაში, წყნარი ოკეანის ზოგიერთ კუნძულზე.

საფირონი – Сапфир – Sapphire – Sapphir



ბერძნული სიტყვიდან „საფიროს“, ლურჯი საიუველირო ქვის სახელწოდება. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al - 53.2; O - 46.8$. ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. სინგონია – ტრგონული, დიტრიგონული – სკალენოედრის კლასი. კორუნდის ლურჯი სახესხვაობა – უმაღლესი კატეგორიის ძვირფასი ქვა. ფიზიკური თვისებები: ამჟამად საფირონს აკუთვნებენ ყველა არაწითელ, ყვითელ, ნარინჯისფერ, ლურჯ, მწვანე, შავსაც და სხვა ფერის კორუნდს. უმეტესად გამჭვირვალე, ზოგჯერ ახასიათებს ასტერიზმის (აქვს სხივიანი ვარსკვლავი რუტილის ორიენტირებული ნემსისებური ჩანართების გამო) მოვლენები. ხაზის ფერი – თეთრი; სიმკვრივე – 9; სიმკვრივე – 3.9-4.1; ტკეჩალობა არ ახასიათებს. კრისტალების ფორმა – კასრისებრი, ტრაპეცოედრების ან ექვსწახნაგა დიპირამიდებისებრი. საფირონის საბადოები ძირითადად უკავშირდება ქვიშრობებს. ძირითად ქანებში გვხვდება მარმარილოებში, ბაზალტებსა და პეგმატიტებში. პარაგენეზული მინერალები: ლალი, შპინელი, პიროპი, კვარცი, ტოპაზი, ტურმალინი, ცირკონი და სხვ. საბადოები: შრი-ლანკაში (რატნაპურა), ზემო ბირმაში (მოგოვი); ავსტრალიაში, აშშ-ში.

სარდონი – Саpдеp – Sard – Sarder

სახელი მომდინარეობს ძველი ლიდიის დედაქალაქიდან „სარდის“. სარდონი ქალცედონის ყავისფერი სახესხვაობაა, სხვანაირად ყავისფერ კარნეოლსაც უწოდებენ.

სარდონიქსი – Саpдоникс – Sardonyx – Sardonyx


სახელი წარმოდგება სიტყვებიდან „სარდი“ და „ონიქსი“. უწოდებენ ზოლებიან აგატს, რომელსაც ახასიათებს ყავისფერი, შავი და თეთრი წვრილი ზოლები. საიუველირო ქვაა. მისგან ამზადებენ გემებსა და კამეებს.

სელენი – Селен – Selenium – Selen



ხალასი სელენი. სინგონია – ტრიკლინური, ტრაპეცოედრის კლასი. ახასიათებს ნემსისებრი კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ნაცრისფერი, ხაზის ფერი – წითელი; ელვარება ნახევრად მეტალური; სიმკვრივე – 5; სიმკვრივე – 4.81. ელექტრობის კარგი გამტარია. საბადოები: აშშ-ში (კოლორადო).

სეპიოლიტი – Сепиолит – Sepiolite – Sepiolith



ბერძნული სიტყვიდან „სეპიონ“ – მოლუსკ სეპიას ზურგის ფარები („ძვლები“). გვხვდება მარგულეების, კოშტების და მჭიდრო მასების სახით. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ყვითელი, ნაცრისფერი ან მოწითალო; არაგამჭვირვალე, ელვარება – მქრქალი; სიმაგრე – 2-2.5; ადვილად იფშენება; სიმკვრივე – 5. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეზული მინერალები: ქალცედონი, ოპალი, ქლორიტი და სხვ. საბადოები: ჩეხეთში (მორავიის სერპენტინიტებში), ესპანეთში (მადრიდთან ახლოს), საბერძნეთში, თურქეთში (ბურსა), აშშ-ში (მდ. ჯილა) და სხვ.

სერდოლიკი – Сердолик – Carnelian – Serdolik

ქალცედონის ვარდისფერი, ყვითელი და მონარინჯისფრო-მოწითალო სახესხვაობა.

სერიციტი – Серицит – Sericite – Sericit

ბერძნული სიტყვიდან „სერიკინი“ – ნელლი აბრეშუმი. მუსკოვიტის მიკროქერცლოვანი სახესხვაობა. გვხვდება მეტამორფულ ფიქლებში და სხვადასხვა ალუმინსილიკატის გამოფიტვის პროდუქტია. (განსაკუთრებით პლაგიოკლასების, ტუტე მინდვირს შპატების, ლეიციტის, ნეფელინის და სხვ).

სერპენტინი – Серпентин – Serpentine – Serpentin

ლათინური სიტყვიდან „სერპენს“ – ველი (ლაქებრივი სურათის გამო). ეს სახელწოდება აერთიანებს ანტიგორიტს, ქრიზოტილს, ლიზარდიტს. წრმოიქმნება მეტასომატური შეცვლების შედეგად.

სიდერიტი – Сидерит – Siderite – Siderit



ბერძნული სიტყვიდან „სიდეროს“ – რკინა. კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $FeO - 62.1$; $CO_2 - 37.9$. სინგონია – ტრიგონული, დიტრიგონული – სკალენოედრის კლასი. ძირითადად რომბოედრული ფორმის კრისტალები ახასიათებს, გვხვდება მსხვილი და წმინდამარცვლოვანი აგრეგატების სახითაც. ფიზიკური თვისებები: მოყავისფრო-მოყვითალო, მოყვითალო-მონაცრისფრო, ჩაღისფერი. ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი: თეთრი ან მოყვითალო, ელვარება – მქრქალი; სიმაგრე – 4-4.5; მყიფე; სიმკვრივე – 3.7-3.9; ტკეჩალობა (1011)-ის გასწვრივ სრული. გარდატეხის მაჩვენებელი: $Nm-1.975$; $Np-1.633$. მარილმჟავასთან მოქმედებისას იძლევა მოყვითალო-მომწვანო ფერს; ლუმინესცირებს ლიმონისფერ ყვითელ ფერებში. პარაგენეზული მინერალები: კასიტერიტი, გალენიტი, სფალერიტი, პირიტი, ქალკოპირიტი და სხვ. წარმოიქმნება ჰიდროთერმული ან დანალექი პროცესების გზით. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი), ავსტრიაში (შტირია); შოტლანდიაში, რუსეთსა (ურალი) და სხვ.

„სიერა-ლეონეს ვარსკვლავი“ – „Звезда Сьерры–Леоне“ – „Star of Serra-Leone“
დაუბუშავებელი 968.89-კარატიანი ალმასის სახელწოდება.

სილიმანიტი – Силлиманит – Sillimanite – Sillimanit



სახელი უწოდეს ამერიკელი ქიმიკოსის ბ. სილიმანის პატივსაცემად. დისტენის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al_2O_3 - 63.1$; $SiO_2 - 36.9$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება ბოჭკოვანი, ქეჩისებრი ან სხივოსნური, შუბისებრი წარმონაქმნების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მარგალიტისებრ თეთრი, მოყვითალო მონაცრისფრო; ნახევრად გამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი ან

აბრეშუმისებრი; სიმაგრე – 6-7; მონატეხი უსწორმასწორო, ხიწვისებრი; სიმკვრივე – 3.23-3.27. ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $N_g-1.677; N_m-1.658; N_p-1.657$. მჟავაში არ იხსნება. პარაგენეტული მინერალები: კვარცი, მინდრვის შპატი, ბიოტიტი, ანდალუზიტი და სხვ. წარმოიქმნება რეგიონული მეტამორფიზმის დროს. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი, ბავარია), ავსტრიაში (ტიროლი), რუსეთში (კოლის ნახევარკუნძული), ინდოეთში, ბირმასა და სხვ.

სილვინი – Сильвин – Sylvite – Sylvin

KCl

სახელი უწოდეს პოლანდიელი ქიმიკოსის და მედიკოსის სილვიუსის პატივსაცემად. ქლორიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $K-52.5; Cl-47.5$. სინგონია – კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. გვხვდება მსხვილი და წმინდა კრისტალების ან მჭიდრო მთლიანი მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – რძისფერი, იშვიათად უფერო, ზოგჯერ მოწითალო ან მოყვითალო; გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე; ზაზის ფერი – თეთრი; ელვარება ცხიმოვანიდან მინისებრად; სიმაგრე – 2; ადვილად იფხვება, მყიფე; სიმკვრივე – 1.9-2.0; ტკეჩადობა სრული (100)-ის გასწვრივ; გარდატეხის მაჩვენებელი $N-1.490$. აქვს მომწარო მლაშე (მწკლატე) გემო, ადვილად იხსნება წყალში, ძალზე ჰიგროსკოპიულია, იხსნება აზოტმჟავაში და იძლევა ხაჭოსებრ ნალექს. პარაგენეტული მინერალები: ჰალიტი, ანჰიდრიტი, კარნალიტი და სხვ. როგორც წესი გვხვდება მარილიან ნალექში (ევაპორიტებში). საბადოები: გერმანიაში (ჰალე, ერფრუტი), პოლონეთში (კალუმა), ესპანეთში (ბარსელონასთან ახლოს), რუსეთსა (სოლკამსკი) და სხვ.

„სინათლის მთა“ – „Гора Света“ – „Berg des Lichtes“

აღმას „კოხინორის“ მეორე სახელწოდება.

სკაპოლიტი – Скаполит – Scapolite – Skapolith

$(75-n)Na_4[AlSi_3O_8]_3Cl \cdot nCa_4[Al_2Si_2O_8]_3[SO_4, CO_3]$

ბერძნული სიტყვიდან „სკაპოლოს“ - ღერძი. (კრისტალების სვეტისებრი ფორმის გამო). ქიმიური შედგენილობა ცვალებადია. სინგონია – ტეტრაგონული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება დიდი პრიზმული კრისტალების სახით, აგრეთვე მჭიდრო აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, ნაცრისფერი, მუქი ლურჯი ან წითელი; ნახევრად გამჭვირვალე (მღვრიე); ზაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 5-6; მყიფე; სიმკვრივე – 2.54-2.77; ტკეჩადობა (110)-ის გასწვრივ სრული, ცოტა ნაკლები (100)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $N_m-1.577; N_p-1.548$. იხსნება მჟავაში. პარაგენეტული მინერალები: გრანატი, ეპიდოტი, ავგიტი, ვეზუვიანი. გვხვდება ძირითადად პნევმატოლითური პროცესების შედეგად. საბადოები: იტალიაში (ჩრდილოეთში), ნორვეგიაში, შვედეთში, კ. მადაგასკარზე, რუსეთში (პამირი).

სმარაგდი – Смарагд – Emerald – Smaragd

იხ. ზურმუხტი

სმიტსონიტი – Смитсонит – Smithsonite – Smithsonit

$Zn[CO_3]$

ინგლისელი ქიმიკოსის ჯ. სმიტის პატივსაცემად ეწოდა. კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $ZnO-64.8; CO_2-35.2$. სინგონია – ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. გვხვდება მცირე ზომის პრიზმული იერის კრისტალების კოლომორფული, თირკმლისებრი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ნაცრისფერი თეთრი, უფერო, მოყვითალო, ბაცი მწვანე; ნახევრად გამჭვირვალე, ზაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 5; მყიფე; სიმკვრივე – 4.3-4.5; ტკეჩადობა სრული (1010)-ის გასწვრივ. გარდატეხის


მაჩვენებელი: $Nm-1.849; Np-1.621$. ადვილად იხსნება მჟავაში. პარაგენეტული მინერალები: სფალერიტი, გალენიტი, მალაქიტი, კალციტი, აზურიტი და სხვ. საბადოები: გერმანიაში (აახენი), საბერძნეთში, ავსტრიაში, სარდინიაზე, აშშ-სა და სხვ.

სოდალითი – Содалит – Sodalite – Sodalith



სახელი უწოდეს ნატრიუმის (სოდა) შემცველობის გამო. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Na_2O - 25.5; Al_2O_3 - 31.7; SiO_2 - 37.1; Cl - 7.3$. სინგონია – კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. იშვიათად გვხვდება რომბოლოდეკაედრების იერიის კრისტალების ან მჭიდრო მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ღია ლურჯიდან მოლურჯომდე, მოწითალო – მოყავისფრო; გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – ცხიმოვანი; სიმაგრე – 5-6; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 2.27-2.33; ტკეჩადობა მკაფიო (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $N-1.486$. ადვილად იხსნება მჟავაში. ტუტე მაგმური ქანების ქანმაშენი მინერალია. საბადოები: გერმანიაში, (ეიფელი), იტალიაში (ვეზუვი), რუმინეთში (ტრანსილვანია), პორტუგალიაში, ბოლივიაში, აშშ-ში (შტ. მენი), კანადაში (კვებეკი), რუსეთში (ურალი, იაკუტია).

სპესარტინი – Спессартин – pessartine – Spessartin



სახელი წარმოდგება ადვილ „სპესარტიდან“ გერმანია, ბავარია. გრანატების ჯგუფის (პირალსპიტების) მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MnO - 43.0; Al_2O_3 - 20.6; SiO_2 - 36.4$. სინგონია-კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. რომბოლოდეკაედრული, ტეტრაგონ-ტრიოქტაედრის იერიის კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – ნარინჯისფერი, მოყავისფრო-მოწითალო; გამჭვირვალე ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი (ოღნავ ცხიმოვანი); სიმაგრე – 6.5-7.5; სიმკვრივე – 4.2; ტკეჩადობა არ ახსიათებს. გარდატეხის მაჩვენებელი $N-1.80$. პარაგენეტული მინერალები: მუსკოვიტი, ბიოტიტი, კვარცი, მაგნეტიტი და სხვ. საიუველირო სპესარტინი გვხვდება პეგმატიტებში. საბადოები: შვედეთში, რუსეთში (ურალი), კანადაში, შრი-ლანკაში.

სპეკალი – Самоцветы – Semi-presious Stone

(თვალი პატიოსანი)

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ალმასის, იაგუნდის, ლალის, საფირონის და მისთანათა კრებითი სახელი.

სპილენძი (ხალასი) – Медь – Native Copper – Kupfer

ხალასი მინერალების ჯგუფი. სინგონია – კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. ფიზიკური თვისებები: ღია მოწითალო; ხაზის ფერი – სპილენძისფერი; ელვარება – ლითონისებრი; სიმაგრე – 2.5-3; ჭედადი, იჭრება დანით; სიმკვრივე – 8.5-9.0. გვხვდება კუბების, ხშირად დენდრიტების ან ფირფიტების სახით. იხსნება განზავებულ მარილმჟავასა და აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: კუპრიტი, მალაქიტი, აზურიტი, ბორნიტი, კვარცი და სხვა. საბადოები: აშშ-ში (ზემო ტბა), ბოლივიაში (კორკოკორის ქვიშები), რუმინეთში, ეგვიპტეში (სინას მთა), კანადაში, საქართველოში (მადნეული).


სპოდუმენი – Сподумен – Spodumene – Spodumen



ბერძნული სიტყვიდან „სპოდოს“ – ფერფლისა (ფერფლის ფერის გამო). ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Li_2O - 8.1; Al_2O_3 - 27.4; SiO_2 - 64.5$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება სქელსვეტიანი ან ფირფიტოვანი ფორმის კრისტალების სახით (ცნობილია 15მ სიგრძის კრისტალი). ფიზიკური თვისებები: ფერი – ფერფლისფერი, მოყვითალო, მონაცისფრო, იშვიათად იისფერი; ზოგჯერ გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – სუსტი მინისებრი; სიმაგრე


– 6.5-7; სიმკვრივე – 3.1-3.2; ტექნალობა სრული (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.675; Nm - 1.66; Np - 1.65$. პარაგენეტული მინერალები: ამბიგოლიტი, ლეპიდოლიტი და სხვ. გვხვდება გრანიტულ პეგმატიტებში. საბადოები: შვედეთში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, აშშ-ში (სამხრ. დაკოტა, სადაც ნანახია 90-ტონიანი კრისტალი).

სტავროლიტი – Ставролит – Staurotile – Stavrolith



ბერძნული სიტყვიდან „სტავროს“ – ჯვარი (ჯვრისებრი მრჩობლების გამო), „ლითოს“ – ქვა. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $FeO - 15.8; Al_2O - 55.9; SiO_2 - 26.3; H_2O - 2.0$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. ახასიათებს მოკლესვეტოვანი კრისტალები, ხშირად ჯვრისებურად დამრჩობლილი. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოწითალო ან მოშავო-მოყავისფრო; საზის ფერი – მონაცრისფრო-მოთეთრო; ელვარება – მინისებრი; სიმკვრივე – 7.75; სიმკვრივე – 3.74-3.83; ტექნალობა არასრული (010)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი – $Ng - 1.754; Nm - 1.757; Np - 1.736$. გოგირდმჟავაში იხსნება ნაწილობრივ. პარაგენეტული მინერალები: დისტენი, ალმანდინი, მუსკოვიტი, კვარცი და სხვ. რეგიონული მეტამორფიზმის ქანებისათვისაა დამახასიათებელი საბადოები: გერმანიაში (საქსონია), შვეიცარიაში, ავსტრიაში (შტირია), რუსეთსა (ბაიკალისპირეთი) და სხვ.

სტანინი – Станнин – Stannite – Stannin



ლათინური სიტყვიდან „სტანუმ“ – კალა. სულფიდების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Cu - 29.5; Fe - 13.1; Sn - 27.5; S - 29.9$. სინგონია – ტეტრაგონული, სკალენოედრის კლასი. კრისტალები იშვიათია. ფიზიკური თვისებები: ფერი – ფოლადისებრი ნაცრისფერი მომწვანო ელფერით; არაგამჭვირვალე; საზის ფერი – შავი; ელვარება – ლითონისებრი; სიმკვრივე -4; მყიფე; მონატენი უსწორმასწორო; სიმკვრივე – 4.3-4.4; ტექნალობა არასრული (110) და (001)-ის გასწვრივ. აზოტმჟავაში ადვილად იხსნება, გამოჰყოფს გოგირდს. პარაგენეტული მინერალები: კასიტერიტი, გალენიტი, არსენობირიტი, ქალკობირიტი. გვხვდება ჰიდროთერმული წარმოშობის ძარღვებში. საბადოები: ჩეხეთში (ცინოვეცი), დიდ ბრიტანეთში (კორნუოლი), ბოლივიაში, რუსეთში (იმერბაიკალი, იაკუტია).

სტიბნიტი – Стилнит – Stibnite – Stibnit (იხ. ანტიმონიტი)

სტრაზი – Страз – Paste – Strass

ბრილიანტის ან სხვა ძვირფასი ქვის იმიტაცია. ავსტრიელმა ქიმიკოსმა და იუველირმა ი. შტრასერმა შეძლო დიდი გარდატეხის მაჩვენებლისა და დიდი სიმკვრივის მინის მიღება.

სტრაზ-ალმასი – Страз-Алмаз – Paste Diamond – Strass-Diamant

წყლისებრ გამჭვირვალე მთის ბროლის ან ალმასის იმიტაცია. კომერციული ტერმინია.

სტრონციანიტი – Стронцианит – Strontianite – Strontianit



სახელი წარმოდგება პირველად პოვნის ადგილიდან „სტრონშიანიდან“ (შოტლანდია). კარბონატების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $SrO - 70.2; CO_2 - 29.8$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. ახასიათებს მთლიანი მჭიდრო მასები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, მონაცისფრო, მოყვითალო, მოვარდისფრო; ნახევრად გამჭვირვალედან გამჭვირვალემდე; საზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, ცხიმოვანამდე; სიმკვრივე – 3.5; მყიფე; სიმკვრივე – 3.68-3.75; ტექნალობა მკაფიო (110)-ის გასწვრივ. ადვილად იხსნება მჟავაში. პარაგენეტული მინერალები: კალციტი, პირიტი, ბარიტი, ცელესტინი. გვხვდება ჰიდროთერმულ

ძარღვებსა და დანალექ კარბონატულ ქანებში. საბადოები: შოტლანდიაში (სტრონშიანი), გერმანიაში (ვესტფალია, ჰარცი), უკრაინაში (ყირიმის ნახევარკუნძული), აშშ-ში.

სურინჯი – Сурик – Minium – Menning



ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. სინგონია – ტეტრაგონული, დიტეტრაგონული დიპირამიდის კლასი. გვხვდება მთლიანი მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოაგურისფრო-მოწითალო; საზის ფერი – ნარინჯისებრ ყვითელი; ელვარება – ცხიმოვანი, სიმაგრე – 2.3; სიმკვრივე – 8.2; ტკეჩადობა არ ახასიათებს; მონატეხი ნიჟარისებრი. გარდატეხის მაჩვენებელი $N=2.4$. მეორეული მინერალია. საბადოები: გერმანიაში (ბადენი, ეიფელი), იუგოსლავიაში, მექსიკაში.

სფალერიტი – Сфалерит – Sphalerite – Sphalerit




ბერძნული სიტყვიდან „სფალეროს“ – მომატყუებელი. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Zn - 67.1$; $S - 32.9$. სინგონია – კუბური, ჰექსაგონული კლასი. გვხვდება ტეტრაედრული კრისტალების სახით, უფრო ხშირად, მჭიდრო მთლიანი მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – შავი (მარტივად), თითქმის უფერო (კლუფანი) მოყვითალო (პრშიბრამიტი); არაგამჭვირვალე; საზის ფერი – თეთრი; ელვარება – ნახევრად ლითონური, ალმასისებრი; სიმაგრე – 3.5-4; მყიფე; სიმკვრივე – 3.9-4.2. ტკეჩადობა ძალზე კარგი (110)-ის გასწვრივ. იხსნება მარილმჟავასა და კონცენტრირებულ აზოტმჟავაში. პარაგენეზული მინერალები: გლაუკონიტი, ქალკობრიტი, პიროტინი, პირიტი, ბარიტი და სხვა. გვხვდება ჰიდროთერმულ ძარღვებსა და სკარნებში. საბადოები: ჩეხეთში, რუსეთში (ურალი), საქართველოში.

სფენი – Сфен – Sphen – Sphen

ბერძნული სიტყვიდან „სფენ“ – სოლი; უფრო გავრცელებული სახელია ტიტანიტი.

ტ

ტალკი – Тальк – Talc – Talk



სახელი არაბულიდან მოდის. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO - 31.7$; $SiO_2 - 63.5$; $H_2O - 4.8$. სინგონია – მონოკლინური; ფიზიკური თვისებები: ფერი – ვაშლისებრ მწვანე ან თეთრი; საზის ფერი – თეთრი; ელვარება – ცხიმოვანი, სადაფისებრი, სიმაგრე – 1; შეხებით ცხიმოვანი; სიმკვრივე – 2.58-2.83; ტკეჩადობა ფრიად სრული (001)-ის გასწვრივ. კრისტალების ფორმები – ქერცლოვანი, ფურცლოვანი, მჟავაგამძლე. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.575-1.540$; $Np - 1.538-1.545$. პარაგენეზული მინერალები: ქლორიტები, სერპენტინი, მაგნეტიტი, პირიტი, დოლომიტი, მაგნეზიტი. უკავშირდება ულტრაფუქე მაგმურ ქანებს და დოლომიტებს. საბადოები: გერმანიაში (ბავარია, საქსონია), ჩეხეთში (მორავია), ავსტრიაში, რუსეთში (სვერდლოვის მახლობლად), აშშ-ში.

ტეტრადიმიტი – Тетрадимит – Tetradymite – Tetradymit



ბერძნული სიტყვიდან „ტეტრადიმის“ – ოთხწყვილა (კრისტალი). სულფიდების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Bi - 59.3$; $Te - 36.2$; $S - 4.5$. სინგონია – ტრიგონული. დიტეტრაგონული სკალენოედრების კლასი. უპირატესად გვხვდება ქერცლების, მარცვლების ან მჭიდრო მასების სახით. ფიზიკური თვისებები, ფერი – კალისებრ თეთრი, ფოლადისებრ

ნაცრისფერი; ხაზის ფერი – ნაცრისფერი; ელვარება – ძლიერი; სიმაგრე – 1.5-2; ადვილად იფხვნება; სიმკვრივე – 7.24-7.54. ტკეჩადობა ფრიად სრული (0001)-ის გასწვრივ. იხსნება კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში პარაგენეტული მინერალები: ბისმუტინი, ოქრო, სხვა ტელურიდები, პირიტი და სხვ. გვხვდება ოქროს შემცველ ჰიდროთერმული წარმოშობის ძარღვებში. საბადოები: სლოვაკეთში, რუმინეთში, ჩრდ. ნორვეგიაში, რუსეთში, (სამხრ. ურალი, იმიერბაიკალი), ბრაზილიაში.

ტიტანიტი – Титанит – Titanite – Titanit



მეორე გავრცელებული სახელია სფენი

სახელი უწოდეს ქიმიური ელემენტის „ტიტანის“ მიხედვით. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 28.6; TiO_2 - 40.8; SiO_2 - 30.6$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება დამახასიათებელი სოლისებრი ან კონვერტისებრი კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ყვითელი. მწვანე, ყავისფერი; ნახევრად გამჭვირვალედან გამჭვირვალამდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრიდან ალმასისებრამდე; სიმაგრე – 5-5.5; მყიფე; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 3.4-3.6; ტკეჩადობა სრული (110)-ის და (111)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.979 - 2.054; Nm - 1.894 - 1.935; Np - 1.888 - 1.918$. ცხელ მარილმჟავაში იხსნება ნაწილობრივ, ხოლო გოგირდმჟავაში მთლიანად. პარაგენეტული მინერალები: დიოპსიდი, გრანატები, ეპიდოტი, ქლორიტი, კალციტი, აპატიტი, ცირკონი და სხვ. აქცესორული მინერალია. გვხვდება მჟავა მაგპურ ქანებში. საბადოები: შვეიცარიაში (სენ-გოტარდი), იტალიაში (პიემონტი), აშშ-ში, რუსეთში (კოლის ნახევარკუნძული, იაკუტია).

ტოპაზი – Топаз – Topaz – Topas



სახელი წარმოდგება კუნძულ ტოპაზოსიდან (მეწაბული ზღვა). ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al_2O - 62.0-48.2; SiO_2 - 39.0-28.2; F - 13 - 20.4; H_2O - 2.45$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. კარგად განვითარებული კრისტალები გვხვდება პეგმატიტებში: მოკლესვეტიანი წარმონაქმნების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – სხვადასხვა ფერის ყვითელი, მოწითალო, მომწვანო, უფერო, მოვარდისფრო, გვხვდება აგრეთვე პოლიქრომული შეფერვისაც. ხშირად გამჭვირვალე, უმეტესად ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე – 8; მონატეხი ნიჟარისებრი. სიმკვრივე – 3.49-3.60; ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ. იხსნება ფოსფორის მარილში. პარაგენეტული მინერალები: ფლუორიტი, კასიტერიტი, ტურმალინი, ორთოკლაზი, კვარცი და სხვა. გვხვდება გრანიტულ პეგმატიტებში. საბადოები: გერმანიაში (საქსონია), რუსეთში (ურალი), უკრაინაში (ვოლინი), აშშ-ში (კოლორადო), ბრაზილიაში, იაპონიასა და სხვა. გამჭვირვალე სახესხვაობები (კეთილშობილი ტოპაზი) საიუველირო ქვაა. (ზოგჯერ ტოპაზს უწოდებენ სხვა მინერალებსაც, განსაკუთრებით ქვების ბაზარზე). ზოგ ტოპაზს ახასიათებს ოპალესცენცია.

ტრემოლიტი – Тремолит – Tremolite – Tremolit



სახელი წარმოდგება ტრემილის ხეობიდან – სენგოსტარდის მახლობლად. მონოკლინური ამფიბოლების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 13.8; MgO - 46.4; SiO_2 - 58.8; H_2O - 2.8$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება გრძელპრიზმული, ნემსისებრი კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი ან ღია მონაცრისფრო; ძირითადად არაგამჭვირვალე, ზოგჯერ ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, სიმაგრე – 5.5-6; სიმკვრივე – 2.9-3.0; ტკეჩადობა სრული (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.624; Nm - 1.613; Np - 1.599$. იხსნება მხოლოდ ფტორმჟავაში.

მეტამორფული ქანების ქანმაშენი მინერალია. საბადოები: შვეიცარიაში (ტესინი), იტალიაში (აოსტას ხეობა), რუსეთში (სლუდიანკა).

ტრიდიმიტი – Тридимит – Tridymite – Tridymit




ბერძნული სიტყვიდან „ტრიდიმოს“, სამმაგი (ხშირია სამპრჩობლიანი კრისტალები). კვარცის ჯგუფის მინერალი. სინგონია – ჰექსაგონური, დიჰექსაგონური დიპირამიდის კლასი (მაღალტემპერატურული), აგრეთვე რომბული, ტეტრაედრის კლასი (დაბალტემპერატურული). თხელფირფიტოვანი კრისტალები. ხშირია ორ- და სამინდივიდიანი მრჩობლები. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, თეთრი; უმეტესად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 7; სიმკვრივე – 2.2; ტკეჩადობა ძალზე იშვიათად (0001)-ის გასწვრივ. საბადოები: უნგრეთში, მექსიკაში, აშშ-ში (კალიფორნია).

ტუტე მინდვრის შპატები–Полевые шпаты щелочные–Alkaline Feldspar–Alkali-Feldspate

(კალიუმ-ნატრიუმიანი მინდვრის შპატები)

ამ ჯგუფის მინდვრის შპატებში კათიონის როლს ასრულებს უპირატესად კალიუმი, თუმცა ზოგჯერ ნატრიუმის მნიშვნელოვანი რაოდენობაც გვხვდება. ამ ჯგუფის მინერალები კრისტალდება მონოკლინურ სინგონიად (სანიდინი, ოროთოკლაზი), ანდა ტრიკლინურ სინგონიად (მიკროკლინი, ანოროთოკლაზი, ადულარი). ამ ჯგუფის მინერალების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები თითქმის ერთნაირია. ისინი მჟავა მაგმური ქანების ქანმაშენი მინერალებია.


ტურმალინი – Турмалин – Turmaline – Turmalin



სინგალეზ. (შრილანკა) „ტუმალი“, რაც იზიდავს ნაცარს. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ბევრი სახესხვაობა, რომლებიც ზოგჯერ დამოუკიდებელ მინერალადაა მიჩნეული. ქიმიური შედგენილობა %-ობით: SiO_2 – 30-44; B_2O_3 – 8-12; Al_2O_3 – 18-44; $FeO+Fe_2O_3$ – 0-38; MgO – 0-25; Na_2O – 0-6; CaO – 0-4; H_2O – 1.4. სინგონია – ტრიგონული, დიტეტრაგონული სკალენოედრის კლასი. ტურმალინის კრისტალებს უპირატესად აქვს პრიზმის ფორმა. ფიზიკური თვისებები: ფერი – მწვანე, წითელი, ყავისფერი, ლურჯი. შავი, პოლიქრომული; გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე, ზოგჯერ არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 7-7.5; სიმკვრივე – 3.0-3.25; ტკეჩადობა არ ახასიათებს. მჟავაში არ იხსნება. გვხვდება მრავალ მაგმურ და მეტამორფულ ქანებში, პეგმატიტებში. საბადოები: შვეიცარიაში (სენ-გოტარდი), იტალიაში (კ. ელბა), რუსეთში (მურზინკა, ურალი). ტურმალინს ახასიათებს მრავალი სახესხვაობა: აქროიტი (უფერო), ბიურგერიტი (თითქმის შავი), დრავიტი (ყავისფრიდან მომწვანომდე), ინდიგოლითი (ლურჯი), რუბელიტი (ვარდისფერი), სიბერიტი (ჟოლოსფერი), შერლი (შავი), ელბაიტი (წითელი, ლურჯი), „მავრის თავი“ (პოლიქრომული, შავი დაბოლოებით). ასეთი მრავალფეროვანება გამოწვეულია სხვადასხვა კათიონის არსებობით.

უ

უვაროვიტი – Уваровит – Uwarowite – Uwarowit



სახელი უწოდეს რუსეთის აკად. პრეზიდენტის, გრაფ. ს. უვაროვის პატივსაცემად. გრანატების ჯგუფის უგრანდიტების ქვეჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: CaO – 33.5; Cr_2O_3 – 30.6; SiO_2 – 35.9. სინგონია – კუბური, ჰექსაეტრაედრის კლასი. ყველაზე გავრცელებული ფორმაა რომბოლოდეკაედრი. ფიზიკური თვისებები: ფერი – ზურმუხტისებრ მწვანე; უპირატესად გამჭვირვალე, ხაზის ფერი – ბაცი მწვანე; ელვარება – მინისებრი, სიმაგრე – 6.5-7; მონატენი ნიჟარისებრი, სიმკვრივე – 3.71-3.79; ტკეჩადობა არ ახასიათებს. გარდატეხის

მაჩვენებელი $N-1.87$. პარაგენეტული მინერალები: ქრომიტი, პირიტი, პიროტინი, კალციტი და სხვ. საბადოები: ფინეთში, რუსეთში (ჩრდ. ურალი), სამხ. აფრ. რესპუბლიკაში (ტრანსვაალი).


ურანიტი – Уранинит – Uraninite – Uraninit



სახელი წარმოდგება ელემენტ ურანიდან. სინგონია – კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. ახასიათებს ნაღენი ფორმები: თირკმლის ფორმისაა. ფიზიკური თვისებები: ფისისებრ შავი; არაგამჭვირვალე, ხაზის ფერი – მონაცრისფრო შავი; ელვარება – ნახევრად ლითონური; სიმკვრივე – 4-6; მყიფე, სიმკვრივე – 7.5-10.6. იხსნება მჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ურანის შემცველი მინერალები, გალენიტი, მოლიბდენიტი, სპილენძის მინერალები და მრავალი სხვა. საბადოები: გერმანიაში (ბავარია, საქსონია), ჩეხეთში (პრშიბრამი), საფრანგეთში (ვანდეა) და სხვა მრავალი.

ფ

ფაიალიტი – Фаялит – Fayalite – Fayalit



სახელი წარმოდგება აზორის არქიპელაგის კ. ფაიალიდან. ოლივინის ჯგუფის მინერალია, ფორსტერიტ-ფაიალიტის იზომორფული რიგის კიდური წევრი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $FeO-70.57$; $SiO_2-29.4$. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალები იშვიათია, უფრო ხშირად გვხვდება მასიური, მჭიდრო მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ყვითელი ან ზეთისხილისფერი; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმკვრივე – 6.5; სიმკვრივე – 4.2; ტკეჩადობა მკაფიო (010)-ის და (001)-ის გასწვრივ. გარდ. მაჩვ. $Ng-1.886$; $Nm-1.877$; $Np-1.835$. პარაგენეტული მინერალები: პიროქსენი, რქატყუარა, ალმანდინი, ბიოტიტი, ლაბრადორი და სხვ. გვხვდება კონტაქტურ-მეტამორფულ წარმონაქმნებში. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი), იტალიაში (პიემონტი, ბავენო), შვედეთში, ირლანდიაში, აზორის კუნძულებზე, რუსეთში (ბაიკალისპირეთში).

ფელდშპათოიდები – Фельдшпатоиды – Feldspatoide – Feldsathoid

სილიცუმშავით გაუჯერებელი ალუმინსილიკატები: ნეფელინი, ლეიციტი, სოდალითი, ნოზენანი, ჰაიუინი. წარმოიქმნება მინდვის შპატების ნაცვლად მაგმური პროცესის ბოლო სტადიაზე, როდესაც ტუტე მაგმა ღარიბია SiO_2 -ით. გვხვდება ტუტე მაგმურ ქანებში.

ფენაკიტი – Фенакит – Phenacite – Phenakit



ბერძნული სიტყვიდან „ფენას“ - მატყუარა (შეცდომით შეიძლება მიჩნეულ იქნეს კვარცად). ვილემიტიის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $BeO-45.5$; $SiO_2-54.5$. სინგონია – ტრიგონული, რომბოედრის კლასი. ახასიათებს რომბოედრული, მოკლესვეტოვანი კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, მოყვითალო, ღია ვარდისფერი ან უფერო; სიმკვრივე – 7.5; მყიფე; სიმკვრივე – 2.95-3.0; ტკეჩადობა სუსტი (1120)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng-1.670$; $Nm-1.654$. მონატეხი ნიჟარისებრი; იშვიათი მინერალია. მჟავაში არ იხსნება.


პარაგენეტული მინერალები: ზურმუხტი, ბივრილი, აპატიტი, ქრიზობერილი, ტოპაზი და სხვ. დამახასიათებელია გრანიტული პეგმატიტებისათვის. საბადოები: შვეიცარია (ვალესი), ნორვეგიაში, რუსეთში, ურალში, აღმ. აფრიკაში, ბრაზილიაში (მინას-ჟერაისი), აშშ-სა და სხვ.

ფერბერიტი – Ферберит – Ferberite – Ferberit




სახელი უწოდეს რ. ფერბერის პატივსაცემად. ვოლფრამიტის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $WO_4 - 75$; $FeO - 25$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. ახსიათებს სქელფორფიტოვანი კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თითქმის შავი; ხაზის ფერი – შავი; ელვარება – ნახევრად ლითონური; სიმაგრე – 5-5.5; მყიფე; სიმკვრივე – 7.51; ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ვოლფრამიტი, კასიტერიტი. გვხვდება გრეიზენებში. საბადოები: გერმანიაში (საქსონია), ესპანეთში და სხვაგან. ვოლფრამის მადანია.

ფილიპსიტი – Филлипсит – Phillipsite – Phillipsit



სახელი უწოდეს ინგლისელი მინერალოგის უ. ფილიპსის პატივსაცემად. ცეოლითების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $SiO_2 - 44-48$; $Al_2O_3 - 22-24$; $CaO - 3-8$; $K_2O - 4-11$; $H_2O - 15-17$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. მარტივი კრისტალები იშვიათია, გვხვდება მრჩობლების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, თეთრი; გვხვდება როგორც გამჭვირვალე, ისე არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 4.5; მყიფე, სიმკვრივე – 2.2; ტკეჩადობა კარგი (010)-ის და (100)-ის გასწვრივ. მონატეხი უსწორმასწორო. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ცეოლითები. წარმოშობა ჰიდროთერმული, ზოგჯერ დანალექი გზით. საბადოები: გერმანიაში (ბადენი, ჰესენი), ჩეხეთში, იტალიაში, ირლანდიაში (გოლიათების ქვაფენილი), აშშ-ში, რუსეთში (კოლის ნ.კ.).

ფირუზი – Бирюз – Turquoise – Turkis



სპარსული სიტყვიდან „ფირუზა“ - გამარჯვების მომპოვებელი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CuO - 9.57$; $Al_2O_3 - 36.8$; $P_2O_5 - 34.12$; $H_2O - 19.47$. სინგონია – ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. გვხვდება ფარულკრისტალური, მთლიანი მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ლაჟვარდისფერი; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – ცვილისებრი, სიმაგრე – 5-6; მყიფე; სიმკვრივე – 2.6-2.8; მონატეხი ნიჟარისებრი; ტკეჩადობა არ ახსიათებს. გარდ. მაჩვ: $Ng - 1.65$; $Nm - 1.62$; $Np - 1.61$. იხსნება მარილმჟავაში. ფირუზი უკავშირდება დაბალტემპერატურულ ჰიდროთერმებს. საბადოები: ირანში (ნიშაპური), ეგვიპტეში (სინას ნახევარკუნძული), აშშ-ში (ნევადა, არიზონა), შუა აზიაში (ბირიუზაკი), სომხეთში (თეხუთი). საიუველირო ქვაა.

ფლოგოპიტი – Флогопит – Phlogopite – Phlogopit



ბერძნული სიტყვიდან „ფლოგოს“ - ცეცხლგამძლე (წითელი ელფერის გამო). ქარსების ჯგუფის მინერალია. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $K_2O - 7-10.0$; $MgO - 21.4-29.4$; $Al_2O_3 - 10.8-17$; $SiO_2 - 38.7-45.0$; $H_2O - 0.3-5.4$; $F - 6$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალებს ახსიათებს ფსევდოჰექსაგონური ფირფიტები. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოწითალო-მოყავისფრო; გამჭვირვალე ან ნახევრადგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – ლითონისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე – 2.5, მყიფე; პარაგენეტული მინერალები: დიოპსიდი, ფორსტერიტი, ლოლომიტი, კალციტი, მინდვირის შპატები და სხვა. გვხვდება პნევმატოლითებსა და კონტაქტ-მეტასომატური წარმოშობის ქანებში. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი, საქსონია), შვეიცარიაში (ტესენი), ნორვეგიაში, შვედეთში, კანადაში, მადაგასკარზე, რუსეთსა (ურალი) და სხვ.

„ფლორენციელი“ – „Флорентиец“ – „Florentine“ – „Florentiner“


ლიმონისფერი ალმასის სახელწოდება, რომლის მასა 137.27 კარატია. ეკუთვნოდა მედიცინის გვარს, შემდგომ ჰაბსბურგების სახლს, ხოლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეგვიპტის მეფე ფარუკს. ამჟამად სად ინახება ცნობილი არაა. ალმასი დაწახნაგებულია ცხრასხივიანი ბრილიანტის სახით.

ფლუორიტი – Флюорит – Fluorite – Fluorit



ლათინური სიტყვიდან „ფლუოს“ – დენალობა (რადგან სხვა მინერალთა შორის პირველი იწყებს დენას). ფტორიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Ca-51.2; F-48.8$. სინგონია – კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. ხშირად გვხვდება კარგად განვითარებული ჰექსაედრების, ოქტაედრების, დოდეკაედრების იერის კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, ყვითელი, მწვანე, იისფერი, ლურჯი, ვარდისფერი და ზოგჯერ შავიც. ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმაგრე – 4; მყიფე; სიმკვრივე – 3.1-3.2; ტკეჩადობა სრული (111)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $N-1.434$. სიმკვრივე – 3.1-3.2; იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეზული მინერალები: კვარცი, გალენიტი, სფალერიტი, ქალკოპირიტი, კალციტი, დოლომიტი, ბარიტი და სხვ. გვხვდება მადნიან ძარღვებში. საბადოები: გერმანიაში (ბავარია, ჰარცი, ტურინგია), იტალიაში (სამხრ. ტიროლი), გრელანდიაში, კანადაში, ყაზახეთში, ტაჯიკეთსა და სხვ.

ფორსტერიტი – Форстерит – Forsterite – Forsterit




ასე უწოდეს ნატურალისტ ი. ფორსტერის პატივსაცემად. ოლივინის ჯგუფის მინერალია. ფორსტერიტი-ფაიალიტის იზომორფული რიგის კიდურა წევრი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO-57.1; SiO_2-42.9$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალები იზომეტრიულია. ფიზიკური თვისებები: ფერი – ყვითელი, მწვანე, უფერო; გამჭვირვალე, ზოგჯერ ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი, ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 6.5-7; სიმკვრივე – 3.3; ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. მარილმჟავაში იხსნება. პარაგენეზული მინერალები: სერპენტინი, შპინელი, ბრუსიტი და სხვ, გვხვდება დოლომიტებში გაჩენილი თერმული მეტამორფიზმის შედეგად. საბადოები: იტალიაში (ვეზუვი), ნორვეგიაში, რუსეთში (ურალი).

ფოსფორიტი – Фосфорит – Phosphorite – Phosphorit

აპატიტისა და სხვა ფოსფატების ნარევი კარბონატებთან ან თიხასთან ერთად. ფერი – ყავისფერი, თეთრი, ნაცრისფერი, მოყვითალო-მოყავისფრო, შავი. არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მოყვითალო ან მოთეთრო; ელვარება – მქრქალი, ცხიმოვანი; სიმაგრე – 2.5, სიმკვრივე – 3-3.2. წარმონაქმნები ხშირად რადიალურ-სხივოსნურია. საბადოები: ესპანეთში (კასერასი და ლოგროსანი), ოკეანიაში (ნაურუ).

ქ

ქალკანტიტი – Халкантит – Chalcantite – Chalkantit



ბერძნული სიტყვიდან „ქალკოს“ – სპილენძი, „ანტოს“ – ყვავილი. სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CuO-31.8; SO_3-32.1; H_2O-36$. სინგონია – ტრიკლინური, პინაკოიდის კლასი. კარგად განვითარებული კრისტალები ძალზე იშვიათია, ჩვეულებრივ გვხვდება ქერქების, თირკმლების, ნადენების, სტალაქტიტების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ცისფერი, ლურჯი, ზოგჯერ მომწვანო; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 2.-2.5; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 2.2-2.3;

ტექნადობა არასრული (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng-1.546; Nm-1.539; Np-1.516$. წყალში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ქალკოპირიტი, პირიტი. გვხვდება სპილენძის საბადოების ჟანგვით ზონებში. ტიპური მეორეული მინერალია. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი, ქვემო საქსონია), ესპანეთში, ჩილეში (ჩუკიკამატა), აზერბაიჯანში, საქართველოში (მადნეული).

ქალკოზინი – Халькозин – Chalcosine – Chalkosin



ბერძნულად „ქალკოს“ – სპილენძი. სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Cu - 79.8; S - 20.2$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. ახასიათებს ფირფიტისებრი, მოკლესვეტოვანი კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – ტყვიისებრი ნაცრისფერი; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – მუქი ნაცრისფერი; სიმგრე – 2.5-3; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 5.5-5.8; ტექნადობა ცუდი (110)-ის გასწვრივ. იხსნება აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: ქალკოპირიტი, ბორნიტი, პირიტი და სხვ. სპილენძის საბადოების ჟანგვის ზონის ტიპური მინერალი. საბადოები: გერმანიაში (ტიურინგი, აშშ-ში (მონტანა, ალასკა), ჩილეში, უზბეკეთში, ყაზახეთში (კოუნადრი), საქართველოში (მადნეული).

ქალკოპირიტი – Халькопирит – Chalkopyrite – Chalkopyrit



ბერძნული სიტყვებიდან „ქალკოს“ – სპილენძი, „პირ“ – ცეცხლი (ცეცხლოვანი სპილენძი). სულფიდების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Cu - 34.57; Fe - 30.54; S - 34.9$. სინგონია – ტეტრაგონული, სკალენოედრის კლასი. კრისტალები იშვიათია, უპირატესად გვხვდება მთლიანი მასების ან ჩანაწინწკლების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თითბრისებრი ყვითელი; ხაზის ფერი – მომწვანო-მოშავო; ელვარება – ლითონისებრი; სიმგრე – 3.5-4; მყიფე; სიმკვრივე – 4.1-4.3; ტექნადობა მკაფიო (201)-ის გასწვრივ. იხსნება აზოტმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: პირიტი, პიროტინი, სფალერიტი, გალენიტი, კვარცი, ფლუორიტი და სხვ. უპირატესად ჰიდროთერმული წარმოშობის მარლებში. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი, ვესტფალია), ნორვეგიაში, შვედეთში, იტალიაში, საფრანგეთში (ელზასი), აშშ-ში (პენსილვანია და სხვ). ჩილეში (ჩუკიკამატა), იაპონიაში.

ქალცედონი – Халцедон – Chalcedony – Chalcedon



ძველი ქალაქის ქალკედონის (მარმარილოს ზღვის სანაპიროზე) ბერძნული სახელწოდებიდან წარმოდგება. კვარცის ჯგუფის. ფარულკრისტალური მინერალია. გვხვდება აგრეგატების სახით (კონკრეციები, მტევნისებრი და სხვ.). ფიზიკური თვისებები: ფერი – ნაცრისფერი სხვადასხვა ელფერით. ფერის მიხედვით გამოყოფილია სხვადასხვაობები – ნარინჯისფერი ელფერის წითელი – სარდონი; ვაშლისებრი, ბალახისებრი მწვანე ან ზურმუხტისფერი – ქრისტოპრაზი; მუქი ხაზვისფერი მწვანე – პლაზმა; მუქი მწვანე წითელი ლაქებით – ჰელიოტროპი; მოწითალო-მორუხო – სარდერი; კონცენტრულზოლებიანი – აქატი; ზოლიანი – ონიქსი. ხშირად გამჭვირვალე, ზოგჯერ ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – აბრეშუმისებრი ან მინისებრი; სიმგრე – 7; მონატეხი ნიჟარისებრი, სიმკვრივე – 2.59-2.61. იხსნება ცხელ კალიუმის ტუტეში. გვხვდება ვულკანური ქანების სიცარიელებში; აგრეთვე სხვადასხვა მინერალის ფსევდომორფოზების სახით. პარაგენეტული მინერალები: კვარცი, ცეოლითები, კარბონატები. საბადოები: აშშ-ში (ორეგონი, მონტანა), ინდოეთში (დეკანის ზეგანი), სლოვაკეთში, ყირიმში, ციმბირში, საქართველოში.

ქარვა – Янтарь – Amber – Bernstein



სახელის წარმომავლობა უცნობია. ამორფული ნახშირწყალბადი. პალეოგენური ასაკის წიწვიანი ხეების განამარბებული ფისი. ფიზიკური თვისებები: ფერი – ცვილისფერიდან თაფლისფერ-ყვითლამდე; ნახევრად გამჭვირვალე, ზოგჯერ მღვრიე, სიმგრე – 2.-2.5; სიმკვრივე – 1.11;

მონატეხი ნიჟარისებრი. გვხვდება უსწორმასწორო ფორმის წარმონაქმნების სახით. იხსნება სპირტში. ქარვის პირველადი ბუდობები უკავშირდება ნახშირის საბადოებს, უპირატესად გვხვდება მდინარეულ და სანაპირო ზღვიურ ქვიშრობებში. საბადოები: ჩინეთში (ფუშუნი), აშშ-ში (ალიასკა), შორეულ აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის, შავი და ბალტიის ზღვების სანაპირო ქვიშრობებში.

ქიასტოლითი – Хиастолит – Chiastolite – Chiastolith




ბერძნული სიტყვიდან „ქიასტის“ – მშვენიერი, „ლითოს“ – ქვა. ანდალუზიტის მოწითალო-მოყავისფრო სახესხვაობა. გრაფიტის ჩანართები მასში განლაგებულია სექტორულად და ჭრილში ქმნიან ჯვრისებურ ფიგურას.

ქლორიტები – Хлориты – Peach – Chlorit

ბერძნული სიტყვიდან „ქლოროს“ – მწვანე. მინერალის ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია ისეთი მინერალები, როგორცაა: პენინი, კლინოქლორი, შამოზიტი. ქლორიტების ფერი – მწვანე, მინისებრი ელვარებით; ხაზის ფერი – მომწვანო ელფერის თეთრი; სიმაგრე – 2-2.5; სიმკვრივე – 2.5-3.3. ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ. ქანმაშენი მინერალია. გვხვდება პიროქსენებთან, ცირკონთან, მინდვრის შპატებთან, კვარცთან ერთად. მაგმურ, მეტამორფულ და დანალექ ქანებში.

ქრიზობერილი – Хризоберилл – Chrysoberyl – Chryzoberyll




ბერძნული სიტყვიდან „ქრიზოს“ – ოქრო „ბერილოს“ – ბივრილი. შპინელის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $BeO - 19.8$; $Al_2O_3 - 80.2$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება ფირფიტების, მოკლესვეტიანი კრისტალების სახით. იშვიათი მინერალია. ფიზიკური თვისებები: ფერი – ყვითლიდან ზურმუხტისფერ მწვანემდე, ქრომის შემცველ სახესხვაობას ეწოდება **ალექსანდრიტი**, რომელსაც დღის სინათლეზე მოცისფრო-მომწვანო, ხოლო ხელოვნურ განათებაზე – წითელი, ყოლოსფერი, მოიისფრო-მოწითალო, მომწვანო ტალღობრივი ციმციმის მქონეს კატისთვალს უწოდებენ. საიუველირო ქვაა. ხშირად გამჭვირვალეა, ზოგჯერ ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 8.5; მყიფე; სიმკვრივე – 3.6-3.84; ტკეჩადობა სრული (110)-ს გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.753$; $Nm - 1.747$; $Np - 1.744$. მჟავაში არ იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ტოპაზი, მთის ბროლი, ბივრილი, ფლუორიტი, შპინელი, გრანატი, ტურმალინი და სხვ. გვხვდება ქარსიან ფიქლებში და გრანიტულ პეგმატიტებში. საბადოები: ბრაზილიაში (მინას-ჟერაისში), შრი-ლანკაზე, მადაგასკარზე, რუსეთში (ურალი). გამჭვირვალე კრისტალები გამოიყენება საიუველირო ნაკეთობებში.

„ქრიზობერილი-ჰოუპი“ – „Хризоберилл-Хоуп“ – „Hope-Chrysoberylle“ – „Hope-Chrysoberyll“

მოყვითალო-მომწვანო, თითქმის სფერული ფორმის ქრიზობერილი, რომელსაც ბრილიანტის დაწახნაგება აქვს, მისი მასა 65 კარატი, ექსპონირებულია საბუნებისმეტყველო ისტორიის ბრიტანეთის მუზეუმის მინერალოგიის მუზეუმში.

ქრიზოკოლა – Хризоколла – Chrysocolla – Chrysokolla



ბერძნული სიტყვიდან „ქრიზოს“ – ოქრო, „კოლა“ – წებო (ადრე გამოიყენებოდა ოქროს სარჩილვად). ბივრილის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა ცვალებადია. ფარულკრისტალური ან ამორფული. გვხვდება გელის ან ოპალის მსგავსი აგრეგატების სახით (ქერქები, ნადენები წანაცხებები). ფერი – ზურმუხტისებრი მწვანე; ნახევრად გამჭვირვალე, ხაზის ფერი ბაცი მწვანე; ელვარება – ცხიმისებრი ან მინისებრი; სიმაგრე – 2.0-4.0; მყიფე; მონატეხი ნიჟარისებრი, სიმკვრივე – 1.9-2.3. მარილმჟავაში იხსნება. დაჟანგვის ზონის მეორეული

მინერალია. პარაგენეტული მინერალები: მალაქიტი, აზურიტი, კუპრიტი. საბადოები: ინგლისში (კორნუოლი), ჩილეში (კოკიმბო). გამოიყენება როგორც სანახელავო ქვა.


ქრიზოლითი – Хризолит – Chrysolite – Chrusolith

ოლივინის გამჭვირვალე სახესხვაობა, საიუველირო ხარისხის. ფერი – ღია-მწვანე, მოიპოვება მეწამული ზღვის კუნძულებზე, ბირმაში.

ქრიზოპრაზი – Хризопраз – Chrysoprase – Chrysopras


ბერძნული სიტყვებიდან „ქრიზოს“ – ოქრო, „პრაზო“ – პრასი. ქალცედონის სხვადასხვა ელფერის მწვანე ფერის სახესხვაობა, სიმწვანე განპირობებულია ქრომის შენაერთის არსებობით. სანახელავო ქვაა.

ქრიზოტილი – Хризотил – Chrysolite – Chrisotil



ბერძნული სიტყვებიდან „ქრიზოს“ – ოქრო, „ტილოს“ – ბოჭკო. სერპენტინის ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO - 43.0; SiO_2 - 44.1; H_2O - 12.9$. სინგონია გვხვდება როგორც რომბული, ისე მონოკლინური. ძირითადად გვხვდება ბოჭკოებით აგებული მასიური წარმონაქმნების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მონაცრისფრო-მოცისფრო, მონაცრისფრო-მოყვითალო, იისფერი, მოლურჯო ან მომწვანო; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი ან ნაცრისფერი; ელვარება – აბრეშუმისებრი, სიმაგრე – 3-4; მონატეხი – უსწორმასწორო; სიმკვრივე – 2.3-2.5. ცეცხლგამძლე; მჟავაში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ოლივინი, ტალკი, ბრუსიტი და სხვ. საბადოები: გერმანიაში (ტიურინგია), ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში (კვებეკი), აშშ-ში, რუსეთში (ურალი, ტუვა).

ქრომშპინელიდები – Хромшпинелыды – Chromospinelide – Chrom-Spinelle



ამ ჯგუფის მინერალები ბუნებაში გვხვდება ერთნაირ პირობებში და იმდენად გვანან ერთმანეთს, რომ მათი გარჩევა მხოლოდ ქიმიური ანალიზით ხერხდება. პრაქტიკაში მათ „ქრომიტები“ ეწოდება. შედგენილობის მიხედვით არჩევენ: საკუთრივ ქრომიტი – $FeCr_2O_4$, მაგნოქრომიტი – $(Mg, Fe)Cr_2O_4$, ალუმინქრომიტი – $Fe(Cr, Al)_2O_4$ და ქრომპიკრიტი – $(Mg, Fe)(Cr, Al)_2O_4$. ქრომიტები პირველად აღმოაჩინეს ურალში (1799წ.). ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Cr_2O_3 - 18 - 62; FeO - 0 - 18; MgO - 6 - 16; Al_2O_3 - 0 - 33$. სინგონია – კუბური, ჰექსაეტეტრაედრის კლასი. გვხვდება ოქტაედრული კრისტალების სახით, უფრო ხშირად კი მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – შავი; ნახევრად გამჭვირვალეა მხოლოდ თხელ ფირფიტებში; ხაზის ფერი – რუხი; ელვარება – ლითონისმაგვარი; სიმაგრე – 5.5-7.5; სიმკვრივე – 4.0-4.8; ზოგს ახასიათებს სუსტი მაგნიტურობა. ისინი უკავშირდებიან მხოლოდ ულტრაფუძე ინტრუზულ მაგმურ ქანებს. ის ქრომის ერთადერთი მადანია. საბადოები: რუსეთში (ურალი), როდეზიაში, თურქეთში, კ. კუბაზე.

ქსენოტიმი – Ксенотим – Xenotime – Xenotim



ბერძნული სიტყვებიდან „ქსენოს“ – უცხო, „ტიმი“ – მიხნევა (უცხოდ მიხნეული). ფოსფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Y_2O_3 - 63.1$. სინგონია – ტეტრაგონული, დიტეტრაგონული დიპირამიდის კლასი. გვხვდება პრიზმის ფორმის მქონე კრისტალების სახით (ძალიან ჩამოჰგავს ცირკონს). იშვიათი მინერალია, იტრიუმის მადანია. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყვითალო, მოყავისფრო, მოწითალო, იშვიათად მწვანე; არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი, იშვიათად მოწითალო; ელვარება – ცხიმოვანი; მონატეხი ხიწვოვანი, სიმაგრე – 4-5.5.

მყიფე; სიმკვრივე – 4.4-5.1. ტკეჩალობა სრული (100)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი – $Ng - 1.815; Nm - 1.720$. პარაგენეტული მინერალები: ილმენიტი, რუტილი, ჰიაცინტი, ცირკონი, მონაციტი და სხვ. აქცესორული მინერალია. გვხვდება – გრანიტებში, აპლიტებში, გრანიტულ პეგმატიტებში და ნეფელინიან სიენიტებში. საბადოები: ნორვეგიაში, შვედეთში, პოლონეთში, შვეიცარიაში, მადაგასკარზე, რუსეთში (ურალი).

უ

შაბაზიტი – Шабазит – Chabazite – Chabasit



ბერძნული სიტყვიდან „შაბასიოს“ – ქვა. ცეოლითების ჯგუფის მინერალი. სინგონია – ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. კრისტალების იერი ფსევდოკუბური, ხშირად გვხვდება ცერცვისებრი მარცვლების ფორმის სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი მოწითალო ან მოყავისფრო ელფერით; უმეტესად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება მინისებრი; სიმაგრე – 4.5; მყიფე; ტკეჩალობა აშკარა (1011)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი – $Ng - 1.480 - 1.490; nm - 1.478 - 1.485$. მჟავაში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ცეოლითები, კალციტი, ალბიტი, ფლუორიტი, ეპიდოტი, ანალციმი და სხვ. გვხვდება დაბალტემპერატურულ ჰიდროთერმულ წარმონაქმნებში. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი), ჩეხეთში, აშშ-ში, ახალ ზელანდიაში.

„შაჰი“ – „Шах“ – „Shah“ – „Schah“

XVI ს. ბოლოს ინდოეთში ნაპოვნი ალმასის სახელწოდება, თითქმის უფერო, ბაცი ყვითელი ელფერით. მასა 88.7 კარატი (თავდაპირველად 95 კარატი). ალმასი ამკობდა სპარსეთის შაჰების „ფარშეევანგის“ ტახტს. ა. გრიბოედოვის მკვლელობის მოსანანიებლად მიართვეს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, ამჟამად ინახება რუსეთის ალმასის ფონდში.

„შაჰი-აკბარი“ – „Шах-Акбар“ – „Shah-Akbar“ – „Akbar-Schah“

ინდოეთში ნაპოვნი ალმასი, თავდაპირველი მასა 119 კარატი, ბრილიანტის მასა 71.7 კარატი.

შეელიტი – Шеелит – Scheelite – Scheelit



უწოდეს შვედი ქიმიკოსის პატივსაცემად. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 19.4; WO_3 - 80.6$. სინგონია ტეტრაგონული, დიპირამიდის კლასი. უპირატესად ახასიათებს ფსევდოოქტაედრები (დიპირამიდები), ხშირია მარცვლოვანი მასებიც. ფიზიკური თვისებები: ფერი – მონაცრისფრო-მოთეთრო ყვითელი, ყავისფერი მოწითალო ელფერით; ნახევრად გამჭვირვალე, იშვიათად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – ცხიმოვანი, ალმასურამდე; სიმაგრე – 4.5-5; მყიფე; სიმკვრივე – 5.9-6.1; ტკეჩალობა აშკარა (101)-ის, ხოლო არასრული (112)-ის გასწვრივ, გარდატეხის მაჩვენებელი $Ng - 1.937; Nm - 1.320$. იხსნება მარილმჟავასა და აზოტმჟავაში. ახასიათებს მოცისფრო-მოთეთრო ლუმინესცენცია. პარაგენეტული მინერალები: ჰემატიტი, ვოლფრამიტი, მოლიბდენიტი, კვარცი. გვხვდება სკარნებში, კვარცის ძარღვებში. საბადოები: გერმანიაში (მადნიანი მთები), ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და სხვ.

შერლი – Шерл – Schorl – Schörl

ძველგერმანული სიტყვიდან „შორ“ – ფუჭი ქანი. მინერალ ტურმალინის შავი სახესხვაობა. გვხვდება გერმანიაში (ჰარცი), ნორვეგიაში; შვედეთში (გიგანტური კრისტალები), აშშ-ში, ნამიბიაში, რუსეთში (ირკუტსკი, კარელია), ყაზახეთსა და სხვ.

შპინელი – Шпинель – Spinel – Spinell




ლათინური სიტყვიდან „შპინელა“, მცირე ეკალი. ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MgO - 28.2$; $Al_2O_3 - 71.8$. სინგონია – კუბური, ჰექსატეტრაედრის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება იდიომორფული კრისტალების სახით, ხშირად კი მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – წითელი, ვარდისფერი, იისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი, მწვანე, შავი; ფერადი გამჭვირვალე სახესხვაობები ძვირფასი ქვაა; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 8; სიმკვრივე – 3.53-3.65; ტკეჩალობა არასრული (111)-ის გასწვრივ. მონატეხი ნიჟარისებრი. მჟავაში არ იხსნება, პარაგენეტული მინერალები: გრანატი, რუბინი, საფირონი, ცირკონი. გვხვდება როგორც აქცესორული მინერალი ფუძე ქანებში, სკარნებსა და მეტამორფულ ქანებში. საბადოები: საფრანგეთში (ზემო გარონა), შვედეთში, ფინეთში, შრი-ლანკაზე, ზემო ბირმაში, შუა აზიაში (პამირში).

„შუალამის ვარსკვლავი“ – „Звезда полуночи“ – „Midnight Star“ – „Mitternachts-Stern“

შავი ვარსკვლავური ციალის მქონე საფირონი. მასა – 116 კარატი. ამჟამად ინახება ბუნებისმეტყველების ეროვნულ მუზეუმში, ნიუ-იორკში (აშშ).

ჩ

ჩაროიტი – Чароит – Charoite – Charoit



სახელი წარმოდგება მდ. ჩარას (ციმბირი) სახელწოდებიდან. სინგონია – მონოკლინური. ფიზიკური თვისებები: ფერი – ლილისფრიდან იისფრამდე; სიმაგრე – 6; სიმკვრივე – 2.84; ტკეჩალობა სრული (001)-ის გასწვრივ. გვხვდება მჭიდრო მასების ან წვრილობოჭკოვანი აგრეგატების სახით. მჟავაში არ იხსნება. კალიუმით გამდიდრებული მეტასომატიტების ქანმაშენი მინერალი. საბადო: რუსეთში (მდ. ჩარა, აღმოს. ციმბირი). სანახელავო ქვაა.


ც

ცელესტინი – Целестин – Celestine – Coelestin



ლათინური სიტყვიდან „ცელესტის“ – ცისფერი. სულფატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $SrO - 56.4$; $SO_3 - 43.6$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება ფირფიტების, სვეტისებრი, პრიზმული კრისტალების სახით (ჰგავს ბარიტს). ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, უფერო, ცისფერი, მოწითალო, მოყვითალო; გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 3-3.5; მყიფე; მონატეხი ნიჟარისებრი; სიმკვრივე – 3.9-4.0; ტკეჩალობა სრული (001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $N_g - 1.631$; $N_m - 1.624$; $N_p - 1.622$. იხსნება კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: კალციტი, არაგონიტი, თაბაშირი, ფლუორიტი და სხვ. გვხვდება ქემოგენურ დანალექ ქანებში. საბადოები: გერმანიაში (ჰესენი), სლოვაკეთში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში (გრენადა), იტალიაში (სიცილია), აშშ-ში (ტენესი), ეკვატორში, ბულგარეთში, შუა აზიასა და სომხეთში.

ცელზიანი – Цельзиан – Celsian – Celsian



სახელი უწოდეს შვედი ასტრონომისა და ბუნებისმეტყველის ა. ცელზიუსის პატივსაცემად. ჰიალოფანების ჯგუფის მინერალი. იშვიათია. სინგონია – მონოკლინური. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, წყლისფერი, ზოგჯერ მოყვითალო, მომწვანო ელფერით. გამჭვირვალე, ზოგჯერ ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 6-6.5; სიმკვრივე – 3.3-3.4; ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.592; Nm - 1.586; Np - 1.582$. პარაგენეტული მინერალები: მინდვრის შპატები. საბადოები: შვედეთში, აშშ-ში (ალიასკა), შვეიცარიაში (ვალისი), ავსტრალიაში, იაპონიაში, ნამიბიაში, რუსეთში (სლუდიანკა).

ცეოლითები – Цеолит – Zeolite – Zeolithe

ბერძნული სიტყვებიდან „ზეს“ – ველდები, „ლითოს“ – ქვა (გახურებისას გამოყოფს წყალს, თითქოს ქვა დულს). ამ ჯგუფში გაერთიანებულია წყლიანი ალუმინსილიკატები: ბოჭკოვანი ცეოლითები – ნატროლითი ($Na_2[Al_2Si_3O_{10}] \cdot 2H_2O$), თომსონიტი ($Na, Ca_2[Al_5Si_5O_{20}] \cdot 6H_2O$), ლიმონტიტი ($Ca_4[AlSi_{16}O_{18}] \cdot 16H_2O$) და სხვა; ფურცლოვანი ცეოლითები – ჰეილანდიტი ($Ca[Al_2Si_7O_{18}] \cdot 6H_2O$) და სხვა; იზომეტრული ცეოლითები: შაბაზიტი ($Ca, Na[AlSi_2O_6]_2 \cdot 6H_2O$), ფილიპსიტი ($K_2Ca[Al_3Si_5O_{16}] \cdot 6H_2O$), ჰარმოტომი ($Ba, K[Al_2Si_6O_{16}] \cdot 6H_2O$) და სხვა. წარმოშობა ჰიდროთერმული, ეგზოგენური. გავრცელებული მინერალია. ზოგჯერ ქანმაშენი.

ცერუსიტი – Церусит – Cerussite – Cerussit



ძველ ბერძნულ-ლათინურად „ცერუსა“ – თეთრი. კარბონატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $PbO - 83.5; CO_3 - 16.5(PI - 77.5)$. სინგონია – რომბული, დიპირამიდის კლასი. გვხვდება პირამიდული კრისტალების სახით (იშვიათად) უფრო გავრცელებულია მთლიანი მარცვლოვანი მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, თეთრი, მოყვითალო-მოთეთრო; ნახევრად გამჭვირვალედან გამჭვირვალემდე, ხაზის ფერი – თეთრი, ელვარება – ცხიმოვანი; სიმაგრე – 3-3.5. სიმკვრივე – 6.4-6.6; ტკეჩადობა კარგი (010)-ის და (110)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 2.078; Nm - 2.076; Np - 1.804$. მარილმჟავაში იხსნება. კათოდურ სხივებში ციმციმებს ღია მომწვანო-მოცისფროდ. პარაგენეტული მინერალები: ანგლეზიტი, მალაქიტი და სხვა. გვხვდება ტყვიის საბადოების ჟანგვის ქუდში. საბადოები: გერმანიაში (ეიფელი), ავსტრალიაში, კონგოში, აშშ-ში (არიზონა), ყაზახეთში, რუსეთში (ალტაი).

ცინკიტი – Цинкит – Zinkite – Zinkit



სახელი წარმოდგება ქიმიური ელემენტის სახელიდან. ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Zn - 80.3; O - 19.7$. სინგონია – ჰექსაგონური, დიჰექსაგონური პირამიდის კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – კაშკაშა წითელი, მოყავისფრო-მოწითალო; გამჭვირვალე, ზოგჯერ არაგამჭვირვალე; ხაზის ფერი – წითელი; ელვარება – ალმასისმაგვარი; სიმაგრე – 4.5-5; სიმკვრივე – 5.4-5.7; ტკეჩადობა სრული (0001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 2.029; Nm - 2.013$. მჟავაში იხსნება. პარაგენეტული მინერალები: ვილემიტი, კალციტი, გრანატი და სხვ. საბადოები: პოლონეთში, იტალიაში (ტოსკანა), აშშ-ში (ნიუ-ჯერსი).

ცირკონი – Циркон – Zircon – Zirkon




სახელი უწოდეს ქიმიური ელემენტის მიხედვით (თვით ელემენტის სახელი წარმოდგება სპარსული სიტყვიდან „ცარ“ – ოქრო და „გუნ“ – ფერი). ქიმიური შედგენილობა %-ობით: $\text{SiO}_2 - 32.9$; $\text{ZrO}_2 - 67.7$; ($\text{Zn} - 49.5$); სინგონია – ტეტრაგონული, დიტეტრაგონული-დიპირამიდის კლასი. უმეტესად გვხვდება კარგად განვითარებული სვეტოვანი, პრიზმული, დიპირამიდების ფორმის კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყვითალო, მოწითალო-მოყავისფრო, ნარინჯისფერი, იისფერი; უმეტესად გამჭვირვალეა; საზის ფერი – თეთრი; ელვარება – ძლიერ ალმასისებრი; სიმაგრე – 7.5; სიმკვრივე – 4.6-4.7; ტკეჩადობა არასრული (100)-ის გასწვრივ. მჟავებიდან მოქმედებს მხოლოდ გოგირდმჟავა. ჩვეულებრივ რადიოაქტიურია. წარმოშობა მაგმური, გვხვდება გრანიტებში, სიენიტებში, აქცესორული მინერალია. პარაგენეტული მინერალები: მინდვრის შპატები, აპატიტი, კვარცი და სხვ. საბადოები: ნორვეგიაში, აშშ-ში, რუსეთში (ურალი), მადაგასკარსა და სხვ.

ციტრინი – Цитрин – Citrine – Zitrin



ლათინური სიტყვიდან „ციტრიუს“ – ლიმონის ხე. კვარცის ყვითელი სახესხვაობა. საბადოები: ბრაზილიაში, მადაგასკარზე. გამოიყენება როგორც საიუველირო ქვა.


ციოზიტი – Цоизит – zoisite



სინონიმი – სოსიურიტი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $\text{CaO} - 24.6$; $\text{Al}_2\text{O}_3 - 33.90$; $\text{SiO}_2 - 39.50$; $\text{H}_2\text{O} - 2.0$. სინგონია – რომბული, რომბო-დიპირამიდული კლასი. ჩვეულებრივ გვხვდება ჩხირისებრი ან მარცვლოვანი აგრეგატების სახით. კრისტალი პრიზმული. ჩვეულებრივ კრისტალთა წახნაგები ძლიერ დაშტრიხულია. ფიზიკური თვისებები: ფერი: ნაცრისფერი, მწვანე, ზოგჯერ ვარდისფერი, წითელი, მურა. ელვარება: მინისებრი. გარდატეხის მაჩვენებელი 1.69-1.702. სიმაგრე – 6. სიმკვრივე – 3.25-3.36. ტკეჩადობა: {010}-ის მიმართ სრული და {100}-ის მიმართ არასრული. მჟავაში არ იხსნება. წინასწარი გახურების და შეღებვის შემდეგ HCl-თან კაჟმიწის კოლოიდს იძლევა. პარაგენეტული მინერალები: გვხვდება ამფიბოლებთან ასოციაციაში, სულფიდურ საბადოებში პიროტინთან, ქალკოპირიტთან და სხვა. საბადოები: პირველად ნაპოვნია ზაულ-ალპებში (კარინთია). იურმის მთაზე (ურალი), ალტაისა და სხვაგან.

ძ

ძოწი



წითელი ფერის მარჯანი. საიუველირო ქვა. შედგენილობით კალციუმის კარბონატი CaCO_3 - 88%, დანარჩენს MgCO_3 , Fe_2O_3 და ორგანული ნივთიერება 1-3% შეადგენს. სიმაგრე – 3-4, სიმკვრივე – 2,6-2,7, მონატეხი უსწორმასწორო, ხიწვისებრი. აგრეგატები – მიკროკრისტალური, არაგამჭვირვალე, სინათლის გარდატეხა – 1,486–1,658, ორმაგი გარდატეხა – 0,172, ფერი წითელი, ვარდისფერი, თეთრი, შავი, ლურჯი. მარჯანი ნაწლავდრუიანთა ტიპის ანთოპოების ანუ „ყვავილა ცხოველების“ კლასს ეკუთვნის. სასამკაულე ქვად გამოყენებულ მარჯანს წარმოქმნის ექვსქიმი. არის მარჯანის პოლიპები – გორგონარიები (გორგონიდები). პოლიპების სიკვდილის შემდეგ მათ კირქვიან ჩონჩხზე თავსდება ახალი თაობა და ასე წარმოიქმნება პოლიპების „განტოტებული“ კოლონია, ამიტომ მარჯანი გარეგნულად მცენარის ტოტს მოგვაგონებს. ე.წ. კეთილშობილი მარჯანების „ტოტის“ სიმაღლე ჩვეულებრივ 20-40სმ-ია, ხოლო განივი კვეთი

განტოტების ძირთან – 4-5სმ-ს შეადგენს. საბადოები: წითელი მარჯანი გვხვდება ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში იტალიის, ალჟირის, მაროკოს ნაპირებთან, წითელ ზღვაში, აგრეთვე იაპონიის, მალაის არქიპელაგის, ავსტრალიის ნაპირებთან, წყნარ ოკეანეში (ჰავაის კუნძულების რაიონი).

ჰ

ჰაიუინი – Гаюин – Hauyne – Hauyn (Na_6Ca)[$AlSiO_4$]₆[SO_4]

სახელი უწოდეს ფრანგი მინერალოგის რ. ჰაიუს პატივსაცემად. სოდალითის ჯგუფის მინერალი. სინგონია – კუბური. ჰექსაოქტაედრის კლასი. იშვიათი მინერალი. გვხვდება დოდეკაედრების, ოქტაედრების, კუბების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – ნაცრისფერი, ცისფერი, მომწვანო-მოლურჯო; ხაზის ფერი – თეთრი ან ცისფერი; ელვარება – მინისებრი, ცხიმოვანი; სიმაგრე – 5-6; მყიფე; სიმკვრივე – 2.44-2.50; ტკეხადობა მკაფიო დოდეკაედრის წახნაგების გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი $N-1.495$. იხსნება მარილმჟავაში. გვხვდება ფონოლითებში, ნეფრიტებში, ბაზანიტებსა და სხვ. პარაგენეზული მინერალები: სოდალითის ჯგუფის მინერალები, ავგიტი, ლეიციტი და სხვ. საბადოები: გერმანიაში, იტალიაში (ვეზუვი), მაროკოში, აშშ-ში, სომხეთში, პამირში.

ჰალიტი – Галит – Halite – Halit $NaCl$

ბერძნული სიტყვიდან „ჰალოს“ – ზღვის მარილი. ჰალოგენების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Na-39.4$; $Cl-60.6$. სინგონია – კუბური, ჰექსაოქტაედრის კლასი. უპირატესად გვხვდება ჰექსაედრების სახით, ძალზე ხშირია მარცვლოვანი მჭიდრო მასები. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, თეთრი, მოცისფრო; ნახევრად გამჭვირვალე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – ცხიმოვანი; სიმაგრე – 2; მყიფე; სიმკვრივე – 2.1-2.2. ტკეხადობა იდეალური (100)-ის გასწვრივ. მონატეხი ნიჟარისებრი. გარდატეხის მაჩვენებელი – $N-1.544$. იხსნება წყალში. აქვს მლაშე გემო. თბოგამტარია. პარაგენეზული მინერალები: ანჰიდრიტი, თაბაშირი, სილვინი, დოლომიტი. წარმოშობა უპირატესად დანალექი. გავრცელებულია როგორც აუტიგენური მინერალი. საბადოები: გერმანიაში (ბავარია, ჰესენი), პოლონეთში (ველიჩკა), ეგვიპტეში (სუეტი), სოლიკამსკში, არტემოვსკში, სომხეთში (ალზევანი).

ჰალუაზიტი – Галлуазит – Halloysite – Halloysit $Al_4[Si_4O_{10}][OH]_8 \cdot 4H_2O$

სახელი უწოდეს ბულგარელი გეოლოგის ო. ჰალუას პატივსაცემად. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Al_2O_3-34.7$; $SiO_2-40.8$; $H_2O-24.5$. სინგონია – მონოკლინური. ახასიათებს ულტრამიკროსკოპული კრისტალები და მჭიდრო მთლიანი აგრეგატები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი მომწვანო ან მოცისფრო ელფერით. ელვარება – ცვილისებრი; სიმაგრე – 1-2; სიმკვრივე – 2.0-2.2; ნაწილობრივ იხსნება მჟავასა და ტუტეში. ეწეება ენას. მეორეული მინერალის სახით გვხვდება მადნიან ძარღვებში. საბადოები: გერმანიაში (ჩრდ. ვესტფალია), ბელგიაში (ლიეჟი), რუსეთში (ურალი).

ჰარმოტომი – Гармотом – Harmotome – Harmotom

ბერძნული სიტყვიდან „ჰარმოს“ – ნაკერი, „ტომე“ – ვჭრი, მრჩობლებს ახასიათებს თავისებური საფეხური, რომელიც ამოჭრილ ნაკერს ჩამოჰგავს. ცეოლითების ჯგუფის მინერალი. სინგონია – მონოკლინური. ახასიათებს პრიზმული კრისტალები. ფიზიკური თვისებები: ფერი – თეთრი, რძისფერი, ნაცრისფერი, ვარდისფერი; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 4.5; მყიფე;

სიმკვრივე – 2.41-2.45. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.508; Nm - 1.505; Np - 1.503$.

პარაგენეტული მინერალები: ბარიტი, კალციტი, კვარცი და სხვ. ტკეჩალობა კარგი (010)-ის გასწვრივ. იხსნება მარილმჟავაში. გვხვდება ჰიდროთერმულ ძარღვებში. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი), ჩეხეთში, ნორვეგიაში, რუსეთში (აღმ. ციმბირი).

ჰაუსმანიტი – Гаусманит – Hausmannite – Hausmanit




სახელი უწოდეს გერმანელი მინერალოგის ი. ჰაუსმანის პატივსაცემად. ჟანგულების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $MnO - 62.0; MnO_2 - 38.0 (Mn - 72.0)$. სინგონია – ტეტრაგონული, დიტეტრაგონული დიპირამიდის კლასი. ჩვეულებრივ გავრცელებულია მარცვლოვანი აგრეგატების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – მოყავისფრო-მოშავო; ხაზის ფერი – ყავისფერი; ელვარება – ლითონისებრი; სიმაგრე – 5-5.5; მყიფე; სიმკვრივე – 4.7-4.8; ტკეჩალობა სრული (001)-ის გასწვრივ. პარაგენეტული მინერალები: ბრაუნიტი, მაგნეტიტი, ბარიტი, ჰემატიტი, პსილომელანი და სხვ. გვხვდება მაღალტემპერატურულ ჰიდროთერმულ ძარღვებში. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი), შვედეთში (ნორდმარკი), რუსეთში (ურალი).

ჰედენბერგი – Геденбергит – Hedenbergite – Hedenbergit



სახელი უწოდეს ქიმიკოს ლ. ჰედენბერგის პატივსაცემად. პიროქსენების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 22.2; FeO - 29.4; SiO_2 - 48.4$. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება მოკლე პრიზმული, სვეტოვანი, სხივოსნური კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – შავი, ზოგჯერ მომწვანო; ხაზის ფერი – მონაცისფრო-მომწვანო; ელვარება – მინისებრი; სიმაგრე – 5-6; სიმკვრივე – 3.5-3.67; ტკეჩალობა კარგი (110)-ის გასწვრივ; ახასიათებს აგრეთვე განწევრება (010)-ის და (100)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.757; Nm - 1.745; Np - 1.739$. იხსნება ფტორის მჟავაში. გვხვდება ძირითადად მაგურ ქანებში. პარაგენეტული მინერალები: მაგნეტიტი, პირიტი, კალციტი, გრანატები და სხვ. საბადოები: შვედეთში (ვერმლანდი), რუსეთში (ურალი), უზბეკეთში.

ჰეილანდიტი – Геилландит – Heulandite – Heulandit



სახელი უწოდეს მინერალების ინგლისელი კოლექციონერის გ. ჰეილანდის პატივსაცემად. ცეოლითების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $CaO - 9.2; Al_2O_3 - 16.8; SiO_2 - 59.2; H_2O - 14.8$. სინგონია – მონოკლინური, პრიზმის კლასი. კრისტალები იზომეტრიული ან ფირფიტოვანია. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, სხვადასხვა ელფერის თეთრი; ნახევრად გამჭვირვალე, გამჭვირვალემდე; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება სადაფისებრი, მინისებრი; სიმაგრე – 3.5-4; მყიფე; სიმკვრივე – 2.1-2.2; ტკეჩალობა ფრიად სრული (010)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng - 1.505; Nm - 1.499; Np - 1.498$. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეტული მინერალები: სხვა ცეოლითები, გრანატი, აქსინიტი. საბადოები: გერმანიაში (ჰარცი), ნორვეგიაში, ინდოეთში (ბომბეისთან), აშშ-ში, კანადაში, რუსეთში (კრასნოიარსკი), საქართველოში (ახალციხე).

ჰელიოდორი – Гелиодор – Helidor – Heliodor

ბერძნული სიტყვებიდან „ჰელიოს“ – მზე, „დორ“ – ძვენი. ბივრილის ოქროსფერ-ყვითელი სახესხვაობა, ზოგჯერ მომწვანო. საიუველირო ქვა გვხვდება ნორვეგიაში, ავსტრალიაში, აშშ-ში საქართველოსა (ძირულის მასივში) და სხვ.

ჰელიოტროპი – Гелиотроп – Bloodstone – Heliotrop

ბერძნული სიტყვიდან „ჰელიოს“ – მზე, „ტროპე“ – მობრუნება (აღრე მიიჩნევენ, რომ ქვას შეუძლია „აბრუნოს მზე“). ქალცედონის მუქი მწვანე სახესხვაობა სისხლისფერი წითელი ლაქებით. საიუველირო ქვაა.

ჰემატიტი – Гематит – Hematite – Hematit



ბერძნული სიტყვიდან „ჰემა“ – სისხლი. ჟანგეულების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $Fe-70.0; O-30.0$. სინგონია – ტრიგონული, დიტრიგონული სკალენოედრის კლასი. უპირატესად გვხვდება მასიური აგრეგატების სახით (მტევნები, თირკმლები). ფიზიკური თვისებები: ფერი - მონაცრისფრო-მოფოლადისფროდან მოწითალო-მორუხომდე. საზის ფერი - ალუბლისფერი წითელი; ელვარება – ნახევრად ლითონისებრი; სიმკვრივე – 5.5-6.5; მყიფე; სიმკვრივე – 4.9-5.3. მონატეხი ნახევრად ნიჟარისებრი. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეზული მინერალები: კვარცი, ილმენიტი, მაგნეტიტი, ბარიტი და სხვ. საბადოები: ავსტრიაში (ალპური ტიპის მარლები), შვეიცარიაში, ბრაზილიაში, იტალიაში (კ. ელბა), რუსეთში (კრივოი როვი, ჩრდ. ურალში).

ჰემიმორფიტი – Гемиморфит – Hemimorphite – Hemimorphit

[კალამინი-Каламин-Calamine-Calamin]



კრისტალების ჰემიმორფული ხასიათის გამო (ლათინური სიტყვიდან „კალამოს“ – მილი, ლერწამი კრისტალის ფორმის გამო). სილიკატების ჯგუფის მინერალი. ქიმიური შედგენილობა %-ობით: $ZnO-67.5; SiO_2-25.0; H_2O-7.5$. სინგონია – რომბული, პირამიდის კლასი. გვხვდება ფირფიტების, სტალაქტიტების და მარცვლოვანი სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – უფერო, თეთრი, მონაცრისფრო; ნახევრად გამჭვირვალე ან არაგამჭვირვალე, საზის ფერი – თეთრი; ელვარება – ძლიერი მინისებრი, სადაფისებრი; სიმკვრივე – 5; მყიფე; სიმკვრივე – 3.3-3.5. ტკეჩადობა სრული (110)-ის და კარგი (011)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng-1.636; Nm-1.617; Np-1.614$. იხსნება მჟავაში. პარაგენეზული მინერალები: გალენიტი, სფალერიტი, კალციტი, ცერუსიტი და სხვ. მეორეული მინერალია, გვხვდება ტყვია-თუთიის სულფიდური საბადოების დაჟანგვის ზონაში. საბადოები: გერმანიაში (აახენტან), პოლონეთში, ავსტრიაში, აშშ-ში, რუსეთში (ჩიტა, ალტაი), ყაზახეთში.

ჰესონიტი – Гессонит – Hessonite – Hessonit

ბერძნული სიტყვიდან „ჰესონ“ – უფრო დაბალი ხარისხის (ნაკლები ღირებულების). რკინის შემცველი გროსულარი. ქარვისფერი. საიუველირო ქვა.

ჰიალოფანი – Гиалофан – Hyalophane – Hyalophan




ბერძნული სიტყვიდან „ჰიალოს“ – მინა, „ფანი“ – მსგავსი (მინის მსგავსი). მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალი. სინგონია მონოკლინური, პრიზმის კლასი. ფიზიკური თვისებები: ფერი - უფერო, თეთრი; ნახევრად გამჭვირვალე, საზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი; სიმკვრივე – 6-6.5; სიმკვრივე – 3.38; ტკეჩადობა სრული (001)-ის გასწვრივ. გარდატეხის მაჩვენებელი: $Ng-1.540; Nm-1.538; Np-1.535$. პარაგენეზული მინერალები: დიოპსიდი, კალციტი, აპატიტი და სხვ. გვხვდება მანგანუმის საბადოებში. საბადოები: შვეიცარიაში, შვედეთში, დასავლეთ აფრიკაში, დასავლეთ ბოსნიაში, ავსტრალიაში, რუსეთში (სლუდიანკა).

ჰიაცინტი – Гиацинт – Jacinth – Hyacinth

სახელი უწოდეს ყვავილის (სუმბულის) ფერებთან მსგავსების გამო. მინერალ ცირკონის მოყვითალო-მოწითალო ან მოწითალო-მოყავისფრო ფერის სახესხვაობა.

ჰიპერსტენი – Гиперстен – Hypsthene – Hypersthen



ბერძნული სიტყვებიდან „ჰიპერ“ – ზე, „სტენოს“ – სიმაგრე (ძალზე მაგარი). პიროქსენების ჯგუფის მინერალი. სინგონია რომბული, დიპირამიდის კლასი. კრისტალები იშვიათია, ჩვეულებრივ გვხვდება მჭიდრო მასების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი – სპილენძისფერ წითელი, იისფერი, ყავისფერი, ზოგჯერ მომწვანო; ხაზის ფერი – თეთრი; ელვარება – მინისებრი, სადაფისებრი; სიმაგრე – 5-6; სიმკვრივე – 3.35-3.80; ტკეჩადობა კარგი (110)-ის გასწვრივ. მარილმჟავაში იხსნება ნაწილობრივ პარაგენეზული მინერალები: კვარცი, ალმანდინი. გვხვდება ულტრაფუძე ქანებში. საბადოები: გერმანიაში, კანადაში, ირანში, ინდოეთში, რუსეთში.

„ჰოუპი“ – „Хоуп“ – „Hope“ – „Hope“

ლურჯი საფირონის ფერის ალმასის სახელწოდება, დაწახნაგების შემდეგ მისი მასაა 44.4 კარატი. ნაპოვნია ინდოეთში 1668 წ. შემდეგ შეისყიდა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-მ. საფრანგეთის რევოლუციის (1789-94წწ.) შემდეგ აღმოჩენილ იქნა დიდ ბრიტანეთში. 1958 წელს აჩუქეს სმიტსონის ინსტიტუტს, ვაშინგტონში.

ჰიუბნერიტი – Гюбнерит – Manganowothramite – Hubnerit



სახელი უწოდეს ფრაიბერგის ინჟინრის ა. ჰიუბნერის პატივსაცემად. ვოლფრამიტის ჯგუფის მინერალი. სინგონია - მონოკლინური, პრიზმის კლასი. გვხვდება პრიზმული, ნემსისებრი კრისტალების სახით. ფიზიკური თვისებები: ფერი - მოყვითალო, მოწითალო-მოყავისფრო, მომწვანო-მონაცრისფრო; ხაზის ფერი – მოწითალო-მოყავისფრო; ელვარება – ცვილისებრი; სიმაგრე – 5-5.5; სიმკვრივე – 7.14-7.54; მონატეხი უსწორმასწორო; ტკეჩადობა სრული (010)-ის გასწვრივ. იხსნება მარილმჟავაში. პარაგენეზული მინერალები: ვოლფრამიტი, კასიტერიტი, კვარცი და სხვ. ძარღვის მინერალია. საბადოები: გერმანიაში (მადნიანი მთები), აშშ-ში, რუსეთში (ბურიატია).